

სახელმძღვანელო შეიქმნა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნულათშორისი ურთიერთობების ცენტრის (CCIIR) პროექტის „არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერა მუდლტილინგვური განათლების რეფორმის პროცესში“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის (EPF) პროგრამის „ეროვნული ინტეგრაცია და ტოლერანტობა საქართველოში“ ფარგლებში შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

This book was created as part of the project “Supporting Non-Georgian Schools in Multilingual Education Reform,” which is implemented by the Centre for Civil Integration and Inter-Ethnic Relations (CCIIR). The project is implemented as part of the National Integration and Tolerance in Georgia Program (NITG) funded by the United States Agency for International Development (USAID) and administered by the United Nations Association of Georgia (UNAG) and Eurasia Partnership Foundation (EPF).



06ტერპულტურული განათლების პრაქტიკული სახელმძღვანელო მასშავლებლებისთვის

ავტორები:

შალვა ტაბატაძე
მაია ინასარიძე
ქეთევან ჩაჩხიძე
ჰაბუკი ქირია

რედაქტორები:

კახა ბაბუნია
ქეთევან გოჩილაშვილი

ISBN: 978-9941-0-2484-9



ჭიბნი გამოსაცემად მოამზადა
„სამოქალაქო 06ტერპულტურული და
ეროვნებათმორისი შროიმრთობების ცენტრმა“

თბილისი
2010

ს ა რ ჩ ე ბ ი

შესაბალი

| | |
|--|-----|
| თავი აირველი: ინტერპულტურული განათლების თეორიული საკითხები | 1 |
| ინტერპულტურული / მულტიკულტურული განათლების არსი | 2 |
| კულტურა და მისი გავლენა სწავლა-სწავლების პროცესზე | 4 |
| კულტურა და სწავლა-სწავლების პროცესი | 8 |
| მრავალფეროვნების დადგებითი მხარეები სწავლების პროცესში | 13 |
| ინტერპულტურული განათლება საქართველოში | 15 |
| ინტერპულტურული მგრძნობელობის განვითარების ეტაპები | 20 |
| ინტერპულტურული სწავლების მიღებობი | 38 |
| თავი გეორგი: | |
| ინტერპულტურული განათლების ზოგადი მეთოდები და სტრატეგიები | 56 |
| შესავალი. | 57 |
| თანამშრომლობითი სწავლა | 59 |
| ეფექტური ჯგუფური მუშაობის სტრატეგიების მთავარი ელემენტები | 61 |
| ჯგუფების ოპტიმალური ზომის შერჩევა | 62 |
| ინტერვენციის ეფექტური სტრატეგიები | 64 |
| სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება | 66 |
| ჯგუფური მუშაობის ფორმები | 67 |
| წყვილებში მუშაობა | 67 |
| STAD (მოსწავლეთა გუნდური მიღწევების ჯგუფები) | 67 |
| Jigsaw II | 74 |
| საკლასო დისკუსია | 76 |
| ინტერპულტურული სწავლების პრაქტიკული მაგალითები | 78 |
| პროექტი | 78 |
| მოწვევლი სტუმარი | 83 |
| კუთხები | 84 |
| თანატოლთა სწავლება | 89 |
| როლური თამაში | 95 |
| დასკვნა | 100 |
| თავი მესამე: ინტერპულტურული განათლება და პრაქტიკა | 104 |
| შესავალი | 105 |
| ეთნიკურად მრავალფეროვან კლასში სწავლების სტრატეგიები | 106 |
| ენა და სწავლის სტილი | 118 |
| ბილინგვური განათლების პროგრამები | 120 |
| რელიგიური პლურალიზმი სექულარულ კლასში. | 139 |
| სოციალური კლასისა და მდგომარეობის გავლენა | |
| სწავლა-სწავლების პროცესზე | 149 |
| სოციალური კლასისა და მდგომარეობის გავლენა | |
| სწავლა-სწავლების პროცესზე | 149 |
| თავი მესამე: | |
| პრაქტიკოსი აედაბობების საგაკვეთილო მაგალითები | |
| ტერმინთა განმარტება | |

შესავალი

ინტერკულტურული განათლება უმნიშვნელოვანესია 21-ე საუკუნეში. ინტერკულტურული მგრძნობელობა არ არის ადამიანური ცხოვრების „ბუნებრივი“ პროცესი. ინტერკულტურული სენსიტიურობა არ გახლავთ ადამიანის განვითარების ისტორიული პროცესების განუყოფელი ნაწილი. კულტურათაშორის კონტაქტს ისტორიულ ჭრილში თან სდევდა სისხლისღვრა, რეპრესიები, ეთნიკური წმენდა და გენოციდი... ინტერკულტურული განათლება გახლავთ ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია შეიცვალოს ადამიანთა კულტურათაშორისი ურთიერთობების ზემოთ ხსენებული უარყოფითი „ბუნებრივი“ ქმედებანი.

გლობალიზაციის პროცესების კვალდაკვალ, აგრეთვე საქართველოში არსებული მრავალფეროვნების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი გახდა სკოლებისა და მასწავლებელთა მომზადება, რათა მათ შეძლონ მოსწავლეთა აღზრდა მულტიკულტურულ გარემოში საცხოვრებლად. წინამდებარე სახელმძღვანელო სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ზოგადი ხასიათის თეორიული ცოდნა ინტერკულტურული განათლების შესახებ, არა მედ მთლიანად საკუთარი მიღების ტრანსფორმაცია, რაც თეორიული და პრაქტიკული მასალის შეჯერებით არის შესაძლებელი. შესაბამისად, სახელმძღვანელო მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილებს. სახელმძღვანელოს პირველი თავი ეძღვნება ინტერკულტურული განათლების გააზრებას, კულტურის გავლენის აღქმას სწავლა-სწავლების პროცესში, ინტერკულტურული მგრძნობელობის განვითარების მოდელებსა და მის ასახვას სასწავლო პროცესში. სახელმძღვანელოს მეორე თავი ეთმობა ინტერკულტურული სწავლების პრაქტიკაში გამოყენებულ ზოგადი

სასიათის სტრატეგიებს და ამ სტრატეგიების შესაბამის საგაკვეთოლო მაგალითებს. მესამე თავში წარმოდგენილია სხვადასხვა მიმართულებით სასწავლო სიტუაციები, ამ სიტუაციებში მასწავლებლის მიერ განხორციელებილი მიღებომები და ამ მიღებომების ანალიზი სხვადასხვა კონტექსტში. ეს კონტექსტები მოიცავს რელიგიურ, ეთნიკურ, ლინგვისტურ, სოციალურ მრავალფეროვნებას და კრიტიკული სიტუაციები განხილულია რელიგიის, ენის, ეთნიკური წარმომავლობისა თუ სოციალურ სტატუსთან და მდგომარეობასთან მიმართებით. სახელმძღვანელოს მეოთხე ნაწილი ეთმობა საქართველოს არაქართულენოვანი სკოლების მულტილინგვური განათლების საპილოებე პროგრამებში მონაწილე მასწავლებლთა გამოცდილებას ინტერკულტურული განათლების კონტექსტში და მოყვანილია მათ მიერ საკლასო ოთახში განხორციელებული აქტივობების მაგალითები, როცა მათ ტრანსფორმაციული მიღებომების გამოყენებით წარმართეს კულტურულად ადგენატური სასწავლო პროცესი.

pirveli Tavi

ინტერკულტურული განათლების თეორიული საპითხები

**ინტერკულტურული / მულტიკულტურული
განათლების არსი**

აულტურა და მისი გავლენა სწავლა-სწავლების პროცესზე

მრავალფეროვნების დადებითი მხარეები სწავლების პროცესში

ინტერკულტურული განათლება საქართველოში

ინტერკულტურული მგრძნობელობის განვითარების ეტაპები

ინტერკულტურული სწავლების მიდგომები

პირველი თავი

06 ტერპულტურული ბანათლების თეორიული საკითხები

ინტერგულტურული / მულტიკულტურული განათლების არსი

საინტერესოა, რა არის ინტერგულტურული განათლება საზოგადოდ. მულტიკულტურული განათლება არ არის მხოლოდ განსხვავებული ადამიანებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება ან, მაგალითად, აზერბაიჯანული კულტურის დღეები საქართველოში... იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რა არის მულტიკულტურული განათლება, უნდა ჩავწერ მულტიკულტურული განათლების მიზნებს, მის არსეს.

თუკი განათლების სპეციალისტებს შევეკითხებით, რა არის მულტიკულტურული განათლება, უმეტესობა გიპასუხებთ, რომ ეს არის სასწავლო გეგმის ახალი და მრავალფეროვანი მასალით გამდიდრება, სხვადასხვა სტრატეგიისა და პედაგოგიური მეთოდის განხილვა, რომლებიც პასუხობენ უმცირესობების მოთხოვნებს. განათლების სპეციალისტების მეორე ნაწილის პასუხი, შესაძლებელია, უფრო ზოგადი იყოს და შეეხოს არასამართლიან და დისკრიმინაციულ საგანმანათლებლო სისტემას და მულტიკულტურული განათლების როლიც ამ დისკრიმინაციული სისტემის რეფორმირებას უკავშირდებოდეს.

მიუხედავად მულტიკულტურული განათლების თაობაზე განსხვავებული თვალსაზრისებისა, მულტიკულტურული განათლების ცნობილი მეცნიერები (ბექქისი, ნიეტო, სლიტერი, გრანტი) თითქმის თანხმდებიან მულტიკულტურული განათლების განმარტებაზე. მულტიკულტურული განათლების უმთავრესი მიზანი არ არის, რომ მხოლოდ ხელი შეუწყოს ადამიანურ ურთიერთობებს, სხვადასხვა კულტურული წარმომავლობის მოსწავლეებსა და სტუდენტებს დაეხმაროს თანაცხოვრებაში ან ხელი შეუწყოს უმცირესობების წარმომადგენელ მოსწავლეებს მშობლიური ენისა და კულტურის შენარჩუნებაში. ეს

შესაძლებელია იყოს მულტიკულტურული განათლების შედეგები, მაგრამ არა მისი მიზანი. მულტიკულტურული განათლების მთავარი მიზანია, რომ ხელი შეუწყოს **საკუთარი პოტენციალიდან გამომდინარე ყველა მოსწავლის განათლებასა და აკადემიურ მიღწევებს.**

ინტერკულტურული განათლების მიზანს, საზოგადოდ, წარმოადგენს როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობების მოზარდთა წარმატებული ინტეგრაცია თანამედროვე პოლიეთნიკურ საზოგადოებაში და ინტერკულტურული პიროვნების ჩამოყალიბება, რომელიც ადეკვატური იქნება პოლიკულტურული გარემოს პირობებში. ინტერკულტურული აღზრდა მოწოდებულია, ჩამოუყალიბოს შემსწავლელებს მსოფლედვა და ქცევა, რომელიც დაემყარება ჰუმანურობის, პასუხისმგებლობის, სოლიდარობის, ურთიერთგაგების, დემოკრატიისა და ტოლერანტობის პრინციპებს.

ინტერკულტურულ განათლებას მოეპოვება ორი გამოხატული მახასიათებელი: 1) ეს არის განათლება, რომელიც აღიარებს, პატივს სცემს და იდებს ადამიანური ცხოვრების ყველა სფეროში მრავალფეროვნების არსებობას, როგორც ნორმას; 2) ეს არის განათლება, რომელიც ხელს უწყობს თანასწორობასა და ადამიანის უფლებებს, ეწინააღმდეგება უსამართლო დისკრიმინაციას და ხელს უწყობს ისეთი დირექტულებების განვითარებას, რომლებზეც შესაძლებელი იქნება თანასწორობის ცხოვრების წესის აგება.

აღსანიშნავია, რომ, განსაკუთრებით ევროპული განათლების სამეცნიერო ლიტერატურაში, მნიშვნელოვანი განსხვავებაა ტერმინებს „ინტერკულტურულ განათლებასა“ და „მულტიკულტურულ განათლებას“ შორის. ერთ-ერთი ყველაზე მარტივი და მკაფიო გამიჯვნა ამ ორ ტერმინს შორის ეკუთვნის **კამილერის** (1992), რომელიც აღნიშნავს, რომ „მულტიკულტურული“ არის აღწერითი ტერმინი, რომელიც უბრალოდ აფიქსირებს პლურალიზმის არსებობას და სხვადასხვა კულტურის მატარებელი ხალხის ფაქტობრივ თანაცხოვრებას, ხოლო ტერმინი „ინტერკულტურული“ ასახავს არსებულ ინტერაქციას განსხვავებული კულტურის მქონე ხალხს შორის.

წინამდებარე სახელმძღვანელოში მულტიკულტურული და ინტერკულტურული განათლება ერთი და იმავე მნიშვნელობით იქნება წარმოდგენილი, რაც გულისხმობს სწავლისა და სწავლების პროცესისადმი არსებულ მიღებას, რომელიც ეფუძნება დემოკრატიულ ღირებულებებსა და ფასეულობებს და მხარს უჭერს კულტურულ პლურალიზმს კულტურულად მრავალფეროვან საზოგადოებებში. ეს მიღება ეფუძნება მოსაზრებას, რომ განათლების მთავარი დანიშნულებაა, ხელი შეუწყოს ყველა მოსწავლის პოტენციალიდან გამომდინარე ინტელექტუალურ, სოციალურ და პიროვნულ განვითარებას. მულტიკულტურული განათლება მოიცავს ოთხ ურთიერთდამოკიდებულ პოსტულატს:

- (ა) ეს არის მოძრაობა თანასწორობის მისაღწევად;
- (ბ) ეს არის მოძრაობა კურიკულუმის ტრანსფორმაციისთვის;
- (გ) ეს არის პროცესი ინდივიდის ინტერკულტურული კომპეტენციის გასაზრდელად;
- (დ) ეს არის ბრძოლა წინარე განსჯისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

კულტურა და მისი გავლენა სწავლა-სწავლების პროცესზე

მნიშვნელოვანია, რომ თავად ტერმინი **კულტურა** და მასთან დაკავშირებული სწავლა-სწავლების თემატიკის განხილვა იწვევს დებატებს, რამეთუ ამ ტერმინს ყველა თავისებურად აღიქვამს და მათი მხჯელობაც აქედან გამომდინარეობს. შესაბამისად, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, შევეოთ კულტურისა და სწავლის პროცესის საკითხებს.

კულტურას სწავლობს არაერთი სამეცნიერო დისციპლინა, კურძოდ, ანთროპოლოგია, სოციოლოგია, განათლების მეცნიერებები, ფსიქოლოგია, ბიზნეს-ეკონომიკა და სამხედრო მეცნიერებებიც კი. თუკი ყველა ამ სამეცნიერო დარგს გადავხდივთ, ტერმინ „კულტურის“ ასობით განსხვავებული განმარტება შეგვხვდება, თუმცა, რა თქმა უნდა, ყველა ეს განმარტება

არ არის ადეკვატური სწავლა-სწავლების პროცესისა და კულტურის და-საკავშირებლად. თუმცა, ყველა ამ განმარტებას აქვს ერთი საერთო, რომ „კულტურა არის ადამიანის მიერ შექმნილი გარემო“. კულტურა გამოხატავს ადამიანის ფიქრებს, იდეებს, ინტერაქციის მახასიათებლებს.

კულტ აღნიშნავს, რომ „კულტურა არის სოციალური ქმედებების, რწმენის, ხელოვნების, ინსტიტუტების მთლიანობა, რომელსაც აქვს ტრანსმისიური ხასიათი, შექმნილია ადამიანთა გარკვეული ჯგუფის შრომისა და ფიქრის შედეგად“. კულტურის მთავარი შემადგენელი ელემენტები არის გეოგრაფიული მდებარეობა, ეთნიკური კუთვნილება, ენა, რელიგია და ისტორია.

ტერმინ **კულტურასთან** დაკავშირებულია არაერთი სხვა ტერმინიც, რომლებიც გვხვდება ყოველდღიური კომუნიკაციის დროს, მაგალითად, **სუბკულტურა, მიკროკულტურა, ეთნიკური ჯგუფები, უმცირესობები, მულტიკულტურული განათლება** და სხვა. ტერმინების გასააზრებლად და განმარტებისთვის შეგიძლიათ ისარგებლოთ სახელმძღვანელოს ბოლოში არსებული განმარტებითი ლექსიკონით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტერმინ „კულტურის“ არაერთი განმარტება არსებობს, რომელთაც საერთო მახასიათებლები აქვთ. ტერმინის ანალიზისას ძირითადად სამი მნიშვნელოვანი საერთო მახასიათებელი იკვეთება:

- 1) კულტურა ადამიანის მიერ არის შექმნილი;
 - 2) კულტურა არის გაზიარებული ადამიანთა ჯგუფის მიერ და გადაეცემა თაობიდან თაობას;
 - 3) კულტურა არის როგორც ობიექტური, აგრეთვე სუბიექტური.
- განვიხილოთ ცალ-ცალკე ეს საერთო მახასიათებლები, რათა უფრო დრმად ჩაგრილეთ კულტურის არსეს.

I) კულტურა შექმნილია ადამიანთა მიერ

ცხოველებისგან განსხვავებით, ადამიანები არ არიან ბიოლოგიურად დაპროგრამებულები, რომ მათ ავტომატურად შეძლონ გარემოს უტილიზაცია, საკვებისა და თავშესაფრის მოპოვება და ა.შ. ანუ ადამიანებს არ

შეუძლიათ გადარჩნენ სხვა ადამიანების გარეშე, რომლებიც ზრუნავენ მათზე და ასწავლიან მათ. შესაბამისად, ადამიანებმა უნდა მიაგნონ ეფექტურ გზებს როგორც ერთმანეთთან, ასევე გარემოსთან ინტერაქციისთვის. ადამიანებმა უნდა ისწავლონ, როგორ შეიძინონ ცოდნა, მათ შორის ცხოვრების წესების შესახებ, რაც მათ მისცემს გადარჩნის საშუალებას. სწორედ ამ ცოდნას (წარმოქმნილს ოჯახში, სამეზობლოში, ლიტერატურაში, ხელოვნებაში, კლასში...) და ამ ცოდნის არსეს ეწოდება **კულტურა**.

კულტურა, ჩვეულებრივ, არის ადამიანის ფიზიკური თუ გონიერივი ზემოქმედების შედეგად შექმნილი მატერია, ანუ ყველაფერი ის, რაც ბუნებრივად არ ხდება ცხოვრებაში. მაგალითად, ზღვაზე ან ოკეანეში არც წყალი და არც ჰორიზონტი არ არის კულტურა, არამედ არის ბუნებრივი მდგომარეობა, თუმცა, მოწყობილი ზღვის სანაპირო – ეს უკვე კულტურის ნაწილია და ამ კულტურისათვის დამახასიათებელი ნიშნებით ხდება სანაპიროს მოწყობა. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაიამიში, სანაპიროზე აშენებულია უამრავი სასტუმრო, გასართობი კომპლექსები, სასეირნო ბილიკები და მარინადები. მსგავსი ტიპის სანაპირო სხვა კულტურის მქონე ხალხის მიერ, შესაძლებელია, შერაცხულიყო წმინდა ადგილად, სადაც ადამიანის ჩარევა არსებულ ბუნებრივ გარემოში მინიმალური იქნებოდა.

ამერიკის შეერთებული შტატებში არსებული მაიამის სანაპირო მიუთითებს ამერიკელი ხალხის ცოდნაზე, დამოკიდებულებასა და ღირებულებებზე ბუნებრივი გარემოს მიმართ, თუმცა მსგავსი დამოკიდებულება არ იყო ამერიკის შეერთებულ შტატების შექმნის პირველ წლებში და მაშინ მიიჩნეოდა, რომ ადამიანი ბუნების განუყოფელი ნაწილია და ვინაიდან ადამიანი ცხოვრობს ბუნების შიგნით და არა გარეთ, ადამიანი არ უნდა ჩაერიოს არსებულ ბუნებრივ გარემოში.

ეს მაგალითი მიუთითებს, რომ სხვადასხვა სოციოკულტურული ჯგუფი აღიქვამს სამყაროს სხვადასხვანაირად, ამასთანავე, ხაზს უსვამს, რომ კულტურული რწმენები და დამოკიდებულებები ერთი და იმავე სოციოკულტურული ჯგუფის შიგნით დროთა განმავლობაში იცვლება.

2) კულტურა არის გაზიარებული ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მიერ და გადაეცემა თაობიდან თაობას

კულტურა ყალიბდება ადამიანთა სოციალური ურთიერთობების შედეგად. კულტურული იდეები და გააზრება ყალიბდება, როცა გარკვეული ჯგუფი იზიარებს ერთმანეთის ცოდნას, დამოკიდებულებებს, ღირებულებებსა და რწმენას. უფრო მეტიც: ადამიანთა ეს ჯგუფი აყალიბებს ღირებულებათა იერარქიას: თუ რომელი ღირებულება უფრო ძვირფასია მათვის, თუმცა, დროთა განმავლობაში ღირებულებათა ეს იერარქიაც შესაძლებელია შეიცვალოს. ადსანიშნავია, რომ გაზიარებული კულტურული იდენტობა გადაეცემა ერთი თაობიდან შემდგომ თაობას.

3) კულტურა არის როგორც ობიექტური, ახევე სუბიექტური

კულტურა შედგება ორი კომპონენტისაგან: (ა) ობიექტური ელემენტები და (ბ) სუბიექტური ელემენტები (ტრიანდისი, 1972). ობიექტური კულტურის კომპონენტები მოიცავს ჯგუფისათვის დამახასიათებელ ვიზუალურად და მატერიალურად ხელშესახებ ელემენტებს, მაგალითად, ენას, რომელზეც ლაპარაკობენ, ტრადიციებსა და რიტუალებს, რომელთაც იცავენ, ტანსაცმელს, რომელსაც ატარებენ, საჭმელს, რომელსაც მიირთმევენ და ა.შ. ყველა ეს ელემენტი ადვილად შესამჩნევია და ამ ელემენტების აღმოჩენა თანაბრადაა შესაძლებელი ყველასათვის. სწორედ ობიექტური კულტურის ელემენტები იგულისხმება ხშირად, როდესაც საუბარია კულტურულ განსხვავებებზე. სუბიექტური კულტურის კომპონენტები არის ვიზუალურად და მატერიალურად შეუმჩნეველი კულტურის ასპექტები, კერძოდ, დამოკიდებულებები, ღირებულებები, ქცევის წესები და ნორმები, სწავლის სტილი, სოციალური როლების იერარქია და ა.შ.


სუბიექტური და ობიექტური კულტურის ანალიზისას კულტურას ხშირად ადარებენ აისბერგს. აისბერგის მხოლოდ 10%-ის დანახვაა შესაძლებელი წყლის ზედაპირზე, ხოლო 90 %-ი დამალულია წყლის ქვეშ და, შესაბამისად, ეს 90%-ი წარმოადგენს საფრთხეს გემის კაპიტნისთვის. აისბერგის მსგავსად, კულტურის ყველაზე შინაარსობრივი (და პოტენციურად საფრთხის შემცველი) ნაწილი არის შეუმჩნეველი და ძნელად აღსაქმელი, ანუ წარმოადგენს სუბიექტურ კულტურას. სწორედ კულტურის

სუბიექტური ასპექტებია, რომლებიც წარმოქმნიან ინტერკულტურულ გაუგებრობებს და რაზეც უნდა მოხდეს ფოკუსირება მულტიკულტურული ოუ ინტერკულტურული განათლების დროს.

კულტურა და სწავლა-სწავლების პროცესი


ადამიანები ინდივიდუალურად ახდენენ საკუთარი თავის კულტურულ იდენტიფიკაციას. დადგენილია კულტურული იდენტობის თორმეტი წყარო, რომლებიც გავლენას ახდენენ სწავლა-სწავლების პროცესზე (იხ. სქემა).

კულტური, მაკალილანდი, საფორდი, 2006, გვ. 70



ამ თორმეტი წეაროს, რასაკვირგელია, მოეპოვება გადაკვეთის წერტილები. არსებითია, რომ ინდივიდის კულტურული იდენტობა (ლირებულებები, რწმენა, ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები) ყალიბდება ამ თორმეტი წეაროსთან მიმართებაში არსებული გამოცდილებით. ამ გამოცდილების შეძენა კი ხდება ინდივიდის ურთიერთობით სოციალიზაციის ისეთ აგენტებთან, როგორიცაა ოჯახი, ეკლესია, სამუშაო ადგილი, სკოლა, მედიასაშუალებები და ა.შ. (იხ. სქემა). სწორედ სოციალიზაციის ამ აგენტების მეშვეობით იძენს ინდივიდი კულტურულ ცოდნას.

აუშნერი, მაკალილანდი, საფორდი, 2006, გვ. 76



კულტურული ცოდნის დაგროვება: სოციალიზაციის აგენტები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კულტურული იდენტობის ფორმირება ხდება სოციალიზაციის პროცესის შედეგად – სოციალიზაციის აგენტების მეშვეობით. ზემოთ მოყვანილ სქემაში ნათლად ჩანს, თუ როგორ ხდება კულტურული ცოდნის ფილტრაცია სოციალიზაციის სხვადასხვა აგენტის მეშვეობით, ინდივიდის გამოცდილების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ კულტურული იდენტობის წყაროები (ენა, რელიგია, ეთნიკური წარმომავლობა) არის უნივერსალური წყაროები და დამახასიათებელია ნებისმიერი კულტურისთვის, სოციალიზაციის აგენტები (ოჯახი, სკოლა, ეკლესია, მედია), რომელთა მეშვეობითაც ინდივიდს გადაეცემა კულტურული წყარო, მკვერრად განსხვავდება ერთმანეთისგან. შესაბამისად, სხვადასხვა საზოგადოებაში ინდივიდებს უვითარდებათ განსხვავებული მსოფლეობა.

აღნიშნული მსჯელობისას ალბათ მნიშვნელოვანია, განვსაზღვროთ, რას ნიშნავს სოციალიზაცია და რა ეტაპებს მოიცავს იგი. სოციალიზაცია არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც ინდივიდი ეუფლება ამა თუ იმ კონკრეტული ჯგუფისათვის მისაღებ ნორმებს. ეს ნორმები შეიძლება მოიცავდეს ენის დაუფლებას, სოციალური როლების ცოდნას და ამ როლების შესაბამის ქმედებას, ფიზიკური და სოციალური გარემოს ასპექტების სპეციფიკურ აღქმას და გააზრებას. სოციალიზაციის პროცესი კი სამ ეტაპად იყოფა:

- 1) პირველადი სოციალიზაცია, რომელიც გულისხმობს პატარა ბავშვების აღზრდას ოჯახის ან ნებისმიერ მომვლელის მიერ;
- 2) მეორადი სოციალიზაცია, რომელიც მოიცავს პროცესში ისეთი აგენტების ჩართვას, როგორიცაა სკოლა, სამგზობლო, თანატოლთა წრე, ტელევიზია, ეკლესია და ა. შ.
- 3) ზრდასრულობა სოციალიზაცია, რომელიც გულისხმობს ზრდასრული ადამიანის ახალ სოციალურ როლებთან თუ სიტუაციასთან ადაპტაციას, რისთვისაც ის არ მომზადებულა დაწყებითი და შუალედური სოციალიზაციის პროცესის დროს. ასეთი ტიპის სო-

ციალიზაციას განექუთვნება, მაგალითად, ქორწინება, მშობლობა, საცხოვრებლად სხვა ქვეყნაში გადასვლა, ახალ სამუშაოზე გადასვლა და ა.შ.

სოციალიზაციის პროცესის ლიმიტები

აღსანიშნავია, რომ სოციალიზაციის პროცესს გააჩნია საკუთარი ლიმიტები. ამ ლიმიტებს შორის გამოყოფენ სამ მნიშვნელოვან შეზღუდვას, რომელთა ცოდნაც ძალიან მნიშვნელოვანია პედაგოგთათვის:

- 1) სოციალიზაციის პროცესი შეზღუდულია ბავშვის ფიზიკური და ბიოლოგიური ორგანიზმის თავისებურებებით. მაგალითად, ყველა ახალშობილი ადგილად უფლება ენას, თუმცა ენის დაუფლება პრობლემაა სმენადაქვეითებულისთვის. ინდივიდს თუ არ გააჩნია მუსიკალური სმენა, სოციალიზაციის პროცესში მუსიკაზე აქცენტირების პირობებშიც კი და მუდმივად მუსიკაში მეცადინეობით, ის გერაფრით ვერ გახდება ოპერის მომღერალი;
- 2) სოციალიზაციის პროცესი არის დაუსრულებელი პროცესი და ის არასდროს არ მთავრდება, ანუ ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იმყოფება სოციალიზაციის პროცესში. შესაბამისად, თუ ბავშვის სოციალიზაცია მოხდა და ის დაუფლა გარკვეულ ცოდნას, თვისებებს თუ მახასიათებლებს (ენა, სიტუაციის შესაბამისი ქმედება, სოციალური როლის გააზრება) ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ვედარ შეიძენს სხვა დამატებით ცოდნას, თვისებებს და მახასიათებლებს;
- 3) ინდივიდები არ არიან პასიური მიმღები სოციალიზაციის პროცესის, ისინი აქტიურად ზემოქმედებენ თვითონ ამ პროცესზე. ინდივიდი იდებს ან არ იდებს არსებულ ნორმას, ინტერპრეტაციას უკეთებს არსებულ ნორმას, ქმნის ახალ ნორმებს სხვადასხვა სიტუაციიდან გამომდინარე.


სოციალიზაციის სამივე ეს ლიმიტი რესურსია პედაგოგის ხელში, თუმცა, როგორც **დიური** აღნიშნავს, ყველაზე ეფექტურია სწავლა მაშინ,

როდესაც იგი იწყება იმ ცოდნიდან, რაც ბავშვს უკვე გააჩნია. შესაბამისად, მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია იცოდეს არა მხოლოდ კულტურული სოციალიზაციის ზოგადი ასპექტები, არამედ უნდა იცნობდეს თითოეული მოსწავლის კულტურულ მახასიათებლებს, რომელთა ფარგლებშიც ხდებოდა მათი სოციალიზაცია.

კულტურული სხვაობების გაზრება

კულტურული ცოდნის დაგროვების პროცესის უფრო კარგად აღსაქმელად გთავაზობთ სქემას, სადაც შეჯამებულია ეს პროცესი და კიდევ ერთხელ ხაზასმულია ამ პროცესის კომპლექსურობა, განსაკუთრებით მულტიკულტურულ საზოგადოებებში.

ძუშნერი, მაკალილანდი, საფორდი, 2006, გვ. 85



როგორც სქემებიდან ჩანს, კულტურული წყაროები სოციალიზაციის სხვადასხვა აგენტების მეშვეობით აყალიბებენ ინდივიდის კულტურულ იდენტობას. მნიშვნელოვანია, მასწავლებლებს ახსოვდეთ, რომ კულტურული იდენტობა მკვეთრად განსხვავებულია როგორც სხვადასხვა კულტურის ურთიერთმიმართებით, აგრეთვე ერთი და იმავე კულტურის შიგნითაც. ამ კულტურულმა განსხვავებებმა შეიძლება წარმოშვას გარკვეული გაუგებრობა ან კონფლიქტი სკოლასა თუ კლასში სწავლების პროცესში. ამ სახელმძღვანელოს დანიშნულებაა, ზოგადი წარმოდგენა შეგიქმნათ ინტერკულტურულ განათლების შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, გაუგებრობების აღმოფხვრას და აცილებას და, მეორე მხრივ, შესაძლებელს გახდის, რომ კულტურული სხვაობები კლასში პედაგოგმა გამოიყენოს, როგორც პოზიტივი და რესურსი უფრო ეფექტური სასწავლო გარემოს შესაქმნელად. ამ სახელმძღვანელოს მიზანია, მასწავლებლებმა დაიწყონ გარკვეული საკითხების ახლებურად გააზრება და ანალიზი და, შესაბამისად, გახდნენ ყველა მოსწავლის მასწავლებელი და არა მხოლოდ იმ მოსწავლეთა მასწავლებლები, რომლებიც უფრო ახლოს დგანან მათ კულტურულ იდენტობასთან.

მრავალფეროვნების დადებითი მხარეები სწავლების პროცესში

მრავალფეროვნება სასწავლო პროცესის ეფექტურად მართვის რესურსს წარმოადგენს და, დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, ხელს უწყობს მულტიკულტურულ საზოგადოებაში ცხოვრებისთვის მოზადებული მოქალაქის ჩამოყალიბებას. აღსანიშნავია, რომ ძველად მასწავლებელთა მოზადების პროგრამებში მრავალფეროვნება ნებატიურ კონტექსტში განიხილებოდა. ითვლებოდა, რომ მრავალფეროვნება ერთგვარი პრობლემაა. მიდგომას, რომ განსხვავებული კულტურული ჯგუფის მოსწავლეებს აქვთ განსხვავებული გამოცდილება და ხედვა, რაც სასარგებლობა დომინანტი კულტურული ჯგუფის მოსწავლეებისთვისაც, არ ჰქონდა ფართო მხარდაჭერა. თუმცა გლობალიზაციის პროცესმა და

საჭიროებამ, რომ მოსწავლეები უნდა მოქმედონ პლურალისტურ და მრავალფეროვან მსოფლიოში საცხოვრებლად, რადიკალურად შეცვალა მრავალფეროვნებისადმი დამოკიდებულება და ნათლად გამოკვეთა ინტერ-კულტურული განათლების აუცილებლობა.

მრავალფეროვნების საგანმანათლებლო პარადიგმა ხაზს უსვამს, რომ მრავალფეროვნება სასარგებლოა, როგორც უმრავლესობის, ასევე „უმცირესობის კულტურული ჯგუფის მოსწავლეთათვის. მრავალფეროვნება „ამდიდრებს“ სასწავლო გარემოს. სწორედ ეს მოსაზრებაა ყველაზე მკაფიო არგუმენტი ინტერკულტურული განათლების მხარდასაჭერად. მრავალფეროვან გარემოში ინტერკულტურული განათლების ელემენტების გამოყენებით მოსწავლეს უვითარდება:

- ა) მრავალმხრივი ხედვა;
- ბ) კონფლიქტის თავიდან არიდების უნარი;
- გ) საერთო დირებულებების მიმართ პატივისცემა.

ეს მოსაზრება დადასტურებულია არაერთი საგანმანათლებლო ექსპერტისა და მეცნიერის კვლევებით. მეცნიერები მრავალფეროვნების დადებით მხარეებს ძირითადად ორ კატეგორიად ყოფენ:

- 1) სასწავლო (აკადემიური) შედეგები;
- 2) დემოკრატიული შედეგები.

დღესდღეობით ყველა თანხმდება სასწავლო გარემოში მრავალფეროვნების დადებით მხარეებსა და ინტერკულტურული განათლების საჭიროებაზე. თუმცა სწავლების პროცესში მთავარი პრობლემა მრავალფეროვნების ეფექტურად მართვა და ინტერკულტურული განათლების სტრატეგიების სწორად გამოყენებაა, რაც საკმაოდ რთულად გადასაჭრელ ამოცანას წარმოადგენს, რადგან, გადაულახავ გამოწვევად რჩება საკითხის კომპლექსურობა, რომელსაც კულტურული სხვაობების სიმრავლე განაპირობებს.

ინტერკულტურული განათლება საქართველოში

ინტერკულტურული განათლების ასპექტებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს განათლების სისტემის პოლიტიკის დოკუმენტებში, რადგან მრავალფეროვანი სახელმწიფოსთვის, გლობალიზაციის პირობებში, მნიშვნელოვანია მრავალმხრივი ხედვის, ტოლერანტულ და მულტიკულტურულ საზოგადოებაში ცხოვრებისთვის მომზადებული მოქალაქის ჩამოყალიბება. საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ მეოთხე მუხლით განსაზღვრულია: „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში — ქართული ან აფხაზური.“ იმავე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, „საქართველოს მოქალაქეებს, რომელთათვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში საგადაფებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში — ორივე სახელმწიფო ენისა. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლება განხორციელდეს უცხოურ ენაზე. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საგადაფებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში — ორივე სახელმწიფო ენისა.

ზოგადი განათლების კანონი იცავს ყველა მოსწავლეს ყოველგვარი ძალადობისაგან და აძლევს მშობლიურ ენაზე გამოხატვის თავისუფლებას. კერძოდ, კანონის მქ-13 მუხლის მქ-2 პუნქტში აღნიშნულია: „დაუშვებელია საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება.“ ეს ნორმა არ ზღუდავს საჯარო სკოლაში სახელმწიფო დღესასწაულებისა

და ისტორიული თარიღების აღნიშვნას, აგრეთვე ისეთი ღონისძიების ჩატარებას, რომლებიც მიმართულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ. იმავე მუხლის მე-6 პუნქტში კი აღნიშნულია: „სკოლა ვალდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა.“ მე-7 პუნქტის შესაბამისად კი, „სკოლა თანასწორობის საფუძვლებზე იცავს უმცირესობების წევრების ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებას, თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება“.

განათლების შესახებ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულია მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება. აღნიშნული მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, „დაუშვებელია, მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს დაეკისროთ ისეთი ვალდებულების შესრულება, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება მათ რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს“.

ინტერგულტურული განათლების ასპექტები ასახულია 2004 წლის 18 ოქტომბერს დამტკიცებულ განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში, კერძოდ: „b) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან: სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარები, საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის იმათ, ვისთვისაც სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის“ თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე: დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემუცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა

შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება“.

მოსწავლის მიერ ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარება ასახულია საზოგადოებრივი მეცნიერებების, უცხო ენისა და მშობლიური ენის სასწავლო გეგმებში, მაგალითად, საზოგადოებრივი მეცნიერებების სასწავლო გეგმების ამოცანად ტოლერანტი, ადამიანის დირსებების და უფლებების მქონე მოქალაქის ჩამოყალიბებაა დასახული, ამასთანავე, კულტურულ და რელიგიურ ასპექტებს მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საზოგადოებრივი მეცნიერებების სასწავლო საგნებში: „საზოგადოების სწავლებამ მოსწავლეს უნდა დაანახოს ადამიანის გამოცდილების მრავალფეროვნება უძველესი დროიდან დღემდე და აგრეთვე თავისი ქვეყნის მიღწევები კაცობრიობის მონაპოვართა ფონზე. მოსწავლეს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ, რელიგიურ და ეთნიკურ მრავალფეროვნებაზე. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მან უნდა შეძლოს გააანალიზოს წარსულისა და თანამედროვეობის უმნიშვნელოვანების ისტორიული თუ გეოგრაფიული მოვლენები და სხვადასხვა ეპოქებისა და საზოგადოებების განვითარების მსგავსება განსხვავებები”, უფრო მეტიც, „ისტორიული პროცესის სხვადასხვა კუთხით (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური) დანახვა; ისტორიული მოვლენისა და/ან პიროვნების მოდვაწეობის, განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობის მიზეზების ახსნა, განსხვავებული, ინტერპრეტაციების შედარება და შეფასება“; სამოქალაქო განათლების საგნის სასწავლო გეგმაში აღნიშნულია – „განუვითაროს მნიშვნელოვანი სამოქალაქო უნარ-ჩვევები: საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბება და დაცვა, საკუთარი საქციელის კრიტიკულად შეფასება, განსხვავებული აზრის, ეროვნების, სარწმუნოებისა და კულტურის მქონე ადამიანების პატივისცემა“.

მრავალფეროვნებისა და ინტერკულტურული განათლების მოთხოვნები წაყენებული აქვთ სასკოლო სახელმძღვანელოების გამომცემლებს, კერძოდ, 2009 წლის 30 მარტის ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორის №072 ბრძანებაზე,

რომელიც განსაზღვრავს გრიფირების წესს, თანდართულ ინტრუქციაში სახელმძღვანელოების შეფასების კრიტერიუმების თაობაზე მითითებულია:

„დ) სახელმძღვანელოს შინაარსი ითვალისწინებს საქართველოს მოსწავლეთა მრავალფეროვნებას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ე) სახელმძღვანელო უწყობს ხელს არასტერეოტიკული, მრავალმხრივი აზროვნებისა და შეხედულებების განვითარებას მოსწავლეებში.

ინტერკულტურული სწავლების მოთხოვნა ასახულია 2008 წლის 21 ნოემბერს გამოცემულ მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტში „მასწავლებელი იცნობს ინკლუზიური განათლების, ასევე მულტიკულტურულ და მულტილინგვურ მიდგომებსა და პრინციპებს და იყენებს მას საკუთარი პრაქტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში”, „უფრო დეტალურად ინტერკულტურული ასპექტები აგრეთვე ასახულია მასწავლებლის საგნობრივ სტანდარტებში, კერძოდ ქართული, როგორც მეორე ენის, საზოგადოებრივი მეცნიერებების და უცხო ენის მასწავლებლების სტანდარტებში.

ინტერკულტურული განათლების პოლიტიკის ნაწილია საქართველოს მთავრობის მიერ 2009 წლის 8 მაისს დამტკიცებული „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფცია და სამოქმედო გეგმა“. უმცირესობათა ინტეგრაციისკენ მიმართული კიდევ ერთი ნაბიჯი იყო 2009 წელს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული „მულტილინგვური განათლების კონცეფცია და სამოქმედო გეგმა“, რომლის საფუძველზე 2009 წლის 31 მარტს დამტკიცდა „მულტილინგვური განათლების პროგრამა“. პროგრამის ფარგლებში 40 არაქართულენოვანი სკოლა მოახდენს ბილინგვური განათლების პროგრამის პილოტირებას.

საქართველო გაწევრებულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომელთათვისაც ინტერკულტურული განათლება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს და საქართველო, როგორც წევრი სახელმწიფო, უერთდება ამ ორგანიზაციების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. ამ

მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ევროპის საბჭო, რომელმაც ბოლო წლებში მიიღო 4 ფუნდამენტური დოკუმენტი. ეს დოკუმენტი განსაზღვრავენ ევროსაბჭოს წევრ-ქვეყნებში ინტერკულტურული განათლების პოლიტიკას. კერძოდ, განათლების მინისტრთა მუდმივმოქმედი კომისიის 21-ე სესიის ბოლო დეკლარაცია (ათენი, 2003 წლის 10-12 ნოემბერი). აღნიშნული დეკლარაცია უშუალოდ ინტერკულტურულ განათლებას ეხება. აგრეთვე **გროცლაგის დეკლარაცია** (2004 წლის 9-10 დეკემბერი) და სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურთა მესამე სამიტზე მიღებული სამოქმედო გეგმა (ვარშავა, 2005 წლის 16-17 მაისი) და 2005 წლის 4 ოქტომბრის ევროპის საბჭოს საპარლამეტო ასამბლეის №1720 რეკომენდაცია რელიგიისა და განათლების შესახებ.

ათენის დეკლარაციის თანახმად, მნიშვნელოვანია, ევროპის საბჭომ „ა) ხელახლა დაიწყოს ინტერკულტურული განათლების სფეროში კონცეპტუალური პვლევა; ბ) ხელი შეუწყოს ურთიერთნდობის ჩამოყალიბებას... ადამიანის უფლებათა და მრავალფეროვნების მიმართ პატივისცემის გაღივებას. გ) გაატაროს ღონისძიებები სწავლების მეთოდებისა და სასწავლო საშუალებების სფეროში; ე) შეიმუშავოს კომუნიკაციასა და ურთიერთგაგებაზე გამიზნული პროგრამები, განსაკუთრებით ენობრივი სწავლების გზით. ვ) დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს განათლების პოლიტიკაში ინტერკულტურული ელემენტის შეტანაში; ი) შეიმუშავოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები დემოკრატიული და ინტერკულტურული პრინციპების გათვალისწინებით; ლ) გააძლიეროს ინტერკულტურული განათლება და მრავალფეროვნების მართვა ამბგარი წვრთნით.... რ) დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს იმის გაცნობიერებაში, რომ კულტურულ, ეთნიკურ თუ რელიგიურ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგებარება მხოლოდ სკოლებისთვის კი არ არის საჭირო ბოროტო საკითხი, არამედ მთლიანად საზოგადოებისთვის“.

2005 წლის 4 ოქტომბრის ევროპის საბჭოს საპარლამეტო ანსამბლეის №1720 რეკომენდაცია რელიგიისა და განათლების შესახებ აგრეთვე კონკრეტულ რეკომენდაციებს უწევს მინისტრთა კომიტეტს ინტერკულტურული განათლების დასახერგად ევროპის მაშტაბით საგანმანათლებლო სისტემებში.

თუკი არსებულ ვითარებას და დეპლარიტებულ პოლიტიკას გადა-
ვხედავთ, საქართველოში წარმოდგენილია მრავალფეროვანი სასწავლო
გარემო და ინტერკულტურული განათლების ასპექტები ასახულია გა-
ნათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვან
დოკუმენტში.

ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარების ეტაპები

არსებობს ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარების სტა-
დიების სხვადასხვა მოდელი. განვიხილავთ მხოლოდ ერთ მოდელს, რო-
მელიც ყველაზე უფრო ეფექტურია სასწავლო გეგმაში ასახისა და შე-
ფასების თვალსაზრისით: „ბენეტის ინტერკულტურული მგრძნობელობის
განვითარების მოდელი“.

აღსანიშნავია, რომ ბენეტის მოდელი ყველაზე უფრო მიღებული და
ფართოდ გავრცელებული მოდელია განათლების მეცნიერებებში. აღ-
ნიშნული განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

- ა) ის განმარტავს ინტერკულტურულ მგრძნობელობას „განვი-
თარების“ მოდელიდან გამომდინარე, რომელიც მოიცავს ადა-
მიანის პროგრესიონებად უნარს მოახდინოს ცნობიერებაში
კულტურული სხვაობების აკუმულირება;
- ბ) ინტერკულტურული მგრძნობელობა განხილულია სოციალური
კონსტრუქტივიზმის კონტექსტში, რაც ნიშნავს რომ კულტუ-
რული სხვაობები არ არის სტატიკური;
- გ) ინტერკულტურული სენსიტიურობის განვითარება განხილუ-
ლია „სუბიექტური“ და არა „ობიექტური“ კულტურის კონტე-
ქსტში. „სუბიექტური“ კულტურა აღნიშნავს სხვა ადამიანებთან
ინტერაქციის შედეგად პიროვნების მიერ შეძენილი და
ნასწავლი დირექტულებების, რწმენისა და ქცევების ერთობლი-
ობას. „ობიექტური“ კულტურა კი გამოხატავს „დირექტულებებ-

ისა და ქცევების ერთობლიობას, რომელიც უკვე ფორმირებულია გარკვეული სახით.

- დ) განვითარების სხვა მოდელებისგან განსხვავებით, ასახულია ინტერკულტურული კომპეტენცია;
- ე) სხვა მოდელები ფოკუსირებულია ეთნიკური იდენტობის ფორმირებაზე და იგნორირებულია განვითარების ეტაპობრიობა.

ბენეტი თავის მოდელში გამოყოფს ინტერკულტურული მგრძნობელობის განვითარების ექს საფეხურს, რომლებიც დაყოფილია ორ ფაზად: I. ეთნოცენტრული ფაზა (1. სხვაობათა უარყოფა; 2. სხვაობათაგან თავდაცვა; 3. სხვაობათა მინიმიზაცია) და ეთნორელატიური ფაზა: (4. სხვაობათა მიმღებლობა; 5. სხვაობათა ადაპტაცია; 6. სხვაობათა ინტეგრაცია).

- 1) **სხვაობათა უარყოფა** არის საფეხური, როდესაც ინდივიდს არ გააჩნია უნარი, შეამჩნიოს კულტურული სხვაობები. ამ დროს ინდივიდი იგნორირებას „უკეთეს არსებულ მრავალფეროვან რეალობას და, როგორც ბენეტი აღნიშნავს, მას ახასიათებს „სულელური შეკითხვების სინდრომი”, რომელიც ეფუძნება სტერეოტიპებს. ამ საფეხურზე მყოფი ინდივიდისთვის დამახასიათებელია შემდეგი გამოთქმები და მოსაზრებები: „ისინი აქ დაიბადნენ და ცხოვრობენ ამიტომ უნდა მოიქცნენ როგორც ქართველები”, „ ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე მე შემიძლია ვიყო წარმატებული ნებისმიერ ქვეყანაში და ნებისმიერი კულტურის პირობებში, ყოველგვარი დამატებითი ძალისხმევის გარეშე”, „მე არასოდეს განვიცდი კულტურულ შოგს”, „ბიზნესი ბიზნესია მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში”,
- 2) **სხვაობათაგან თავდაცვა** წარმოადგენს შემდგომ საფეხურს ინტერკულტურული სენსიტიურობის განვითარების მოდელში. ამ ეტაპზე ხდება კულტურული სხვაობების აღიარება, თუმცა, ამასთანავე, განსხვავებული კულტურის შეფასება ხდება

მხოლოდ ნებატიურ კონტექსტში. აღნიშნული საფეხური-სათვის დამახასიათებელი შემდგა და მსგავსი შინაარსის ფრაზები: „გენეტიკურად მათ არ აქვთ უნარი, ჩაწვდნენ ამის არსეს”, „ჩვენ გამოვიგონეთ ეს საგანი და მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია უზრუნველვყოთ მისი შემდგომი ფუნქციონირება“, „ეს დაწესებულება შეიქმნა ჩვენი ღირებულებების გარშემო და, შესაბამისად, მხოლოდ ჩვენი მოსაზრებაა მნიშვნელოვანი”, „ჩვენ გვაქვს ქართული სკოლები და მათ უნდა იმუშაონ ეფექტურად ქართველებისთვის, სხვებმა რაც უნდათ, ის ქნან“, „აზიელები არ არიან თავდაჯერებულები, შესაბამისად, ისინი ვერ იქნებიან ლიდერები“.

- 3) **სხვაობათა მინიმუმია** არის ეთნოცენტრული ფაზის ბოლო საფეხური. ინტერკულტურული სენსიტიურობის ამ ეტაპზე მყოფი პიროვნება ახდენს კულტურული სხვაობების ზედაპირულ აღიარებას, თუმცა, ამავე დროს, აღიქვამს ყველა ინდივიდს, როგორც არსებითად მსგავსს. აღსანიშნავია, რომ ეს ეტაპი არის ყველაზე ხშირი მასწავლებლების ინტერკულტურული მგრძნობელობის გაზომვისას და, ამავე დროს, არის ყველაზე რთული საფეხური შემდგომ საფეხურზე გადასასვლელად. ამ საფეხურზე ყველაზე ნათელი მახასიათებელი ფრაზა გახლავთ: „კარგი ადამიანია, მაგრამ არა ქართველია”, „მე მომწონს ის ყველა თვისებით, მაგრამ, სამწუხაროდ, არ არის ქართველი“. ამ საფეხურისთვის დამახასიათებელია აგრეთვე შემდეგი და მსგავსი შინაარსის ფრაზები: „მათი ჩვეულებები თითქოს განსხვავებულია, თუმცა, თუ კარგად დააკვირდებით, მათაც ჩვენნაირი ჩვეულებები აქვთ”, „ჩემი ინტუიციის წყალობით ამოვიცნობ ხალხს; მნიშვნელობა არ აქვს, რომელ კულტურას ეპუთვნის”,
4) **სხვაობათა მიმღებლობა** გახლავთ ეთნორელატიური ფაზის პირველი საფეხური. ეთნორელატიური ფაზის დროს ზოგა-

დად იცლება მიღვომა და იმის აღქმა ხდება, რომ „კულტურული სხვაობები არ არის სახიფათო“. სხვაობების მიმღებლობის საფეხური გულისხმობს სხვაობის, როგორც ღირებულების, პატივისცემას და ინტერესს კულტურული სხვაობების მიმართ. მაგალითად, ამ ეტაპზე პედაგოგი აცნობიერებს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი მოსწავლის მშობლის ჩართულობის ხარისხს სწავლების პროცესში და ამ კულტურული ასპექტების გათვალისწინებით მუშაობს როგორც მშობელთან, ასევე მოსწავლესთან. ამ საფეხურზე მყოფი ინდივიდისთვის დამახასიათებელი ფრაზებია: „არც კარგი და არც ცუდი, უბრალოდ - განსხვავებული“, „მე მუდმივად ვცდილობ შევისწავლო სხვა ხალხის კულტურა, რაც გამიაღვილებს ამ კულტურის მქონე ხალხთან ურთიერთობას“, „რაც უფრო მეტი კულტურა ვიცი, მით უფრო მეტი შედარებითი ანალიზის უნარი მაქვს“, „ზოგჯერ ვიძნევი ხოლმე, რადგანაც ვიცი, რომ სხვადასხვა კულტურაში ღირებულებათა სისტემა არის განსხვავებული და მინდა ვაღიარო ეს ღირებულებები, თუმცა მაინც ყოველთვის ჩემი კულტურის ძირითადი ღირებულებებიდან გამოდინარე ვმოქმედებ“.

- 5) **სხვაობათა ადაპტაცია** გახლავთ ეთნორელატიური ფაზის მეორე საფეხური, რომელიც გულისხმობს უნარის განვითარებას, რომელსაც შეუძლია გაარღვიოს კულტურული ჩარჩოები და ინდივიდს უკვე შეუძლია კულტურათაშორისი ეფექტური კომუნიკაცია. ამ საფეხურისთვის დამახასიათებელია შემდეგი ფრაზები: „რათა რეალურად დავეხმარო მოსწავლეს, რომ შეძლოს კარგად სწავლა, მე უნდა შევცვალო მთლიანად ჩემი მიღვომა“, „მე ვიცი, რომ მოსწავლეებმა იშრომეს გულმოდგინედ, რათა აჰყოლოდნენ ჩემს სტილს, მაგრამ რადგან მათ ეს ვერ შეძლეს, მე უნდა


გადავდგა მათკენ ნაბიჯი და მოვახდინო ჩემი სტილის მათგის უფრო მისაღები სტილით ადაპტირება”, „მე განსხვავებული ურთიერთობა მაქვს ჩემი მოსწავლეების მშობლებთან იმისდა მიხედვით, თუ რომელ ეთნიკურ ან რელიგიურ ჯგუფს ეპუთვნიან და რა კულტურული ლირებულებები და ფასეულობები გააჩნიათ“.

- 6) **სხვაობათა ინტეგრაცია** ინტერკულტურული სენსიტიურობის განვითარების ბოლო სტადია, რომლის მიღწევა ძალიან როცლია და რაც ძალიან იშვიათად გვხვდება რეალობაში. ამ საფეხურზე ინდივიდს შეუძლია თანაბრად და ეფექტურად იმოქმედოს ორი, შესაძლოა, სრულიად განსხვავებული კულტურის ფარგლებში. ამ საფეხურისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი ფრაზები და გამოთქმებია: „ყველგან სახლია, თუკი შენ იცი, როგორ იცხოვო იმ გარემოში”, „მე ვგრძნობ თავს ყველაზე კარგად, როცა ვაშენებ ხიდებს თრ სხვადასხვა კულტურას შორის, რომლებსაც მე პირადად ძალიან კარგად ვიცნობ”, „როგორი სიტუაციაც არ უნდა იყოს, მე შემიძლია დავინახო და გავაანალიზო ის სხვადასხვა კულტურული პერსპექტივიდან გამომდინარე“.

აღსანიშნავია, რომ ბენეტის მოდელის ასახვა სასწავლო პროცესში არის ყველაზე მოსახერხებული, რამეთუ იგი ეფუძნება ბლუმის კოგნიტური განვითარების ტაქსონომიას მარტივიდან როცლისაკენ და, შესაბამისად, შესაძლებელს ხდის ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარების შეფასებას. შესაბამისად, სასწავლო გეგმის ყველაზე მარტივმა დონემ უნდა ასახოს, სულ მცირე, სხვაობების მინიმიზაციის უნარის განვითარება მოსწავლეებში. ხოლო ამ მიმართულებით ყველაზე მეტად შორსმიმავალმა სასწავლო გეგმამ შეიძლება მოიცვას მოსწავლის მიერ სხვადასხვა სოციოპულტურულ კონტექსტში სხვაობების შესახებ საკუთარი აზრების რეორგანიზება, შეფასება და შესაბამისი ქმედება.

რადგან ბლუმის კოგნიტური განვითარების ტაქსონომია ვახსენეთ, ალბათ საინტერესოა აღნიშნული ტაქსონომიის განხილვაც და ინტერ-კულტურული მგრძნობელობის განვითარების კონკრეტული მაგალითის ჩვენება ბლუმის ტაქსონომიის გათვალისწინებით.

ბენზამენის ბლუმმა შეიმუშავა სააზროვნო (კოგნიტური) უნარების განვითარების ტაქსონომია სპეციალურად განათლების სისტემისათვის. ბლუმის მიხედვით, აზროვნების ან შემეცნების უნარი ექვს დონედ შეიძლება დაყოს: **ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი** და **შეფასება**. ცოდნა, გაგება და გამოყენება არის აზროვნების დაბალი დონეები, ხოლო ანალიზი, სინთეზი და შეფასება – მაღალი დონეები.



ცოდნა – I დონე:

ფაქტების, მოვლენების, მეთოდების, პროცესების, ხერხების დამახსოვრება
და ცოდნა

| | |
|---------------------------------------|---|
| <u>მოსწავლეს შეუძლებელობა:</u> | <ul style="list-style-type: none"> დაკვირვება და ინფორმაციის გახსენება, დამახსოვრება თარიღების, მოვლენების ადგილების ცოდნა ძირითადი იდეების ცოდნა საგნის შინაარსის ცოდნა |
| <u>კითხვების მაგალითები</u> | <ul style="list-style-type: none"> რა მოხდა შემდეგ? რამდენი? რამდენჯერ? ვინ? შეგიძლიათ დაასახელოთ? აღწერეთ რა მოხდა ვინ ესაუბრა? შეგიძლიათ ახსნათ რატომ? რას ნიშნავს? რომელია სწორი / არასწორი? |

ზმები: ჩამოთვლა, განსაზღვრა, აღწერა, გამოყოფა, ჩვენება, შეგროვება, შესწავლა, დახარისხება, დამახსოვრება, დაკავშირება, გამეორება, ციტირება, და ა.შ.

აქტივობების მაგალითები: ჩამოთვალეთ მთავარი მოვლენები; შექმენით მთავარი მოვლენების ქრონოლოგია; გააკეთეთ იმ ინფორმაციის ჩამონათვალი, რომლის დამახსოვრებაც შეგიძლიათ; ჩამოთვალეთ ნაწარმოების პერსონაჟები, გააკეთეთ სქემა, რომელიც აჩვენებს და ა.შ.

ბაბება – II დონე:

მოსწავლეს ესმის შესწავლითი მასალის მნიშვნელობა და შეუძლია მისი გამოყენება, თუმცა არ შეუძლია მისი სხვა მასალასთან დაკავშირება ან მისი ფართო ჭრილში ხედვა.

| | |
|---------------------------|--|
| <u>მოსწავლეს შეუძლია:</u> | <ul style="list-style-type: none"> • ინფორმაციის გაგება • ფაქტების ინტერპრეტირება და შედარება • ფაქტების და იდეების ორგანიზება და შერჩევა • მოსალოდნელი შედეგების / განვითარების პროგნოზირება • საკუთარი სიტყვებით აღწერა |
|---------------------------|--|

| | |
|---------------------------------|--|
| <u>კონკენტრაციის მაგალითები</u> | <ul style="list-style-type: none"> • მოყევით... • გადმოეცით თქვენი სიტყვებით ... • შეგიძლიათ მოკლე მონახაზის გაკეთება? • რა მოხდება შემდეგ? • რა არის მთავარი იდეა / არსი? • ვინ არის მთავარი პერსონაჟი? • შეგიძლიათ განასხვავოთ? • რა განსხავებაა ... შორის? • შეგიძლიათ თქვენი მოსაზრების შესახებ მოიყვანოთ მაგალითი? • შეგიძლიათ განსაზღვროთ? |
|---------------------------------|--|

ზრდა: შეჯამება, აღწერა, ინტერპრეტირება, შედარება, პროგნოზირება, განსხვავება, განხილვა, დანაწილება, კლასიფიცირება, განმარტება, მითითება, პერეფრაზირება, საკუთარი სიტყვებით გადმოცემა, გადათარგმნა, შერჩევა, განსაზღვრა, ა.შ.

აქტივობების მაგალითები: დაასურათეთ რომელიმე მოვლენა; ჩამოაყალიბეთ ნაწარმოების მთავარი იდეა; შეიმუშავეთ და შეასრულეთ სცენარი ნაწარმოების მიხედვით; მოყევით მოთხოვთ თქვენი სიტყვებით; შეაჯამეთ ნაწარმოებში განვითარებული მოვლენები და ა.შ.

ბამოყვება – III დონი:

აბსტრაქციების (მაგ: პრინციპების, თეორიების, იდეების) პრაქტიკაში
გამოყენება

| | |
|---------------------------|---|
| <u>მოსწავლეს შეუძლია:</u> | <ul style="list-style-type: none"> ინფორმაციის, ფაქტების, წესების, პრინციპების გამოყენება მეთოდების, ცნებების, თეორიების სხვადასხვა სიტუაციებში გამოყენება პრობლემების გადაჭრა სავალდებულო უნარებისა და ცოდნის გამოყენებით |
|---------------------------|---|

| | |
|---------------------------------|--|
| <u>კითხვების მაგალითები</u> | <ul style="list-style-type: none"> რა არის მაგალითი? როგორ უკავშირდება აღნიშნული ...? რამდენად მნიშვნელოვანია ? იციოთ თუ არა სხვა შემთხვევა, როდესაც...? შეიძლებოდა თუ არა აღნიშნული მომხდარიყო...? შეგიძლიათ თუ არა დააჯგუფოთ ... მახასიათებლების მიხედვით? რა ფაქტორებს შეცვლიდით, თუ...? შეიძლება თუ არა ამ მეთოდის გამოყენება მოცემულ სიტუაციაში? როგორ შეკითხვებს დასვამდით, თუ...? აღნიშნული ინფორმაციის გამოყენებით, როგორ ინსტრუქციებს შეიმუშავებდით? ლირებულია თუ არა ეს ინფორმაცია, იმ შემთხვევაში, თუ...? |
|---------------------------------|--|

ზმნები: გამოყენება, ანგარიში, დასრულება, დახასიათება, ჩვენება, ამოხსნა, შეცვლა, მოდიფიცირება, ექსპერიმენტის ჩატარება, ამორჩევა, დაგეგმვა, კლასიფიცირება, ინტერპრეტირება, შემუშავება და ა.შ.

აქტივობების მაგალითები: შექმენით მოდელი, რომელიც აჩვენებს აღნიშნული პრინციპის პრაქტიკაში გამოყენებას; შექმენით მნიშვნელოვანი მოვლენების ამსახველი სქემა; შექმენით ფოტოსურათების კოლექცია, რომელიც გამოხატავს თქვენს დამოკიდებულებას მოცემული საკითხისადმი; შექმენით ფაზლი (გამოსაცნობი თამაში), რომლისთვისაც გამოიყენებოთ მოცემულ საკითხში თქვენს ცოდნას; დაწერეთ მოთხოვობა, სტატია; შემოსეთ თოჯინა მის ეროვნულ ტანსაცმელში და ა.შ.

ანალიზი – IV დონე:

მთლიანი საგნის ცალკე ნაწილების, მხარეების და თვისებების გამოყოფა და მათ შორის კავშირის დანახვა.

| | |
|-------------------------------|--|
| <u>მოსწავლეს შეუძლიანობა:</u> | <ul style="list-style-type: none"> ერთი მთლიანობის ცალკეულ კომპონენტებად დაშლა მთლიანობის / მოცემულობის სტრუქტურის განსაზღვრა მსგავსებების აღმოჩენა ცალკეული კომპონენტების / ნაწილების ორგანიზება დაფარული აზრის / მნიშვნელობის მიხვედრა და ამოცნობა პროცესების კანონზომიერებების გამოვლენა მიზეზებსა და შედეგებს შორის კავშირის დამყარება ძირითადი ტენდენციების გამოვლენა |
|-------------------------------|--|

| | |
|---------------------------------|---|
| <u>კოთხვების მაგალითები</u> | <ul style="list-style-type: none"> რა ნაწილებისგან შედგება ...? რა ძირითადი მახასიათებლები გააჩნია ...? გააკეთეთ აღნიშნული საგნების კლასიფიკაცია ... მიხედვით ჩამოთვალეთ გარემოები, რომელიც დაადასტურებს თქვენს მოსაზრებას რა მოვლენები შეიძლება მომხდარიყო...? თუ ... მოხდებოდა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები? როგორი იქნებოდა დასასრული? რა მსგავსებაა ... შორის? რაში მდგომარეობს ნაწარმოების დაფარული არსი? რას გულისხმობდა მწერალი, როდესაც ...? რა შესაძლო შედეგები შეიძლება ჰქონოდა აღნიშნულ მოვლენას? რამ გამოიწვია ცვლილებები? შეგიძლიათ შეადაროთ ... პრეზენტაციაში აღწერილ ...? კიდევ რა პრობლემებს გამოყოფით? შეგიძლიათ განასხვავოთ? რა ამოძრავებდა (რა იყო მოტივი) ... დროს? რომელი იყო თამაშის გადამწყვეტი მომენტი? |
|---------------------------------|---|

ქმნები: გაანალიზება, გამოყოფა, ახსნა, განმარტება, დაკავშირება, კლასიფიცირება, დაყოფა, შედარება, შერჩევა, შეფასება, დაანგარიშება, გამოთვლა, კატეგორიზაცია, კრიტიკა, შემოწმება, შესწავლა, ექსპერიმენტის ჩატარება და ა.შ.

აქტივობების მაგალითები: შეიმუშავეთ კითხვარი, რომლის საშუალებითაც შეძლებთ ინფორმაციის შეგროვებას; შექმნით მასალის რეკლამა, შეისწავლეთ საკითხი სიღმისეულად თქვენი მოსაზრების დასაბუთების მიზნით; შექმნით სქემა, სადაც ასახული იქნება მნიშვნელოვანი მოვლენების თანმიმდევრობა; შექმნით „ოჯახის ხე“ სადაც აჩვენებთ მითითებულ ადამიანებს შორის ნათესაურ კავშირს; დაწერეთ შესწავლილი პერსონაჟის ავტობიოგრაფია; განიხილეთ ხელოვნების ნიმუში გამოყენებული ფერებისა და ტექსტურის ჭრილში და ა.შ.

სინთეზი – V დონე:

ახალი მთლიანობის / ერთეულის შექმნა ცალკე მოცემული ელემენტების (ნაწილების, თვისებების) გაერთიანების საშუალებით.

| | |
|---------------------------|--|
| <u>მოსწავლეს შექმნია:</u> | <ul style="list-style-type: none"> მისთვის ცნობილი იდეების / ცოდნის გამოყენებით ახალი ერთეულის შექმნა მოცემული ფაქტების / ინფორმაციის განზოგადება სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის დაკავშირება პროგნოზირება, დასკვნების გაკეთება |
|---------------------------|--|

| | |
|-----------------------------|---|
| <u>კითხვების მაგალითები</u> | <ul style="list-style-type: none"> რა პროგნოზს გააკეთებდით ? რა დამატებითი იდეები გაგაჩნიათ ... დაკავშირებით? როგორ შექმნით ახალ ...? რა მოხდება ... კომბინაციის შემთხვევაში? პრობლემის მოგვარების რა გზებს შემოგვთავაზებთ? შეგიძლიათ შექმნათ ახალი ...? ხედავთ თუ არა ... მოგვარების გზას? თქვენ როგორ მოიქცეოდით მოცემულ სიტუაციაში? |
|-----------------------------|---|

| | |
|--|---|
| | <ul style="list-style-type: none"> • რა მოხდებოდა, თუ ...? • შეგიძლიათ შეიმუშავოთ შეთავაზების წერილი, რომელიც ... |
|--|---|

ზრნები: კომბინაცია, ინტეგრირება, მოდიფიცირება, შეცვლა / გადაწყობა, ჩანაცვლება, დაგეგმვა, შექმნა, გამოგონება, ფორმულირება, განზოგადება, შეგროვება, განვითარება, მართვა, ორგანიზება, შეთავაზება, აწყობა და ა.შ.

აქტივობების მაგალითები: გამოიგონეთ მოწყობილობა, რომელიც შეასრულებს მოცემულ ფუნქციას; შექმენით შენობის პროექტი მოცემული დანიშნულებისათვის; მოიფიქრეთ სახელი და შეიმუშავეთ გეგმა მითითებული მარკეტინგული კომპანიისთვის; აღწერეთ თქვენი დამოკიდებულება ... მიმართებით; შექმენით ლექსი, მოთხოვობა, პიესა ... შესახებ; შექმენით წიგნის / ჟურნალის თავფურცელი და ა.შ.

შევასმბა – VI დონე:

მასალის, მეთოდების, იდეების შესახებ მსჯელობა და დასკვნების გამოტანა

| | |
|----------------------------------|--|
| <u>მოსწავლეს შეა-ძლია:</u> | <ul style="list-style-type: none"> • შედარება და გამოყოფა • თეორიის მნიშვნელობის / ღირებულების შეფასება • არჩევანის გაპეთება რაციონალური და არგუმენტირებული გადაწყვეტილების საფუძველზე • შეხედულებების, მსჯელობის, გადაწყვეტილებების ჩამოყალიბება |
| <u>კონსულტაციების მაგალითები</u> | <ul style="list-style-type: none"> ▪ ეთანხმებით? ▪ რას ფიქრობთ ... შესახებ? ▪ რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ...? ▪ განალაგეთ მოცემული ... პრიორიტეტულობის მიხედვით ▪ როგორ მიიღებთ გადაწყვეტილებას ... შესახებ? ▪ რა კრიტერიუმებს გამოიყენებთ ... შესაფასებლად? ▪ არსებობს თუ არა პრობლემის მოგვარების უფრო ეფექტური საშუალება? |

| | |
|--|---|
| | <ul style="list-style-type: none"> ▪ შეგიძლიათ დაასაბუთოთ თქვენი პოზიცია? ▪ თქვენი შეფასებით ... არის პოზიტიური თუ ნეგატიური? ▪ როგორ მოაგარებდით...? ▪ რა ცვლილებებს შემოგვთავაზებდით ...? ▪ რამდენად ეფექტურია ... ? ▪ რა რეაქცია გექნებოდათ, თუ ...? |
|--|---|

ზმნები: შეფასება, გადაწყვეტილების მიღება, შემოწმება, გაზომვა, რეკომენდაციის შემუშავება, დარწმუნება, შერჩევა, განსჯა, ახსნა, დასკვნის გაკეთება, შედარება, შეჯამება, შეფასება, მსჯელობა, დასაბუთება, პროგნოზირება და ა.შ.

აქტივობების მაგალითები: შეიმუშავეთ ... განხილვისათვის საჭირო კრიტერიუმების ჩამონათვალი; გამოყავით პრიორიტეტები; ჩაატარეთ დებატები თქვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ; დაარწმუნეთ სხვები ...; შეიმუშავეთ 5 წესი, რომელიც თქვენი აზრით მნიშვნელოვანია და ა.შ.

ბლუმის კოგნიტური განვითარების ტაქსონომიის კონტექსტში ინტერაქციურული მგრძნობელობის განვითარება, მარტივი მაგალითოსათვის, ასე შეიძლება გამოიყერებოდეს:

| | |
|-----------|---|
| 1. ცოდნა | <ul style="list-style-type: none"> • ობიექტების, ფაქტების, თარიღების, ტერმინების, წესების, პრინციპების, პროცესების ცოდნა; • არსებული კლასიფიკაციებისა და კატეგორიების ცოდნა <p>მაგალითად, საქართველოს ეთნიკური, რელიგიური და ლინგვისტური შემადგენლობის ცოდნა.</p> |
| 2. გაგება | <ul style="list-style-type: none"> • საკუთარი სიტყვებით გადმოცემის უნარი (ფაქტები, წესები...); • ტექსტიდან მირითადი აზრის გამოტანა; • ინფორმაციის ერთი ფორმიდან მეორეზე გადატანა; <p>მაგალითად, საქართველოს ეთნიკური, რელიგიური და ლინგვისტური შემადგენლობის მარტივი კატეგორიზაციით (მრავალრიცხვანი და მცირე ეთნიკური/ რელიგიური /ლინგვისტური ჯგუფები) ცხრილის ან სქემის შედგენა.</p> |

| | |
|---------------|---|
| 3. გამოყენება | <ul style="list-style-type: none"> • მიღებული ინფორმაციის გამოყენება პრაქტიკაში; • ნიმუშისა და პრინციპების მიხედვით დავალებისა და სამუშაოს შესრულების უნარი; • არსებული კანონზომიერების გავრცელების ფარგლების განსაზღვრა <p>მაგალითად, საქართველოს ეთნიკური, რელიგიური და ლინგვისტური შემადგენლობის საქართველოს რუქაზე გადმოტანა და ასახვა ან ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური რუქის შედგენა.</p> |
| 4. ანალიზი | <ul style="list-style-type: none"> • მოვლენის, შინაარსის, დაფარული აზრის აღმოჩენა და ახსნა; • პროცესთა შორის კანონზომიერების გამოვლენა; • მოვლენებს შორის მიზეზ – შედეგობრივი კავშირების დადგენა; <p>მაგალითად, აზერბაიჯანული და სომხური კულტურის გავლენის გამოვლენა თბილისური კულტურის ჩამოყალიბების პროცესში.</p> |
| 5. სინთეზი | <ul style="list-style-type: none"> • ცალკე მოცემული ელემენტების გაერთიანება; • ახალი პროდუქტის შექმნა; • პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული გზების ჩამოყალიბება; <p>მაგალითად, სომხური, აზერბაიჯანული/თურქული, ოსური, აფხაზური, რუსული, ინგლისური, ფრანგული ენის კლემწერების გამოვლენა თანამედროვე ქართულ ენაში და „ნასესხები სიტყვების ლექსიკონის“ შექმნა.</p> |
| 6. შეფასება | <ul style="list-style-type: none"> • საკუთარი პოზიციის არგუმენტირებული დასაბუთება; • გარკვეულ კრიტერიუმებსა და სტანდარტებზე დაყრდნობით დასკვნების გაკეთება; • მოსაზრებების, თეორიების, ღირებულებების დასაბუთება; <p>მაგალითად, სხვადასხვა რელიგიური თუ ფილოსოფიური მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, აბო თბილელის მოღვაწეობის წარმოჩენა და დასაბუთება.</p> |

აქვე გთავაზობთ სამ მაგალითს, წარმოდგენილს საგანმანათლებლო სიტუაციის სახით, რათა შეფასოთ და გაანალიზოთ ამ შემთხვევებში მოქმედი მასწავლებლების ინტერკულტურული მგრძნობელობის ეტაპები.

საბანამანათლებლო სიტუაციები

სიტუაცია 1. ქართული ენის „მისიონერი“ პედაგოგი

მე მეშვიდე ცაზე ვარ. შემიძლია ხმამაღლა განვაცხადო, რომ ვარ ბედნიერი, რამეთუ გავატარე წელიწადნახევარი ქვემო ქართლის არაქართულენოვან სკოლაში ქართული ენის მასწავლებლად. ქართულ ენას ვასწავლიდი როგორც სკოლის მოსწავლეებს, ასევე მათ მშობლებს და ამავე სკოლის მასწავლებლებს. აღნიშნული წელიწადნახევარი დაუგიწყარი გამოცდილება იყო ჩემთვის. ოუმცა მე მარტო მასწავლებელი არ ვიყავი, ამ სოფლის ოემთან ერთად ვაწყობდი სხვადასხვა კულტურულ დონისძიებებს, გაგროვებდი მოხალისებებს რადგან თემს თვითონგე მოეგვარებინა ადგილობრივი პრობლემები, ვცდილობდი ენის სწავლების გარდა მაქსიმალურად შემეწყო ხელი მათვის რათა ზიარებულიყვნენ ქართულ კულტურას.

წელიწადნახევრის განმავლობაში ვცხოვრობდი აზერბაიჯანულ ოჯახში, რის შედეგადაც მთლიანად შევისწავლე და გავითავისე მათი ყოფა, აღსანიშნავია, რომ მათაც მოახდინეს თავიანთი ყოფის ადაპტირება ქართულ კულტურასთან და ცდილობდნენ თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში ქართული კულტურისთვის დამახასიათებელი ნიშნები დაემცვიდრებინათ.

წელიწადნახევრის შემდგომ დამთავრდა ჩვენი პროგრამა და სამუშაოდ გადმოვედი თბილისის ქართულ საჯარო სკოლაში მასწავლებლად. მე იმდენად აღფრთოვანებული ვარ მიღებული გამოცდილებით, რომ მაქსიმალურად ვცდილობ, ეს გამოცდილება გარკვეულწილად მიიღონ ჩემმა მოსწავლეებმაც. ამ ბოლო დროს ორგანიზება გავუკეთე ჩემი ამჟამინდელი სკოლისა და ყოფილი სკოლის მოსწავლეებს შორის გაცვლით პროგრამას. ერთი თვის წინ ჩავატარე აღნიშნულ ორ სკოლას შორის ინტელექტუალური თამაში ქართულ და აზერბაიჯანულ კულტურათა შესახებ ცოდნის თაობაზე. ამჟამად ვგეგმავ ახლანდელი და ყოფილი სკოლის მოსწავლეებისათვის კულტურულ-

საგანმანათლებლო ბანაკის ორგანიზებას, სადაც მთავარი აქცენტი გაკეთდება ქართულისა და აზერბაიჯანული ენისა და კულტურის შესწავლაზე მოსწავლეების მიერ. კიდევ არაერთი საინტერესო ღონისძიება მაქვს დაგეგმილი, თუმცა მთავარი პრობლემა ისევ და ისევ ფინანსებია, სკოლის ფინანსებით ყველა ჩანაფიქრის განხორციელება ვერ ხერხდება, თუმცა, ალბათ, მთავარი სურვილია და თანდათანობით შევასხამ ფრთხებს ჩემს ჩანაფიქრებს.

რაც მთავარია, მე თვალნათლივ დავინახე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, შეხედო საკითხებს სხვადასხვა პერსპექტივის გათვალისწინებით. ჩემი ჩამოსვლის შემდეგ თბილისში მეგობრები ხშირად ვერ მიგებენ, მეუბნებიან, რომ სხვანაირი გავხდი, არ აინტერესებთ ჩემი ნაამბობი აზერბაიჯანული კულტურის, ტრადიციებისა თუ ჩვეულებების შესახებ.



ალბათ არ არის იმაზე მეტად მნიშვნელოვანი არაფერი მასწავლებლისთვის, ვიდრე ის, რომ შეძლოს, მოსწავლეს განუვითაროს მრავალმხრივი ხედვისა და საკითხების სხვადასხვა პერსპექტივით აღქმის უნარი. თბილისის სკოლაში ჩემი მოღვაწეობის მთავარი მიზანიც სწორედ

ეს არის. ვცდილობ რომ მოსწავლეებმა გააანალიზონ კონკრეტული ნაწარმოებები თუ გმირთა ქმედება არა მხოლოდ ქართული კულტურისა თუ რელიგიის, არამედ განსხვავებული კულტურის პერსპექტივიდან, იმსჯელონ მრავალფეროვნების საკითხებზე და ა.შ. ხშირად ამის მიღწევა ძნელია, თუმცა მე ვიქნები ბედნიერი, თუ შევძლებ მოსწავლეებში ამ უნარის განვითარებას, თუ შევძლებ გარკვეული ხიდების გადებას საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ თუ რელიგიურ ჯგუფებს შორის.

შეკითხვები ამ შემთხვევის ანალიზისთვის:

- 1) ოქენი აზრით, ბენეტის ინტერკულტურული მგრძნობელობის განვითარების რომელ საფეხურზეა ეს „მისიონერი“ მასწავლებელი?
- 2) რა რჩევებს მისცემდით მისიონერ მასწავლებელს, რათა შეძლოს საკუთარ მოსწავლეებში ინტერკულტურული მგრძნობელობის განვითარება და საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით მათვის მრავალმხრივი ხედვების ჩამოყალიბება?

სიტუაცია 2. მარნეულის ქართულენოვანი სკოლის ქართული ენის მასწავლებელი

სიმართლე გითხრათ, უკვე დავიღალე, აღარ შემიძლია ამდენი, უკვე ყოველდღე ტარდება შეხვედრები, თუ როგორ შევუწყოთ ხელი ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეებს სწავლების პროცესში. მართალია, მათი რიცხვი ჩვენ სკოლაში ამ ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა, მაგრამ მათზე ამდენია ყურადღებამ უკვე დამდალა, უმჯობესია დამანებონ თავი, რომ ვაკეთო ჩემი საქმე და ვასწავლო მოსწავლეებს. ნერვები მეტლება, როცა მთხოვენ, დავრჩე სკოლის შემდეგ და დავვესწრო სემინარს ინტერკულტურული განათლების შესახებ. ეს კურსები არაფერს მაძლევს იმაზე მეტს, რაც უკვე ვიცი... 25 წელია ამ რაიონში ვასწავლი და გამოცდილება მაქვს უკვე საკმაოდ და აღარ მჭირდება ამ ახალგაზრდების მიერ სწავლება მრავალფეროვნების, როგორც რესურსის, გამოყენების შესახებ სასწავლო პროცესში.

მე ვფიქრობ, რომ კულტურა არაფერ შუაშია, აქ საქმე მხოლოდ თვითონ მოსწავლესა და მშობელშია, მნიშვნელობა არ აქვს მოსწავლის კულტურულ წარმომავლობას... მე ვფიქრობ, რომ მოსწავლეები დაახლოებით ერთნაირები არიან, არის მათ შორის რადაც სხვაობა, ზოგიერთი ითვისებს საგანს უფრო ადვილად, ზოგიერთი – უფრო ძნელად, ზოგიერთი ძლიერია ესთეტიკურ საგნებში, ზოგიც საბუნებისმეტყველო და ზოგიც საზოგადოებრივში, მაგრამ ძირითადად ყველა მოსწავლე მაინც ერთნაირია. მე მინდა, რომ თითოეული მათგანი იყოს წარმატებული და, შესაბამისად, მათ ყველას ვასწავლო თანაბრად. მოსწავლისათვის მთავარია, პქონდეს სტაბილური ოჯახი და მას წარმატება გარანტირებული ექნება სკოლაში. ამ ბოლო დროს იმატა განქორწინების რიცხვმა, ანუ ოჯახი გახდა არასტაბილური და აქ არის მთავარი პრობლემა და არა მოსწავლის კულტურაში და მასწავლებლის მიერ ამ კულტურული მახასიათებლის გაუთვალისწინებლობაში. სწორედ ოჯახებში უნდა ვეძიოთ მოსწავლის წარუმატებლობის მიზეზები.

შეკითხვები ამ შემთხვევის ანალიზისთვის:

- 1) თქვენი აზრით, ბენეტის ინტერკულტურული მგრძნობელობის განვითარების რომელ საფეხურზეა ეს მასწავლებელი?
- 2) რა რჩევებს მისცემდით ამ მასწავლებელს, რათა შეძლოს საკუთარი ინტერკულტურული მგრძნობელობის განვითარება?

სიტუაცია 3.

არაქართულენოვანი მოსწავლეს აქვს დაბალი ენობრივი კომპეტენცია სხვა მოსწავლეებთან შედარებით, რამეთუ იგი სწავლობს ქართულ სკოლაში, სადაც მოსწავლეებისთვის ქართული ენა მშობლიურია. მასწავლებელი, დაბალი ენობრივი კომპეტენციის გამო, მოსწავლის იზოლირებას ახდენს და არ რთავს მას სასწავლო პროცესში, რასაც შესაბამის ახსნასაც უმებნის: „შენ ხომ ქართულად რამდენიმე სიტყვას ძლივს აბაზ“.

მნიშვნელოვანია, ყველა მასწავლებელმა გაისიგრძებანოს, რომ დაბალი ენობრივი კომპეტენცია არ ნიშნავს დაბალი კოგნიტური განვითარების უნარს. დაბალი ენობრივი კომპეტენციის მქონე მოსწავლე არ ნიშნავს, რომ ვერ აზროვნებს და არ გააჩნია განსჯის უნარი. შესაბამისად, მისი სასწავლო პროცესიდან იზოლირების ნაცვლად, პედაგოგმა უნდა გამოიყენოს ყველა სტრატეგია და რესურსი მისი მაქსიმალურად ინტეგრირებისათვის და მისი ცოდნის წარმოსაჩენად. მიუხედავად დაბალი ენობრივი კომპეტენციისა, მოსწავლე შეიძლება ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გახდეს, ამიტომ არ შეიძლება მოხდეს მისი დათრგუნვა და მასში სწავლის მოტივაციის ჩაკვლა.

ინტერკულტურული სწავლების მიღები

მულტიკულტურული განათლების ცნობილმა მეცნიერმა ჯეიმს ბენქსმა გამოყო ოთხი მოდელი, რომელიც სწავლების პროცესში მულტიკულტურული განათლების ასახვის ოთხ განსხვავებულ მიღვომას წარმოაჩენს: 1) კონტრიბუციული მიღვომა; 2) დამატებითი მიღვომა; 3) ტრანსფორმაციული მიღვომა; 4) სოციალური ქმედებების მიღვომა. თითოეული ეს მიღვომა უნდა იყოს ასახული სასწავლო გეგმებსა და სახელმძღვანელოებში, თუმცა მაქსიმალური აქცენტი უნდა გაკეთდეს ტრანსფორმაციული და სოციალური ქმედებების მიღვომის ეტაპობრივად დანერგვაზე.

კონტრიბუციული მიღვომა

ამ მიღვომას ხშირად გმირებისა და დღესასწავლების შესახებ მიღვომასაც უწოდებენ. მიღვომა წარმოადგენს საწყის დონეს სასწავლო გეგმაში მულტიკულტურული განათლების ინტეგრაციისთვის. სწორედ ეს მიღვომა გამოიყენება ყველაზე ხშირად პრაქტიკაში, რადგან ყველაზე მარტივია. აღნიშნული მიღვომით, სასწავლო გეგმაში ხდება

უმცირესობათა წარმომადგენელი გმირებისა და დღესასწაულების ჩართვა და ამ გზით უმცირესობების, ისევე, როგორც უმრავლესობის წარმომადგენელი, იდებს ინფორმაციას განსხვავებული კულტურის შესახებ. ამ შემთხვევაში სასწავლო გეგმა რჩება უცელელი ძირითადი სტრუქტურის, მიზნებისა და ძირითადი იდების თვალსაზრისით. შინაარსი იცვლება მხოლოდ რამდენიმე დღის ან დონისძიების დამატებით (დომინანტი კულტურისგან განსხვავებული კულტურის დღეები, საიათნოვას საღამო და ა.შ.).



როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს მიდგომა არის ყველაზე პოპულარული მისი სიმარტივის გამო. ის არ ითხოვს დამატებით ცვლილებებს სასწავლო გეგმაში და ამ გზით შესაძლებლია შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ მრავალფეროვნება არის ასახული სასწავლო პროცესში. თუმცა ამ მიდგომას აქვს ძალიან ბევრი ლიმიტები. კერძოდ, ეს მიდგომა არ აძლევს საშუალებას მოსწავლეებს, დაინახონ ის მნიშვნელობა, რაც ენიჭებათ უმცირესობებს ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში. გმირების და დღესასწაულების შესახებ ღონისძიება მხოლოდ დანამატია სასწავლო პროცესზე და არ იძლევა საფუძველს რომ

მსჯელობა გაიმართოს ისეთ თემებზე როგორიცაა დისკურსინაცია, სოციალური სამართლიანობა, სოციალური უთანასწორობა, ეთნოცენტრიზმი და ქსენოფობია, რაც დამახსასიათებელია საზოგადოებისთვის და რის გააზრებაც და შეცვლაც არის მნიშვნელოვანი. მხოლოდ აღნიშნული ღონისძიებებით შემოფარგვლამ შეიძლება უკუშედეგიც გამოიდოს და მოსწავლეებში ჩამოაყალიბოს სტერეოტიპი: „ოუ ძლიერი ხარ, შეძლებ, იყო წარმატებული; უმცირესობები წარუმატებლები არიან იმიტომ, რომ მათ მეტი არ შეუძლიათ, თორებ ვინც მართლა მოინდომა, წარმატებას მიაღწია“.

დამატებითი მიდგომა

დამატებითი მიდგომა წარმოადგენს სასწავლო პროცესში მულტიკულტურული განათლების ასახვის მეორე დონეს. ამ მიდგომის შესაბამისადაც, სასწავლო პროცესში ხდება შინაარსზე გარკვეული ინფორმაციის დამატება. ამ მიდგომას, კონტრიბუციული მიდგომის მსგავსად, აქვს იგივე შეზღუდვები და უკუშედეგებიც. ამ მიდგომის ერთ-ერთი მაგალითი შეიძლება იყოს ის, რომ მე-19 საუკუნის თბილისის გაცნობისას მოსწავლეებს მიაწოდო ინფორმაცია მე-19 საუკუნის თბი-



ლისში სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მოქალაქეების თანაცხოვრებაზე, მაგრამ არ აუხსნა, თუ რა როლი შეასრულეს უმცირესობების წარმომადგენლებმა თბილისური თუ ქართული კულტურის ფორმირებაში.

ტრანსფორმაციული მიდგომა

ტრანსფორმაციული მიდგომა განსხვავდება მთლიანად პირველი ორი მიდგომისაგან. ის აძლევს საშუალებას მოსწავლეს, დაინახოს საკითხი სხვადასხვა კულტურული პერსპექტივიდან. ტრანსფორმაციული მიდგომის წარმოჩენისათვის შეგვიძლია ავიდოთ რამდენიმე მაგალითი. კერძოდ, „გეოგრაფიული აღმოჩენების“ სწავლება. გეოგრაფიული აღმოჩენების სწავლებისას ძირითადად გამოიყენება დასავლური მოძრაობის პოზიტიური კონტექსტი და თუ როგორ მოხდა ახლად აღმოჩენილ მიწებზე კულტურული ექსპანსია და ამ ტერიტორიების „გაკულტურება“. თუმცა, აღნიშნული საკითხის განხილვისას არ ხდება განხილვა და მოსწავლის ინფორმირება, თუ რა გავლენა მოახდინა ამ მოძრაობამ ამერიკელ აბორიგენ მოსახლეობაზე, თუ როგორ გაჩნდა ინდიულთა და სხვა ტომების რეზერვაციები, მათი სკოლები, მისიონერთა საქმიანობა, ამ მოსახლეობის გენოციდის ფაქტები, აფროამერიკელი მოსახლეობის მონობის და დატყვევების ფაქტები. ტრანსფორმაციული მიდგომის მიხედვით, მოსწავლეს მიეწოდება ყველა სახის ინფორმაცია გეოგრაფიული აღმოჩენების შესახებ, როგორც პოზიტიური, ასევე ნებატიური ფაქტორები, რაც ამ მოძრაობას ახლდა თან და ადგილი აქვს ამ მოვლენათა ანალიზს და შეფასებას მოსწავლეების მიერ. ტრანსფორმაციული მიდგომის მაგალითად შესაძლებელია მოვიყვანოთ უახლესი ისტორიის მაგალითი - ამერიკელების მიერ ერაყში შეჭრა დემოკრატიის დასამყარებლად კოსოვოს დამოუკიდებლობისთვის მებრძო-



ლი ხალხის ადიარების პრეცედენტი, როგორც დემოკრატიისა და განვითარებისკენ მიმართული პოლიტიკური ნაბიჯი. ტრანსფორმაციული მიდგომის შესაბამისად, მოსწავლეს მიეწოდება არა მხოლოდ პოზიტიური ხედვები ამ პოლიტიკური აქციების ირგვლივ, არამედ უარყოფითი ფაქტორებიც. მაგალითად, ერაყელი მოსახლეობის ნაწილის დამოკიდებულება ამერიკელთა მოძრაობის წინააღმდეგ, რომლებიც ამერიკელთა აქციას განიხილავდნენ, როგორც აგრესიას და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ანექსიას და არა მათი გათავისუფლებისკენ მიმართულ ქმედებას. ანალოგიურად, კოსოვოს პრეცედენტის სწავლებისას, მოსწავლეს ან სტუდენტს მიეწოდებათ სერბების პოზიცია და ხედვა მათი სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ერთეულის ადიარების შესახებ. ტრანსფორმაციული მიდგომისას ხდება ოუნდაც ძალიან ტაბუდადებული ფაქტების მიწოდება, განხილვა და ანალიზი და მოსწავლე აბსოლუტურად დამოუკიდებელი ხდება საკუთარი პოზიციისა და ლირებულების ფორმირებისას. მას აქეს ყველანაირი ხედვა მიწოდებული და იგი თვითორგანიზებით ახდენს ამა თუ იმ მოვლენაზე უპარ აზრის, პოზიციისა და მსოფლმხედველობის ფორმირებას.

ტრანსფორმაციული მიდგომის მთავარი გამოწვევა სასწავლო პროცესის მთლიანად ტრანსფორმირებაა. მასწავლებელი ამ შემთხვევაში ახდენს საკუთარი პოზიციის ტრანსფორმირებასაც სწავლების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ საკითხზე

მასწავლებელს აქვს საკუთარი პოზიცია, სასწავლო პროცესში ხდება ამ პოზიციის ტრანსფორმირება და ამა თუ იმ საკითხებები მოსწავლეს ინფორმაცია მიეწოდება სხვადასხვა კულტურული პერსპექტივიდან გამომდინარე. ტრანსფორმაციული მიღების პრაქტიკაში განსახორციელებლად მნიშვნელოვანია მასწავლებელთა მიერ საკუთარი ცოდნის დეპონსტრუქცია და საკითხის ანალიზი მრავალმხრივი, მათ შორის სხვა კულტურული პერსპექტივიდან გამომდინარე.

სოციალური ქმედების მიღება

გადაწყვეტილების მიღების და სოციალური ქმედების მიღებმა არის ბოლო საფეხური სასწავლო პროცესში მულტიკულტურული განათლების კომპონენტების ინტეგრაციისათვის. აღნიშნული მიღება მოიცავს ტრანსფორმაციული მიღების აბსოლუტურად ყველა კომპონენტს, თუმცა, დამატებით, გულისხმობს მოსწავლის მიერ გადაწყვეტილების მიღებას და მის შესაბამისად მოქმედებას. მაგალითად, მოსწავლე ან სტუდენტი არა მხოლოდ იღებს და აანალიზებს ინფორმაციას დისკრიმინაციის ან სოციალური უსამართლობის შესახებ სკოლაში ან საზოგადოებაში, არამედ გადადგამს შესაძლებლობების ფარგლებში გარკვეულ ნაბიჯებს ამ დისკრიმინაციისა და სოციალური უსამართლობის აღმოსაფხვრელად.

მიუხედავად განსხვავებული რელიგიური თუ პოლიტიკური შეხედულებებისა, მოსწავლე აანალიზებს საკითხს სხვა კულტურული პერსპექტივიდან და მზად არის, დაიცვას განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანის უფლებები. ამ მიღების მთავარი მიზანია, მოსწავლეში განავითაროს ფიქრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი და ხელი შეუწყოს აქტიური მოქალაქის ფორმირებას. საქართველოს რეალობაში მასწავლებელთა უმრავლესობა არ იყენებს სწავლების პროცესში ინტერკულტურული მგრძნობელობის განვითარებისთვის არანაირ მიღებას. ხოლო იმ მასწავლებელთა დიდი ნაწილი, რომელიც მიიჩნევს, რომ ინტერკულტურული განათლება ასახულია მის სასწავლო გეგმაში,

სწორედ ჯეიმს ბენქსის მიერ ფორმულირებული კონტრიბუციული და დამატებითი მიღებით შემოიფარგლება და უჭირთ საკუთარი ხედვების



ტრანსფორმირება და ტრანსფორმაციული კურიკულუმის შედგენა და განხორციელება. მნიშვნელოვანია, სასწავლო გეგმებში მოხდეს ტრანსფორმაციული და სოციალური ქმედებების მიღებით ინკორპორაცია და დაგეგმილი მასწავლებელთა ტრენინგები მასწავლებლების მიერ ამ მიღებით განხორციელების კენ იყოს მიმართული.

სასწავლო პროცესის ტრანსფორმირება მოსწავლის კულტურული ფაქტორების გათვალისწინებით ძალიან მნიშვნელოვანია. ი. პიუნმა (2006) გამოყო 3 ტიპის სასწავლო პროცესი, რაც მნიშვნელოვანი კურიკულუმის ტრანსფორმაციისთვის და მოსწავლეთა კულტურის თანმხვედრი მეთოდით სწავლებისთვის: (1) სწავლებაზე ორიენტირებული კურიკულუმი; 2) აღმოცენებული კურიკულუმი; (3) შეთანხმებაზე

ორიენტირებული კურიკულუმი. მოკლედ განვიხილავთ თითოეული ამ მიღების მაგალითებს:

სწავლებაზე ორიენტირებული კურიკულუმი

სწავლებაზე ორიენტირებული კურიკულუმის სტანდარტული განმარტება არ არსებობს (პიუნი, 2006) და როცა საუბარია ამ ტიპის სასწავლო პროცესზე იგულისხმება მასწავლებლის როლი და უნარი შეამჩნიოს მოსწავლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორები და ადეკვატურად იმოქმედოს. უან-უაკ რუსო მიიჩნევს, რომ სწავლებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი გულისხმობს მასწავლებლის პასუხისმგებელობას მოსწავლის ბუნებრივ ზრდასა და ინტერესებზე, ხოლო ჯოან პესტალოცი აღნიშნავს, რომ სწავლების მომენტი მნიშვნელოვანია, რათა მასწავლებელმა შეძლოს მოსწავლის ინდივიდუალური განვითარება, ხშირ შემთხვევაში მასწავლებლები აფერხებენ მოსწავლის განვითარებას და სწავლების მომენტი გულისხმობს სწორედ მასწავლებლის მიერ სწორი მიღების შერჩევას მოსწავლის კოგნიტური განვითარებისთვის (პიუნი, 2006).

მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, კარგად გაიაზრონ ინდივიდების კულტურული ფაქტორები და სწავლებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი მოსწავლეთა კულტურულ მახასიათებლებთან თანხვედრაში მოაქციონ. ქვემოთ წარმოგიდგენთ მაგალითს მოსწავლისათვის ქართული ენის ანბანის სწავლებასთან დაკავშირებით, სადაც მასწავლებელმა მოახერხა სწავლებაზე ორიენტირებული მიღების გამოყენება. მაგალითი ადაპტირებულია ი. პიუნის სახელმძღვანელოდან და რელევანტურია საქართველოს კონტექსტთან.

„მარნეულის რაიონის ქართული სკოლის მასწავლებელი ვარ. ჩვენს სკოლაში ბოლო პერიოდში იმატა აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეების რაოდენობამ, რომლებიც ვერ ფლობენ ქართულ ენას და მათთან მუშაობა რთულია.

ერთ-ერთ გაბეჭითილზე ასო „ბ“-ს ვსწავლობდით.

ბავშვებს ვასწავლა,

როგორ იწერება ასო „ბ“

და ამის სასწავლებლად

ადამიანის სახელები

გამოვიყენე.

წარმოვადგინე სურათები

და მოსწავლეებს

ავუხსენი, რომ ეს იყო

ბატონი ბადრი, ბატონი

ბესარიონი, ბატონი

ბაირამი, ბატონი ბიოლი

და ა.შ. რამინძა,

რომელიც

აზერბაიჯანულენოვანი

მოსწავლეა, უცებ



აქცენტი კლასში პატარა ბურთებზე გაამახვილა და აზერბაიჯანულ ენაზე

დაიწყო თვლა და ქართულად სიტყვა ბურთის წარმოთქმა „ერთი ბურთი”,

„ორი ბურთი”, „სამი ბურთი“. თავდაპირველად, როცა დავინახე, რომ

მოსწავლე ჩემს ინსტრუქციებს კი არ ასრულებდა არამედ თვითნებურად

გადაერთო სხვა რამეზე, გავდიზიანდი და მკაცრად ვუთხარი:


„აზერბაიჯანულად ლაპარაკი მორჩა, დაიგიწყვ, ამ გაკვეთილზე მხოლოდ

ქართულს ვსწავლობთ“.

ჩემმა რეაქციამ რამინი მონუსხა და იგი გაჩუმდა და შევატყვე, რომ
მოწყდა თავისი ფიქრებით სასწავლო პროცესს. გავაანალიზე, რომ
სწავლების პროცესში შეცდომა დაგუშვი, გამახსენდა მოსწავლის
ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების აუცილებლობა და
კულტურულად თანმხვედრი პედაგოგიკის კურსები და გავაანალიზე, რომ

შემეძლო ამ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და გავაანალიზე, თუ რას გულისხმობდა ის თეორიული საუბრები, რომლებიც იმ დროს მეჩვენებოდა აბსოლუტურად ზედმეტად და მიმაჩნდა, რომ მე ისედაც მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ და კულტურულად შესაბამის გაკვეთილებს ვატარებდი. ყოველივეს გააზრების შემდეგ მივედი რამინთან და ვთხოვე, კიდევ ერთხელ დაეთვალა აზერბაიჯანულად და აზერბაიჯანული ენის თვლით წარმოეთქვა სიტყვა ბურთი და დაეწერა აზერბაიჯანულად სიტყვა ხოლო ბურთის პირველი ასო ქართულად დაეწერა და სიტყვის დანარჩენი უბრალოდ დაეხატა და მასთან ერთად მეც დავიწყე აზერბაიჯანული სიტყვების გამეორება. რამინი ამ დამოკიდებულებამ შეცვალა, თავი მასწავლებლის რაგში წარმოიდგინა და გაათკეცებული ენერგიით მისსიდა აზერბაიჯანულად თვლას და გაასკეცებული ენერგიით ცდილობდი შეესწავლა ასო-ბგერა „ბ”-ს როგორც წარმოეთქმა, აგრეთვე წერა”.

აღნიშნული მაგალითი საინტერესო და სახასიათო შეიძლება იყოს ბევრი მასწავლებლისთვის. პიუნი აღნიშნავს, რომ „მოსწავლეთა არსობრივი განვითარებისა და კულტურულად ადეკვატური პედაგოგიკის დასამკვიდრებლად მასწავლებელს მოსწავლედ ტრანსფორმირება უნდა შეეძლოს“ (პიუნი, 2006, გვ. 86). ანუ მასწავლებელმა უნდა მოახდინოს სწავლების პროცესში მოსწავლის თვალთახედვით და საჭიროებებიდან გამომდინარე წარმართოს სასწავლო პროცესი და არა მხოლოდ საკუთარი თვალთახედვით განსაზღვროს, რა საჭიროება აქვს ამ მოსწავლეს. ანუ სწავლებისა და სწავლის მომენტები უნდა დაემთხვეს ერთმანეთს, რათა ეფექტური სწავლა განხორციელდეს. ამისათვის კი მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა კარგად იცოდეს მოსწავლეთა კულტურა და ამ კულტურიდან გამომდინარე – მათი ხედვები, რწმენები და დირექტულებები. ეს დინამიკა სქემატურად შემდეგნაირად შეიძლება გამოიხატოს:



აღმოცენებული კურიკულუმი

სხვადასხვა ავტორი აღმოცენებული კურიკულუმის სხვადასხვა განმარტებას გვთავაზობს. ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ აღმოცენებული კურიკულუმი არის მოცემულ კონტექსტში მასწავლებლისა და მოსწავლის ინტერესის შესაბამისად სწავლა და აქტივობები (შირერი, დეტორე და ციპერსი, 1996, იხილეთ ჰიუნი, 2006). განათლების ექსპერტთა ნაწილი აღმოცენებულ კურიკულუმს განვითარების შესაბამის სასწავლო აქტივობებს უწოდებს (კასიდი და ლანკასტერი, 1993; ბრედეკამპი, 1987; ბრედეკამპი კოპელი, 1997; ჯონსი და მისი კოლეგები (2001, ჯონსი და ნიმო, 1994; იხილეთ ჰიუნი, 2006).

აღმოცენებული კურიკულუმის პრაქტიკაში განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია და მასწავლებელს საშუალებას აძლევს, გაამრავალფეროვნოს სწავლისა და სწავლების პროცესი და, ამასთანავე, უზრუნველყოს მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში მათი კულტურული ფაქტორების გათვალისწინებით. ქვემოთ გთავაზობთ აღმოცენებული კურიკულუმის მაგალითს, რომელიც თვალისწილების ხდის რა უპირატესობები აქვს სასწავლო პროცესში აღმოცენებული კურიკულუმის მიღობის გამოყენებას:

“პირველი კლასის მასწავლებელი ვარ. უკვე 10 წელია, დაწყებით კლასებს ვასწავლი. უველ წელს 3 მარტის მოახლოებასთან ერთად,

ბავშვებს ვამზადებინებ საჩუქარს თავიანთი დედებისთვის, რითაც ვახდენ საგნის შინაარსისა და ბავშვის ინტერესების ინტეგრირებას, რადგან ბავშვები, ერთი მხრივ, საჩუქარს უმზადებენ დედას და, მეორე მხრივ, ივითარებენ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ უნარებს. შესაბამისად, წელსაც დავგეგმე გაკვეთილი, მოვიმარაგე ბევრი წითელი და თეთრი ფერის ფურცლები, აგრეთვე წითელი და შავი ფერის მარკერები, რათა მოსწავლეებმა გააკეთონ ბარათები დედებისთვის ყვავილებით და მათ მიერ გაკეთებული მისალოცი წარწერით. მოსწავლეებს დავურიგე წითელი და თეთრი ფურცლები, მარკერები, მაკრატელი და წებო და ვთხოვე, გაეკეთებინათ დედისთვის ყვავილებიანი დედის დღის მისალოცი ბარათი. ერთ-ერთმა



მოსწავლემ, ნანამ, განმიცხადა, რომ მას საკუთარი ნაშრომის შესაქმნელად ზურმუხტისფერი ფურცელი სჭირდებოდა. თავდაპირველად ავუხსენი, რომ მას უნდა გაეკეთებინა წითელი ყვავილებით მისალოცი ბარათი და უნდა მიჰყოლოდა ჩემს ინსტრუქციებს, რაზეც მისი რეაქცია უარყოფითი იყო და ამიტომ იძულებული გავხდი, მისთვის შემთხვევით მასწავლებლის უჯრაში აღმოჩენილი ზურმუხტისფერი ქადალდის ფურ-

ცლებიც მიმეწოდებინა. ყველა მოსწავლემ შეასრულა დავალება და დედგ-ბისთვის გაამზადეს მისალოცი ბარათები და გააკეთეს შესაბამისი წარწერაც. ნანამაც შეასრულა თავისი დავალება, ოღონდ ბარათზე წითელი ყვავილის ნაცვლად, ზურმუხხისფერი დიდი მძივი გაიაკეთა.

გაკვეთილების დასრულების შემდეგ მშობლებმა, ძირითადად დედგ-ბმა, მოაკითხეს ბავშვებს წასაყვანად. ყველა ბავშვმა საკუთარ დედას გადასცა თავისი მისალოცი ბარათი წარწერით, რამაც მშობლების სიხ-არული გამოიწვია. ანალოგიურად, ნანამაც თავისი საჩუქარი გადასცა დე-დას, რასაც დედამისის აღფრთოვანება მოყვა.

მეორე დღეს მოსწავლეებს ვთხოვე, მოეყოლათ, თუ როგორ გაა-ტარეს დედის დღე და აღეწერათ, თუ რა რეაქციები ჰქონდათ მათ დედებს მირომეულ სასაჩუქრე ბარათებთან დაკავშირებით. ნანაც მოჰყვა თავის ისტორიას, რომ დედამისს ძალიან გაქხარდა მისი ბარათი, რადგან თურმე მას რამდენიმე დღის წინ ჰქონია დაბადების დღე და მამამისმა საჩუქრად ზურმუხხის მძივი მოუტანა, რამაც დედის აღფრთოვანება გამოიწვია და ახლაც მის მიერ ზურმუხხისფერი მძივით გაკეთებული დედის დღის მისალოცი ბარათი დედამისისთვის ძალიან სასიამოვნო აღმოჩნდა... ნანას მონათხოვბის მერე ყველა მოსწავლემ აღნიშნა, რომ, პრინციპში, მათაც სურდათ განსხვავებული მისალოცი ბარათის გაკეთება და ამიტომ მომთხოვეს, მისალოცი ბარათები კიდევ ერთხელ დაგვემზადებინა და ყველა მოსწავლემ უმავი საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე გააკეთა მისალოცი ბარათი და არც ერთ მათგანზე არ ყოფილა წითელი ყვავილი. ამასთანავე, მოსწავლეებმა ერთმანეთს გაუზი-არეს საკუთარი ემოციები, თუ რატომ გააკეთეს ამ ტიპის ბარათები. მოს-წავლეებმა გადაწყვიტეს, გაეკეთებინათ ყველა დღესასწაულზე ანალოგიური პრინციპით ბარათები, ხოლო წლის ბოლოს მოეწყოთ თავიანთი ბარ-ათების გამოფენა.

მოლაპარაკებებზე / შეთანხმებაზე ორიენტირებული კურიკულუმი

გამოცდებისა და ტესტირებების სისტემებმა გამოიწვია მასწავლებელთა მიღების თრიენტირება მოსწავლეთა ტესტირებისთვის მომზადებისკენ, ჩარჩოებში მოქცეული სასწავლო გაგმების შესაბამისად. აღნიშნულ პირობებში, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება არ ხდება, რაც თავის ასახვას ჰქოვებს სწავლის ხარისხზე, რადგან, მოსწავლის ინტერესების გათვალისწინების გარეშე, მოსწავლის მოტივირება და სწავლისთვის ეფექტური გარემოს შექმნა შეუძლებელი ხდება.

მოლაპარაკებებზე/შეთანხმებებზე ორიენტირებული კურიკულუმის დროს მოსწავლე და მასწავლებლები თანაბარუფლებიან პარტნიორებს წარმოადგენენ, რომლებიც ურთიერთგამოცდილების, ურთიერთინტერესების გათვალისწინებით იღვწიან საერთო მიზნის მისაღწევად. შეთანხმებაზე/მოლაპარაკებზე ორიენტირებულ კურიკულუმს რამდენიმე გამოკვეთილი მახასიათებელი გააჩნია: (1) ძალაუფლების, ფუნქციების და მართვის გადანაწილება მოსწავლესა და მასწავლებელს შორის სწავლა-სწავლების პროცესში; (2) თანამშრომლობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესი; (3) გაპვეთილის შინაარსისა და პროცედურების ერთობლივი დაგეგმვა. ანუ, სწავლების ამგარი მიღგომისას, სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნების სწავლება მარტივად ცოდნის გადაცემით არ ხდება, არამედ ესადაგება მოსწავლის წარსულ ცოდნას და გამოცდილებას, მათ ინტერესებს, ყოველდღიურ ცხოვრებისეულ გამოცდილებას და სამყაროს თავისებურ აღქმას.

მოლაპარაკებებზე/შეთანხმებებზე ორიენტირებულ მიღგომას კრიტიკულ-დემოკრატიულ მიღგომასაც უწოდებენ. ამ მიღგომის მთავარი პრინციპია, რომ მოსწავლე მოდის გაპვეთილზე გარკვეული ცოდნითა და გამოცდილებით, რომლის დაკავშირებასაც ცდილობს სასწავლო საგანთან და თუ მათი ცოდნა და სასწავლო საგნის შინაარსი რელევანტურია, მაშინ სწავლის პროცესი განხორციელდება. მოსწავლის არსებულ ცოდნასა და

გამოცდილებას და სასწავლო მასალას შორის არსებული დისტალანსის აღმოფხვრის გარეშე სწავლის პროცესი გართულებულია.

კრიტიკულ-დემოკრატიული მიდგომისას მოსწავლე არის ცოდნის მატარებელი, ცოდნის მაძიებელი, ცოდნის შემქმნელი და ცოდნის შემცვლელი. ანუ, ეს არის მიდგომა, რომელიც განსხვავდება ცოდნის ტრადიციული მასწავლებლიდან მოსწავლისთვის გადაცემის მიდგომისგან. აღნიშნული თეორიული ნაწილის ეფექტურად გასააზრებლად გთავაზობთ პრაქტიკულ მაგალითს, რომელიც ნათელს ხდის ამ მიდგომის გამოყენების მნიშვნელობას.

„ნიკუშა აბაშის ერთ ლამაზ სოფელში ცხოვრობდა. ნიკუშას მამა აქტიურად იყო ჩართული შეილის აღზრდის პროცესში. ნიკუშას კარგად ახსოვდა მამის მიერ მისთვის წაკითხული იური ნაგიბინის მოთხოვბა, რომელიც შევხებოდა ზამთრის მუხას და პატარა ბიჭს. ეს მოთხოვბა თავის ცხოვრებას ახსენებდა ნიკუშას, რადგან მისი სახლიდან სკოლამდე, რომელშიც ის სწავლობდა, ხუთი კილომეტრი იყო. გზად გაშლილი ველი უნდა გაევლო, რომლის შუაგულში ერთადერთი უზარმაზარი მუხა იდგა, რომელიც განსაკუთრებულად ლამაზი ზამთარში იყო და მამის მიერ წაკითხული მოთხოვბიდან გამომდინარე, ნიკუშა მას „ზამთრის მუხას“ ეძახდა. დადგა ზამთარი. აბაშაში დიდი თოვლი მოვიდა. ირგვლივ ყველაფერი თეორად გადაიპენტა. ნიკუშა სკოლაში სისტემატურად აგვიანებდა. ერთხელაც კლასში მაშინ შევიდა, როცა ნატო მასწავლებელი მოსწავლეებს არსებით სახელს უხსნიდა. ნიკუშას ხშირი დაგვიანებით გაბრაზებულმა მასწავლებელმა სწორედ მას მიმართა შეკითხვით: „აბა, მითხარი არსებითი სახელი!“ ნიკუშას თითქოს თვალები ერთ ადგილას გაუშტერდა, სადღაც, ფანჯრებს მიღმა, იყურებოდა. ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ თქვა: „ზამთრის მუხა“. „ხომ ხედავ, როგორ გეტყობა არაფერი რომ არ იცი. „ზამთრის“ რა შუაშია?!“ – კიდევ უფრო გაბრაზდა მასწავლებელი. „ზამთრის მუხაზე არსებითი რა შეიძლება იყოს,“ – ჩაილაპარაკა ნიკუშამ. მასწავლებელმა ნიკუშას პასუხი მის ხშირ დაგვიანებებს დააბრალა და აუხსნა, რომ არსებითი სახელია „მუხა“, ხოლო „ზამთრის“ ზედსართავის სახელი იყო და შესაბამისად დაბალი ქულაც დაუწერა ნიკუშას. აღნიშნულმა ფაქტმა მძიმედა ბავშვზე. სახლში

მისულმა მამას სთხოვა, ეჩვენებინა იური ნაგიბინის მოთხოვბა ზამთრის მუხის შესახებ და მოუყვა სკოლაში მომხდარი ფაქტი. მეორე დღეს ნიკუშა და მამამისი იური ნაგიბინის მოთხოვბის წიგნით ხელში წავიდნენ სკოლაში, მათ აგრეთვე სახლიდან სკოლისკენ მიმავალ გზაზე არსებული მუხის სურათები გააყოლეს. სურათები იყო ზამთარსა და ზაფხულშიც გადაღებული და აშკარად შეიმჩნეოდა კონტრასტი მუხის სილამაზეში, მუხა ნამდვილად ზამთარში იყო ასეთი ლამაზი. ნიკუშას მამამ სთხოვა მასწავლებელს, რომ ჩართულიყო სასწავლო პროცესში. მან მოსწავლეებს წაუცითხა იური ნაგიბინის მოთხოვბა და აჩვენა სოფელში მყოფი „ზამთრის მუხაც“. მოსწავლეები და მასწავლებელი აღფრთოვანებული უს-მენდნენ მამა-შვილს და მათ ყველა დაეთანხმა, რომ სწორედ „ზამთრის მუხა“ შეიძლება იყოს არსებითი სახელი. ნატო მასწავლებელმა გადაწყვიტა დილით, სანამ სკოლაში წამოვიდოდა, ნიკუშას სოფელში მისულიყო და იმ ველზე მოხვდა, რომელზეც ნიკას „ზამთრის მუხა“ იდგა. ნატო მასწავლებელი კარგა ხანს იდგა გაოგნებული ამ სანახაობით. იმ დღეს მან გაკვეთილზე პირველად დაიგვიანა... “

ამ მოთხოვბაში მასწავლებელი თავდაპირველად იყენებს სასწავლო გეგმასა და სწავლებაზე ორიენტირებულ მიღებულს, თუმცა შემდგომ ეტაპზე აცნობიერებს, რომ მოსწავლის გამოცდილება განაპირობებს მის ცოდნას და ეს პრობლემას არ ქმნის სასწავლო პროცესში, არამედ პირი-ქიო – ამდიდრებს პროცესს. მასწავლებელმა სასწავლო პროცესში ჩართო მშობელი, რაც აგრეთვე მნიშვნელოვანია და გაკვეთილი უფრო მრავალმხრივი და საინტერესო გახადა ყველა მოსწავლისთვის და, ამასთანავე, არ დათრგუნა ნიკუშა, თუმცა ნიკუშა რომ არ ყოფილიყო აქტიური მოსწავლე, ბოლომდე არ დაეცვა საკუთარი ცოდნა და არ ჰქონდა მამის მხრიდან მხარდაჭერა, შეიძლება სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემების წინაშე აღმოჩენილიყო. ამიტომ მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ შეთანხმებზე / მოლაპარაკებებზე ორი-ენტირებული კურიკულუმის განხორციელება.

თავში გამოყენებული ლიტერატურა:

ეგროპის საბჭო (2007). რელიგიური მრავალფეროვნება და ინტერკულტურული განათლება, სახელმძღვანელო სკოლებისთვის ჯონ ქისთის რედაქტორობით;

ეგროპის საბჭო (2008) ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარება ევროპაში; ენობრივი მრავალფეროვნებიდან – მრავალენოვან განათლებამდე; თბილისი, 2008;

კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტის პოლიტიკის დოკუმენტი, (2009)- განათლების რეფორმა და არა-ქართულენოვანი სკოლები მოპოვებულია ვებ-გვერდიდან http://cipdd.org/index.php?lang_id=ENG&sec_id=40&info_id=398

საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, (2009-2010), საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა მოპოვებულია ვებ-გვერდიდან <http://ganatleba.org/index.php?m=102>

საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, (2009), ბრძანება №072 „I, III, IV, VII, X კლასებისა და უცხოური ენის სახელმძღვანელოებისათვის გრიფის მინიჭებასთან დაკავშირებულ პროცედურების შესახებ”, მოპოვებულია ვებ-გვერდიდან <http://ganatleba.org/index.php?m=124>

საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები (2004), მოპოვებულია ვებ-გვერდიდან <http://ganatleba.org/index.php?m=112>

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ (2005). მოპოვებულია მოპოვებულია 2008 წლის 25 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდიდან www.parliament.ge

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (2004). მოპოვებულია 2008 წლის 25 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდიდან www.parliament.ge

საქართველოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2009), მასწავლებლის პროფესიული ხელმისაწვდომობის მოპოვებულია ვებ-გვერდიდან <http://www.tfdc.ge/index.php?page=professional-standards&hl=ge>

საქართველოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2009), მასწავლებლის საგნობრივი ხელმისაწვდომობის მოპოვებულია ვებ-გვერდიდან <http://www.tfdc.ge/index.php?page=1-7-2&hl=ge>

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენ-

- ტრის ინფორმაცია საქართველოში არსებული რელიგიური
მრავალფეროვნების შესახებ
შალვა ტაბატაძე, ნათია ნაცვლიშვილი- ინტერკულტურული განათლება,
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008
- Bennett, M. (1993). Towards ethnorelativism: A developmental model of intercultural sensitivity. In M. Paige (Ed.), *Education for the intercultural experience* (pp. 21-71). Yarmouth, ME: Intercultural Press.
- Cushner, K., McClelland A., & Safford, P. (2006) *Human Diversity in Education, an integrative approach*: McGraw Hill. Higher Education
- Carter, R.T. & Goodwin, A.L., (1994). Racial identity and education. *Review of Research in Education*. Washington, DC: AERA, 291-336.
- Diversity Within Unity: Essential Principles for teaching and Learning in a Multicultural Society”(by James A.Banks,Peter Cookson, Geneva Gay, Willis D.Hawley,Jacquiline Jordan Irvine,Sonia Nieto,Janet Ward Schofield,& Walter G.Stephan).Phi Delta Kappan,83(3),pp 196-203.
- Gurin, P., Dey, E., Hurtado, S., & Gurin, G. (2002). Diversity and higher education: Theory and impact on educational outcomes. *Harvard Educational Review*, 72(3), 330-366.
- Hyun, E. (2006). *Teachable Moments, reconceptualizing curricula understandings*. New-Yourk: Peter Lang Publishing, Inc
- King, P., & Magolda, M. B.(2005). A developmental model of intercultural Maturity. *Journal of College Student Development*, 46 (6), 571-592.
- Ligo, V. Evaluation as Pedagogy: Models of Theological and Pastoral Formation. *Catholic Education* v. 11 no. 1 (September 2007) p. 52-66
- Lorin W. Anderson, David Krathwohl, Peter W. Airas, 2001 *A taxonomy for learning, teaching, and assessing : a revision of Bloom's taxonomy of educational objectives*. New York : Longman
- Zuniiga, X., Williams, E., & Berger, J. (2005). Action-oriented democratic outcomes: The impact of student involvement with campus diversity. *Journal of College Student Development*. 46 (6), 660-678.

Tavi meore

**06.09.2019 ბანათლების ზოგადი
მეთოდები და სტრატეგიები**

შესავალი

თანამშრომლობითი სწავლა

ეფექტური ჯგუფური მუშაობის სტრატეგიების

მთავარი ელემენტები

ჯგუფების ოპტიმალური ზომის შერჩევა

ინტერვენციის ეფექტური სტრატეგიები

სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება

წყვილებში მუშაობა

STAD (მოსწავლეთა გუნდური მიღწევების ჯგუფები)

Jigsaw II

საკლასო დისკუსია

ინტერგულტურული სწავლების პრაქტიკული მაგალითები

პროექტი

მოწვეული სტუმარი

კუთხეები

თანატოლთა სწავლება

როლური თამაში

დასკვნა

თავი მეორე

06ტერპულტურული ბანათლების ზოგადი მეთოდები და სტრატეგიები

შესავალი

ინტერკულტურული განათლების თეორიასა და პრაქტიკას შორის აუცილებელია კაფშირი. ინტერკულტურული განათლების შესახებ მხოლოდ თეორიული საფუძვლების ცოდნა არა ეფექტურია, სანამ მასწავლებელი პრაქტიკაში არ გამოიყენებს ინტერკულტურული განათლებისათვის საჭირო ხერხებს. აღსანიშნავია, რომ კვლევებმა აჩვენეს: პედაგოგებს, რომლებსაც გავლილი პქონდათ მულტიკულტურული განათლების კურსი და თავდაჯერებულნი იყვნენ, რომ ადგილად გაართმევდნენ თავს სხვადასხვა კულტურული წარმომავლობის მოსწავლეებთან ურთიერთობას, სწავლების პროცესში შეექმნათ სერიოზული პრობლემები უკვე პრაქტიკული საქმიანობისას. სახელმძღვანელოს ამ ნაწილში წარმოგიდგენთ ზოგადი სასიათის მეთოდებსა და სტრატეგიებს, რომლებიც ეფექტურია კულტურულად ადეკვატური სასწავლო პროცესის წარსამართავად. სახელმძღვანელოს შემდგომი თავი დაეთმობა პრაქტიკული მაგალითების განხილვას კულტურული მრავალფეროვნების სხვადასხვა კონტექსტში.

სწავლისა და სწავლების სტრატეგიები

დღესდღეობით გაცილებით იოლია, მოიძიო და გაეცნო სწავლების სხვადასხვა მეთოდსა და სტრატეგიას. თუმცა, მთავარი პრობლემა ადნიშნული სტრატეგიების სწორად გამოყენებაა. მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რატომ და რისთვის იყენებს ამა თუ იმ სტრატეგიასა თუ

მეთოდს. სწორი სტრატეგიის შესარჩევად შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებაა აუცილებელი:

1. რა არის ჩვენი საგანმანათლებლო პრაქტიკის ამოცანები;
2. როგორ ადგიქვამო სწავლა-სწავლების პროცესს;
3. რა რეალური საჭიროებები აქვთ ჩვენს მოსწავლეებს კონკრეტულ საკლასო ოთახება და კონკრეტულ სასწავლო სიტუაციაში;
4. ყველა მოსწავლეს აქვს უფლება, გახდეს საზოგადოების სრულყოფილი წევრი და მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს ამ უფლების რეალიზებაში;
5. მასწავლებელი აღიარებს მოსწავლეთა სხვადასხვა შესაძლებლობას, ქცევის წესებს, ცოდნასა და ინტერესებს;
6. მოსწავლეებს უნდა განუვითარდეთ უნარები და კომპეტენციები და არ აეგვით გონიერა სხვადასხვა ინფორმაციით;
7. მხედველობაში უნდა მივიღოთ მოსწავლეთა რწმენა და გრძნობები, ისევე, როგორც მოსწავლეთა კოგნიტური და ინტელექტუალური განვითარება.
8. მოსწავლეთავის ხელმისაწვდომი უნდა იყოს დამატებითი სასწავლო რესურსები.

შეხედულებები სწავლასა და სწავლებაზე

სწავლება არ არის მხოლოდ ცოდნის გადაცემა, არამედ არის ისეთი შესაძლებლობის და გარემოს შექმნა, რომელშიც შესაძლებელია ცოდნის წარმოქმნა და ფორმირება; ხოლო სწავლისათვის დამახასიათებელია ორი მნიშვნელოვანი პრინციპი: (ა) გამოცდილება და (ბ) თანამშრომლობა. ეს ორი პრინციპი განაპირობებს ისეთი გარემოს, სიტუაციისა და აქტივობების შექმნას, სადაც მასწავლებლები და მოსწავლეები თანამშრომლობენ და უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას. ინტერაქულტურული მიდგომის ქვაპუთხედს წარმოადგენს გამოცდილება და თანამშრომლობა სწავლისა და სწავლების პროცესში. მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს სტრატეგიები, რომლებიც ეფუძნება მოსწავლეებისა და მასწავლებლის გამოცდილებას და თანამშრომლობის პრინციპებს.

რადგან თანამშრომლობითი სწავლება წარმოადგენს ინტერპულტურული განათლების ქვაკუთხედს, მოკლედ გაგაცნობთ თანამშრომლობითი სწავლისა და სწავლების სტრატეგიებს და წარმოგიდგენთ ამ სტრატეგიის პრაქტიკულ მაგალითებს.

თანამშრომლობითი სწავლა

თანამშრომლობითი სწავლა და სწავლება ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური სასწავლო მეთოდია. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ თანამშრომლობითი სწავლა / ჯგუფებში მუშაობა მნიშვნელოვნად:

- უწყობს ხელს მოსწავლის კოგნიტურ განვითარებას;
- აუმჯობესებს მოსწავლის აკადემიურ მიღწევებს;
- ავითარებს მოსწავლის სოციალურ და კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს;
- ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სწავლისა და სწავლების პროცესში.

ეფექტური ჯგუფური მუშაობის სტრატეგიების მთავარი ელემენტებია:

| | |
|--|---|
| პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულება | მოსწავლეების წარმატება დამოკიდებულია ჯგუფური მუშაობის ხარისხზე – „ერთად ცურავენ, ან ერთად იძირებიან“. |
| პირისპირ ინტერაქცია | <ul style="list-style-type: none"> • მოსწავლეები სწავლობენ საკუთარი აზრის ჩამოყალიბებას; • მოსწავლეების აქვთ განსხვავებული შეხედულებების ურთიერთგაზიარების საშუალება; • მოსწავლეები სწავლობენ საკითხის მრავალმხრივი პერსპექტივიდან შეფასებას / გაანალიზებას; • მოსწავლეები მნიშვნელოვნად იფართოებენ თვალსაწიერს და ცოდნას მეგობრების იდეებისა და გამოცდილების საშუალებით. |
| ინდივიდუალური პასუხისმგებლობა | <ul style="list-style-type: none"> • ჯგუფის ყველა წევრს აქვს სასწავლო პროგრამის სრულყოფილად ათვისების ინდივიდუალური პასუხისმგებლობა (აბარებენ ინდივიდუალურ ტესტებს, ასრულებენ საშინაო დავალებებს, და |

| | |
|---|---|
| | <p>ა.შ.)</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსწავლეები ვერ ახერხებენ მოჩვენებითი წარმატების მიღწევას რამდენიმე წარჩინებული მოსწავლის ხარჯზე. |
| ჯგუფური პასუხისმგებლობა / ჯგუფური მიზნები | <p>ჯგუფს აქვს თითოეული წევრის მიერ გაზიარებული საერთო მიზანი.</p> <p>მოსწავლეებს უვითარდებათ გუნდური სულისკვეთება. ინდივიდუალური და კონკურენტული სისტემის ნაცვლად კლასში იქმნება კოოპერაციული / თანამშრომლობითი გარემო.</p> <p>უკეთესი ჯგუფური შედეგის მიღწევის მიზნით მოსწავლეები აქტიურად ეხმარებიან ერთმანეთს.</p> |
| თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარები | <p>მოსწავლეები ფლობენ ისეთ უნარებს, როგორიცაა:</p> <p>მოსმენა, კონსტრუქციული კამათი, უკუკავშირი (feedback), კომპრომისი და შეთანხმების მიღწევა, ნდობა, ურთიერთპატივისცემა, ლიდერობა, გადაწყვეტილების მიღება, პრობლემის მოგვარება და ა.შ.</p> |
| ჯგუფური მუშაობა | <p>მოსწავლე აფასებს საკუთარი ჯგუფის მუშაობის ეფექტურობას.</p> <p>მოსწავლე აფასებს, თუ რამდენად ნაყოფიერი და ღირებულია მისი მუშაობა ჯგუფისთვის (კონტრიბუციის ხარისხი).</p> |

განვითარებისა და სწავლის თეორიები აღიარებენ თანამშრომლობითი სწავლის მნიშვნელობას:

| | |
|--------------------------|--|
| განვითარების თეორიები | <p>სოციალური ინტერაქცია იძლევა ახალი პერსპექტივების გაცნობის, საკუთარი შეხედულებების გადასინჯვისა და ცოდნის გაღრმავების საშუალებას (პიაჟე).</p> <p>სოციალური ინტერაქცია არის გარედან ინფორმაციის და ცოდნის მიღებისა და შემდეგ მისი ინტერნალიზაციის ეფექტური მეთოდი (ვიგოცი).</p> |
| ელაბორაციის თეორია | სოციალური ინტერაქცია ეხმარება მოსწავლეს სხვისთვის გასაგებ ენაზე ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი, დაუკავშიროს სხვებისგან მიღებულ ინფორმაცია საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას. |
| მოტივაციის თეორია | სოციალური ინტერაქცია ამაღლებს მოსწავლეების ერთად მუშაობისა და საერთო მიზნის მიღწევის მოტივაციას. |

ეფექტური თანამშრომლობითი სწავლის / ჯგუფური მუშაობის სტრატეგიები

ჯგუფების ფორმირების ეფექტური მეთოდის შერჩევა

არსებობს ჯგუფების ფორმირების სხვადასხვა მეთოდი. თითოეულ მეთოდს აქვს როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარე. ამიტომ მისი შერჩევა უნდა მოხდეს კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, როგორიცაა კლასის შემადგენლობა, ჯგუფური დავალების სპეციფიკა, საკლასო ოთახის განლაგება, ჯგუფური დავალების შესრულებისათვის განკუთვნილი დრო, კლასში ჯგუფური მუშაობის გამოცდილება, და ა.შ.

| დაჯგუფების პრინციპი | ძლიერი მხარეები | რისკები | როდის უნდა გამოვიყენოთ |
|--|--|--|--|
| მეგობრობა | მშვიდი და უკონფლიქტო გარემო ჯგუფებში | გადაჭარბებული ერთსულოვნება და თანხმობა საკამათო საკითხებზე შესაძლო დისციპლინური დარღვევები ჯგუფებში | მოსწავლეებს არ აქვთ ჯგუფური მუშაობის გამოცდილება და უნარები პრიორიტეტულია მოსწავლეებში თვითრწმენის ამაღლება |
| შესაძლებლობები (ჰომოგენური) | ნაყოფიერი და საინტერესო სამუშაო გარემო ჯგუფებში | კლასის დიფერენციაცია მოსწავლეების შესაძლებლობების მიხედვით | დავალების შესრულებისთვის აუცილებელია ინდივიდუალური მიდგომა |
| შერეული დაჯგუფება (ჰეტეროგენუ ლი) | აზრების, პერსპექტივების მრავალფეროვნება ჯგუფებში | საფრთხე „ძლიერი ჯობნის სუსტს“ | დავალების სპეციფიკა მოითხოვს შეხედულებების მრავალფეროვნებას |
| შემთხვევითი შერჩევა | მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, იმუშაონ სხვადასხვა პარტნიორებთან და გაეცნონ განსხვავებულ მოსაზრებებს. | ჯგუფების არასახარბიერლო / არაეფექტური შემადგენლობა | მოსწავლეები გამოთქვამენ უკმაყოფილებას დაჯგუფების მეთოდების შესახებ; საჭიროა ჯგუფების გადახალისება |

| | | | |
|-----------------------|--|--|---|
| | მოსწავლეებისთვის მისაღებია, როგორც ჯგუფების ფორმირების დემოკრატიული შეთოდი | | |
| გოგონები vs ბიჭები | შესაძლებელია სოციალურად უფრო კომფორტული იყოს მოსწავლეთა გარკვეული ჯგუფისთვის | ზრდის გენდერულ დაყოფას შესაძლო დისციპლინური პრობლემები | სასურველია ისეთ კულტურაში, სადაც რომელიმე სქესს ახასიათებს ნაკლები აქტიურობა და თვითრწმენა |

ჯგუფების ოპტიმალური ზომის შერჩევა

თანამშრომლობითი სწავლისთვის მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა ზომის ჯგუფები. არსებობს მიღგომა, რომ რაც უფრო პატარაა ჯგუფი, მით უფრო ეფექტურია იგი. თუმცა, ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს, რომ სხვადასხვა ზომის ჯგუფებს სხვადასხვა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ. ამიტომ, ჯგუფების ფორმირების მსგავსად, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ჯგუფის ოპტიმალური ზომა სტრატეგიულად შეარჩიოს სხვადასხვა კონკრეტული გარემოებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

| დაჯგუფება | ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები | როდის უნდა გამოვიყენოთ |
|---------------|---|--|---|
| ინდივიდუალური | მოსწავლე მუშაობს ინდივიდუალურად / დამოუკიდებლად | მოსწავლე არის იზოლირებული | დავალების სპეციფიკა მოითხოვს დავალების ინდივიდუალურად შესრულებას |
| წყვილები | მოსწავლეების აქტიური ჩართულობა ჯგუფის მუშაობის პროცესში | გადაჭარბებული ერთსულოვნება წყვილს შორის განსხვავებული მოსაზრებების | განიხილება შედარებით პირადული და დელიკატური საკითხები |

| | | | |
|--|---|---|---|
| | მშვიდი სამუშაო გარემო ჯგუფებში არ საჭიროებს მერხების გადაადგილებას საჭიროებს მცირე დონს | სიმცირე დისკომფორტი მოსწავლეებისთვის, რომელებსაც ურჩევნიათ ინდივიდუალურად მუშაობა | ჯგუფური მუშაობისათვის განვუთვნილია მცირე დრო |
| მცირე ზომის ჯგუფები (3–4 მოსწავლე) | იძლევა აზრთა მრავალფეროვნების შესაძლებლობას მოსწავლეთა მცირე რაოდენობის პირობებში არ საჭიროებს მერხების გადაადგილებას და საკლასო სივრცის განსაკუთრებულ ორგანიზებას | მოსწავლეებს ეძლევათ პასიურობის საშუალება | საჭიროა სოციალური ინტერაქციის გაზრდა კლასში საჭიროა მოსწავლეების მომზადება საკლასო დისკუსიითვის |
| დიდი ზომის ჯგუფები (5–7 მოსწავლე) | აზრების, შეხედულებების, გამოცდილების მრავალფეროვნება | საჭიროებს სივრცის ორგანიზებას. საჭიროებს ფასილიტაციას და სოციალურ უნარ–ჩვევებს. იქმნება ზედმეტად აქტიური და ზედმეტად პასიური მოსწავლეების რისკი შესაძლო დისციპლინური დარღვევები | თემის განხილვისთვის საჭიროა აზრთა მრავალფეროვნება პრიორიტეტულია გუნდური მუშაობის უნარების განვითრება |
| მთელი კლასი | ყველას აქვს ერთნაირი გამოცდილების მიღების საშუალება მასწავლებელს | იქმნება ზედმეტად აქტიური და ზედმეტად პასიური მოსწავლეების | არსებითია, რომ ყველა მოსწავლემ მიიღოს ერთნაირი ინფორმაცია და გამოცდილება |

| | | | |
|--|---|--|--|
| | <p>შეუძლია მონიტორინგი გაუწიოს და დაეხმაროს კლასს დისკუსიის წარჩართვაში</p> | <p>რისკი</p> <p>ჩართულობის შეზღუდული შესაძლებლობა (მოსწავლეთა დიდი რაოდენობის გამო)</p> <p>მასწავლებელი – დისკუსიის მთავარი მონაწილე</p> | |
|--|---|--|--|

ინტერვენციის ეფექტური სტრატეგიები

ჯგუფური მუშაობის წარმატება დიდწილად არის დამოკიდებული მასწავლებლის მიერ დროულ და ეფექტურ ინტერვენციაზე. მასწავლებლის ინტერვენციის მიზანია მოსწავლეების დახმარება ჯგუფური დავალების შესრულებაში გადაჭარბებული ჩარევის ან ხელის შეშლის გარეშე. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგმა სწორად შეარჩიოს ინტერვენციის დრო და სტრატეგიები.

| ინტერვენციის მიზანი | სტრატეგიები და კითხვები |
|---|--|
| მოსწავლეების ფოკუსირება ჯგუფური დავალების შინაარსზე | <p>მოსწავლეების დავალების შინაარსზე ფოკუსირების მიზნით, დაუსვით მათ დამხმარე კითხვები (დავალების სპეციფიკიდან გამომდინარე შეგიძლიათ მოდიფიცირება გაუკეთოთ კითხვებს):</p> <ul style="list-style-type: none"> - რის გაკეთებას ცდილობთ? რა არის თქვენი დავალების მთავარი მიზანი? - როგორ წარმოგიდგნიათ თქვენი ჯგუფური დავალების საბოლოო შედეგი? რატომ ამახვილებთ ყურადღებას აღნიშნულ საკითხზე? |
| ჯგუფური დავალების წინასწარ განსაზღვრულ დროში შესრულება | <p>შეახსენეთ მოსწავლეებს დავალების შესრულებისათვის დარჩენილი დროის შესახებ.</p> <p>სთხოვეთ მოსწავლეებს დააკონკრეტონ, დავალების რა ნაწილი დარჩათ შესასრულებელი და რამდენი დრო</p> |

| | |
|--|--|
| | <p>დასჭირდებათ მის დასასრულებლად.</p> <p>სთხოვეთ მოსწავლეებს დაგეგმონ დავალების შესრულებისათვის დარჩენილი დრო (ასევე შეგიძლიათ მოსწავლეებს თავიდანვე დაავალოთ ჯგუფური მუშაობის დაგეგმვა, მაგ: 10 წუთი – განხილვა, 10 წუთი – შეჯამება, 15 წუთი – პრეზენტაციის მომზადება, და ა.შ.).</p> |
| წარმოქმნილი სირთულეების აღმოფხვრა | <p>სთხოვეთ მოსწავლეებს საკუთარი სიტყვებით ჩამოაყალიბონ ჯგუფური დავალების არსი.</p> <p>სთხოვეთ მოსწავლეებს განმარტონ დავალების შესრულების რომელ ეტაპზე არიან, როგორ წარმოუდგენიათ დავალების მომდევნო ნაწილის შესრულება, მაგ: რა არის თქვენი მუშაობის მომდევნო ნაბიჯი? დავალების დარჩენილი ნაწილის შესრულების რა აღტერნატიული ვარიანტები გაქვთ?</p> <p>გაუწიეთ მოსწავლეებს შინაარსობრივი დახმარება, მიაწოდეთ დამატებითი ახსნა–განმარტებები, რათა შეძლონ წარმოქმნილი სირთულეების გადალახვა.</p> |
| თანამშრომლობის / გუნდურ მუშაობის პრობლემების მქონე ჯგუფების დახმარება | <p>განმეორებით აუხსენით მოსწავლეებს მათი მუშაობის ჯგუფური მიზანი.</p> <p>შეახსენეთ ჯგუფს მათი მუშაობის მოსალოდნელი შედეგი და მისი შესრულებისათვის აუცილებელი პირობები, მაგ: იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულოთ დავალება, საჭიროა მჭიდროდ ითანამშრომლოთ, გაუზიაროთ ერთმანეთს საკუთარი შეხედულებები, და ა.შ.</p> |
| გაუგებრობების / არასწორი ინტერპრეტაციების კორექტირება | <p>გააანალიზეთ ჯგუფში არსებული გაუგებრობების / არასწორი ინტერპრეტაციების მიზანები. თუ აღნიშნული გამოწვეულია მოსწავლეების სწორხაზოვანი მსჯელობით, განუმარტეთ მათ ამის შესახებ. თუ არასწორი ინტერპრეტაცია განპირობებულია დავალების არსის არასწორი გაგებით, განმეორებით აუხსენით იგი მოსწავლეებს.</p> |
| ჯგუფის ნამუშევრის შეფასება (feedback) | <p>მოსწავლეები დადებითად რეაგირებენ შექებაზე. ამიტომ გარკვეული პერიოდულობით აღნიშნეთ მათი პოზიტიური მიღწევები და ერთმანეთს დაუკავშირეთ ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაო და მათი შემდგომი ნაბიჯები.</p> |

სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება

თანამშრომლობითი სწავლის და ჯგუფური მუშაობის ეფექტურობა დამოკიდებულია მოსწავლეების სოციალურ უნარ-ჩვევებზე. შეუძლებელია, ჯგუფმა იმუშაოს წარმატებით, თუ მისმა წევრებმა არ იციან მოსმენა, რიგითობის დაცვა და ა.შ. ამდენად, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ჯგუფური მუშაობა დაგეგმოს ისე, რომ უზრუნველყოს მოსწავლეების სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება.

| უნარ-ჩვევები | სტრატეგიები |
|---|---|
| რიგითობის დაცვა | <p>კლასს მიეცით რამე საგანი, მაგ, ბურთი. ჯგუფებს დისკუსიებში ჩართვა შეუძლიათ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი მიიღებენ ბურთს.</p> <p>მიანიჭეთ თითოეულ ჯგუფს ნომერი, მაგ: 1–დან 6–მდე. ჯგუფს უფლება აქვს ჩაერთოს დისკუსიაში მხოლოდ მაშინ, როდესაც მასწავლებელი მათ ნომერს გამოაცხადებს.</p> <p>თითოეულ ჯგუფში შეარჩიეთ სპიკერი, რომელიც დისკუსიის დროს დააფიქსირებს მთელი ჯგუფის პოზიციას.</p> |
| მოსმენა | გამოთქმული მოსაზრების შემდეგ მოსწავლემ უნდა შეაჯამოს თანაკლასელის მოსაზრება, და შემდეგ განმარტოს ეთანხმება თუ არა და რატომ. |
| მონაწილეობა, პასუხის გაცემა, რეკომენდაციების შემუშავება | <p>გამოთქმულ მოსაზრებაზე პასუხი უნდა გასცეს რიგით მესამე მოსწავლემ.</p> <p>სპეციალური ბარათების საშუალებით მოსწავლეებს მიეცით ქვედავალებები, დაუნაწილეთ ფუნქციები.</p> <p>ჯგუფის თითოეულ წევრს სთხოვეთ რიგ–რიგობით გამოხატოს საკუთარი შეხედულება / რეკომენდაცია სადისკუსიო საკითხთან დაკავშირებით.</p> |
| თანამშრომლობა / გუნდური მუშაობა | ჯგუფებს მიეცით დავალება, რომელიც მოითხოვს თანამშრომლობის / გუნდური მუშაობის მაღალ ხარისხს. მაგ: პრეზენტაციის მომზადება, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი მიიღებს მონაწილეობას. |

| | |
|-----------------------------|---|
| | <p>ჯგუფებს მიეცით ისეთი დავალება, რომლის წარმატებით შესრულებას შეძლებენ მხოლოდ ერთმანეთის დახმარების საშუალებით. მაგ: ჯგუფის წევრებს დაურიგეთ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. ჯგუფს სთხოვეთ შეასრულონ დავალება ინდივიდუალურად დარიგებული ინფორმაციის შეჯამებისა და ანალიზის საშუალებით.</p> <p>წარმატებული მუშაობის შემთხვევაში ჯგუფს მიეცით გუნდური ჯილდო / წახალისება.</p> |
| სიმულაციური თამაში / როლები | <p>ჯგუფის წევრებს დაუნაწილეთ განსხვავებული ფუნქციები: მაგ: მკვლევარი, მონაცემების შემგროვებელი, ინტერვიუერი. როლები შეცვალეთ პერიოდულად.</p> |
| ლიდერობა | <p>მოსწავლეებს ასწავლეთ ლიდერობის / ჯგუფის ხელმძღვანელობის ტექნიკოგიები და რიგ-რიგობით დანიშნეთ ჯგუფის ხელმძღვანელად.</p> |

თანამშრომლობითი სწავლის / ჯგუფური მუშაობის ფორმები

წყვილებში მუშაობა

წყვილებში მუშაობა თანამშრომლობითი სწავლის ყველაზე მარტივი ფორმაა და გულისხმობს ქლასის წყვილებად დაყოფას და მათგან მსგავსი ან განსხვავებული დავალების მიცემას. წყვილებში მუშაობის ორ ფორმას განასხვავებენ:

| ნააზრების გაზიარება | მეწყვილის მიერ შემოწება |
|---|---|
| <ol style="list-style-type: none"> მასწავლებელი წყვილს განსახილველად აძლევს საკითხებს; წყვილი განიხილავს საკითხებს; წყვილი საკუთარ მოსაზრებებს სადისკუსიო საკითხების შესახებ უზიარებს კლასს. | <ol style="list-style-type: none"> მასწავლებელი წყვილებს აძლევს დავალებას, რომელსაც აქვს სწორი ან არასწორი პასუხი (მაგ. მათემატიკაში); ერთი მეწყვილე ასრულებს დავალებას; მეორე მეწყვილე ამოწმებს მიღებული პასუხის სისწორეს; საჭიროების შემთხვევაში ორი წყვილი ერთმანეთთან ადარებს პასუხებს; მთელი კლასი განიხილავს დავალების შესრულების დროს არსებულ კითხვებს და სირთულეებს. |

წყვილების დაჯგუფება

წყვილების დაჯგუფება არის ჯგუფური მუშაობის ეფექტური მეთოდი, რადგან იგი ინარჩუნებს წყვილებში მუშაობის სიმარტივეს და, ამასთანავე, ხელს უწყობს შედარებით დიდ ჯგუფში მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარებას. წყვილების დაჯგუფების ორ ფორმას განასხვავებენ:

| ვარიანტი I | ვარიანტი II |
|---|--|
| <ol style="list-style-type: none"> დააწყვილეთ მოსწავლეები; დააჯგუფეთ წყვილები (2–2 წყვილი); მოსწავლეები წყვილში ადარებენ პასუხებს; წყვილში განსხვავებული პასუხის შემთხვევაში მოსწავლეები დაჯგუფებულ წყვილებში განიხილავენ პასუხებს. | <ol style="list-style-type: none"> დააწყვილეთ მოსწავლეები; დააჯგუფეთ წყვილები (2–2 წყვილი); მოსწავლეები ინდივიდუალურად ასრულებენ დავალებას; დაჯგუფებული წყვილები ერთად განიხილავენ ინდივიდუალურად შესრულებულ დავალებას; მასწავლებელი იძახებს დაჯგუფებული წყვილების ერთ წევრს; წახალისების მექანიზმი: <ol style="list-style-type: none"> თუ გამოძახებული მოსწავლე სწორად გასცემს პასუხს, დანარჩენ სამ მოსწავლესთან ერთად იგი იღებს ქულას. სწორი პასუხის შემთხვევაში ოთხივე მოსწავლე იღებს დამატებით ქულას. |

STAD (მოსწავლეთა გუნდური მიღწევების ჯგუფები)

STAD თანამშრომლობითი სწავლის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ფორმაა. იგი უზრუნველყოფს მოსწავლის ინდივიდუალური მიღწევების გაუმჯობესებას გუნდური მუშაობის საშუალებით. STAD-ის მთავარი კომპონენტებია:

- მოსწავლეები ჯგუფურად შეისწავლიან მასწავლებლის მიერ ახესნილ საკითხებს;
- ჯგუფური შესწავლის დასრულების შემდეგ მოსწავლეები ინდივიდუალურად აბარებენ ტესტს;
- მასწავლებელი ტესტის შედეგებს ადარებს მოსწავლის საბაზო ქულას და სხვაობის შედეგს (პროგრესის ქულას) ასახავს მოსწავლის ტრიმესტრულ ნიშანზე;
- მასწავლებელი აჯილდოებს ჯგუფებს ტესტების საშუალო ჯგუფური შედეგების მიხედვით.

STAD გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მასწავლებელს სურს მოსწავლეებმა სრულფასოვნად შეისწავლონ საბაზო ინფორმაცია, ფაქტები, ცნებები და შეძლონ გარკვეული უნარების განვითარება. მაგალითად, მიმატება-გამოკლება, პუნქტუაციის წესები, სხეულის ორგანოები და ა.შ.

STAD-ის ეფექტურად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია სწორად მოხდეს სამუშაო ჯგუფების ფორმირება. ჯგუფის რეკომენდირებული ზომაა 5–6 კაციანი შემადგენლობა. არსებითია, რომ ჯგუფის შემადგენლობა იყოს ჰეტეროგენული აკადემიური მიღწევების, სქესისა და კულტურული კუთვნილების გათვალისწინებით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჯგუფის ფორმირება უნდა იყოს მთლიანად მასწავლებლის გადაწყვეტილება და მოსწავლეებს არ უნდა მიეცეთ ჯგუფის შერჩევის საშუალება შემდეგი გარემოებების გამო:

- აკადემიური დისბალანსი – უმეტეს შემთხვევაში, მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები პარტნიორებად ირჩევენ მაღალი აკადემიური მოსწრების ქვეყნებს.
- გენდერული და ეთნიკური დისბალანსი – უმეტეს შემთხვევაში მოსწავლეები ამჯობინებენ მსგავსი სქესის და ეთნიკური წარმომაგლობის მოსწავლეებთან მუშაობას;
- დისციპლინური დარღვევები – მეგობრებს ჯგუფური მუშაობის დროს მეტი ცდუნება აქვთ საუბრის/ხმაურის, უყურადღებობის, და ა.შ.

მოსწავლეების აკადემიური მიღწევების ნიშნით გადანაწილებისათვის მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს წინა სემესტრის ნიშნები ან ჩატაროს დიაგნოსტიკური ტესტირება.

STAD-ის განხორციელებისათვის მასწავლებელმა უნდა შეძლოს საბაზო და პროგრესის ქულების სწორად გამოყენება.

**საბაზო ქულა არის მოსწავლის
ნიშანი STAD-ის დაწყების
მომენტისათვის. უფრო ხშირად
საბაზო ქულის განსაზღვრისთვის
გამოიყენებენ წინა სემესტრის
ნიშანს. შესაძლოა გამოყენებულ
იქნეს მიმდინარე სემესტრის
ნიშანი. ნებისმიერ შემთხვევაში
საბაზო ქულის მისაღებად უნდა
მოხდეს ნიშანის კონვერტირება
ქულებში.**

| სემესტრის ნიშანი | საბაზო ქულა |
|---------------------|----------------|
| 10 | 97 |
| 9 | 89 |
| 8 | 79 |
| 7 | 69 |
| 6 | 58 |
| 5 | 46 |
| 4 | 30 |

პროგრესის ქულა არის

განსხვავება მოსწავლის
საბაზო ქულასა და
მოსწავლის მიერ
ინდივიდუალურად
შესრულებული ტესტის
ქულას შორის. პროგრესის
ქულების გამოთვლის
მეთოდი შესაძლოა
განსხვავებული იყოს
მოსწავლეების აკადემიური
მიღწევების, მათი
მოტივაციის დონისა და
სხვა სპეციფიკის
გათვალისწინებით.

| ინდ. ტესტის ქულა | პროგრესის ქულა | ცვლილება ნიშანში |
|---------------------------|----------------|------------------|
| საბაზოსთან მიმართებაში | | |
| < ა5 = | 0 | — |
| > 1-9 | 10 | 0.5 (მაგ. 6 |
| ქულით | | — 6.5) |
| > 10-14 | 20 | 1 (მაგ. 6 – |
| ქულით | | – 7) |
| > 15 ქულით | | 1.5 (მაგ. 6 |
| ა5 უმაღლესი | 30 | — 7.5) |
| ქულა | | |

ცხრილში მოცემულია
პროგრესის ქულების
გამოთვლის და აღნიშნული
ქულების ნიშანში
კონვერტაციის ერთ-ერთი
შესაძლო ვარიანტი.


მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა წინასწარ დაგეგმოს STAD-ი,
რაც მოიცავს შემდეგს:

- ჯგუფური მუშაობის საკითხის მომზადება;
- ჯგუფური მუშაობის მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა – რა ინფორმაციას და უნარებს უნდა ფლობდნენ მოსწავლეები ჯგუფური მუშაობის დასრულების შემდეგ;
- სამუშაო კითხვარების მომზადება – STAD-ის ეფექტურად განხორციელებისათვის მასწავლებელმა ჯგუფებს უნდა დაურიგოს

სამუშაო კითხვარი, რომელშიც ასახული იქნება ის ძირითადი საკითხები, რომლებზეც უნდა იმუშაონ ჯგუფებმა;

- ტესტების შემუშავება – ტესტები, რომლებსაც მოსწავლეები ინდივიდუალურად ჩააბარებენ, შედგენილი უნდა იყოს სამუშაო კითხვარის მიხედვით და უნდა მოიცავდეს ჯგუფური მუშაობის დროს შესწავლილ ყველა საკითხს;
- საბაზო და პროგრესის ქულების გამოთვლის სისტემა – მასწავლებელმა აღნიშნული სისტემა წინასწარ უნდა გააცნოს ჯგუფებს;
- ჯგუფური წახალისების ფორმების შემუშავება – STAD – ის დასრულების შემდეგ, გარდა ინდივიდუალური შეფასებისა, მასწავლებელმა უნდა შეაფასოს ჯგუფური მუშაობა. ჯგუფების წახალისება უნდა მოხდეს ჯგუფის წევრების ტესტის ქულების საშუალო მაჩვენებლის მიხედვით. წახალისების ფორმები შეიძლება იყოს: თავისუფალი დრო, სერთიფიკატები, შექმნის წერილები მშობლებს, და ა.შ;
- ჯგუფების შემადგენლობა – მასწავლებელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს ჯგუფების შემადგენლობა ზემოთ აღწერილი კრიტერიუმების გათვალისწინებით;
- ჯგუფების მუშაობის ფორმატი, დრო და ადგილი.
- ჯგუფებში მუშაობის ორგანიზებულად წარმართვისათვის მასწავლებელმა უნდა განახორციელოს შემდეგი დონისძიებები:
 - ✓ საკლასო სივრცის ორგანიზება / მერჩების გადაადგილება;
 - ✓ ჯგუფების სახელების შერჩევა – მოსწავლეებს შეუძლიათ თვითონ შეარჩიონ ჯგუფის სახელი;
 - ✓ შერჩეულ ჯგუფებში წყვილების (ან 5-კაციანი ჯგუფის შემთხვევაში – წყვილის და ტრიოს) გამოყოფა;
 - ✓ სამუშაო კითხვარების დარიგება – თითო ჯგუფს უნდა დაურიგდეს მხოლოდ 2 კითხვარი, რათა მოსწავლეებმა დაინახონ ერთობლივად მუშაობის აუცილებლობა;

- ✓ კითხვარებზე მუშაობა: მოსწავლეები ჯერ ინდივიდუალურად მუშაობენ კითხვარის საკითხებზე, რომლებსაც განიხილავნ ჯერ წყვილებში (ან ტრიოში) და შემდეგ ჯგუფებში. თუ ჯგუფი ვერ შეთანხმდება სწორ პასუხებების მასწავლებელი ეხმარება მათ სირთულის გადალახვაში;
- ✓ ჯგუფური მუშაობის დასრულება – ჯგუფები ერთობლივ მუშაობას ასრულებენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც განიხილავნ და გაარკვევენ ყველა საკითხს;
- ✓ ჯგუფური მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები ინდივიდუალურად აბარებენ ტესტს;
- ✓ მასწავლებელი აფასებს ტესტებს და გამოითვლის პროგრესის ქულებს;
- ✓ მასწავლებელი აჯილდოებს ჯგუფებს ტესტების ქულების საშუალო მაჩვენებლის მიხედვით.



Jigsaw II

Jigsaw II არის STAD-ის მსგავსი მეთოდი, ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებით – Jigsaw II-ის გამოყენების მიზანია არა საბაზისო ცოდნისა და უნარების განვითარება, არამედ ამ ცოდნის შემდგომი გადრმავება და ორგანიზება. Jigsaw II-ის მთავარი პრინციპია ფუნქციების დანაწილება და ექსპერტიზა, კერძოდ:

- ჯგუფის თითოეული წევრი პასუხისმგებელია ჯგუფური საკითხის ერთი კონკრეტული ქვესაკითხის შესწავლაზე – რამდენიმე ექსპერტი თითოეულ ჯგუფში;
- „ექსპერტი“ ერთმანეთს უზიარებენ მიღებულ ცოდნას და ინფორმაციას, რათა ჯგუფის თითოეული წევრი სრულყოფილად ფლობდეს ინფორმაციას მთლიანი საკითხის შესახებ.
- ჯგუფური მუშაობის შემდეგ მოსწავლეები აბარებენ ინდივიდუალურ ტესტს.

Jigsaw II-ის გამოყენების მაგალითი:

გეოგრაფიის მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაიყონ ჯგუფებში და შეისწავლონ მსოფლიოს დიდი მოგზაურობის ისტორია. მასწავლებელი გამოყოფს 4 ჯგუფს და მათ მიერ შესასრულებელ დავალებას განსაზღვრავს შემდეგნაირად:

| მოგზაურთა ჯგუფები | მოგზაურობის თარიღი | მოგზაურობის ადგილი | მოგზაურობის მიზანი | მოგზაურობის შედეგები |
|-------------------|--------------------|--------------------|--------------------|----------------------|
| ესპანელები | | | | |
| პორტუგალიელები | | | | |
| ინგლისელები | | | | |
| ფრანგები | | | | |

ზემოთ აღნიშნულის გარდა, Jigsaw-სა და STAD-ს შორის არის ორი მნიშვნელოვანი განსხვავება:

- ✓ Jigsaw-ის შემთხვევაში მოსწავლეები გამოიყენებენ ინფორმაციას სხვადასხვა წეაროებიდან, როგორიცაა, სახელმძღვანელოები, კლასგარეშე ლიტერატურა, ა.შ. და STAD-ის შემთხვევაში მოსწავლეები მთლიანად უყრდნობიან მასწავლებლის მიერ მიწოდებულ საბაზო ინფორმაციას.
- ✓ Jigsaw-ის შემთხვევაში ადგილი აქვს ურთიერთდამოკიდებულების გაცილებით მაღალ ხარისხს, რადგან მოსწავლეებს შორის ხდება ფუნქციების გადანაწილება და ერთი მოსწავლის მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე არის დამოკიდებული მეორე მოსწავლის წარმატება.
- ✓ Jigsaw-სა და STAD-ს შორის ამასთანავე არის ბევრი მსგავსება, კერძოდ:
 - მოსწავლეები ჯგუფურად შეისწავლიან საკითხებს, თუმცა ინდივიდუალურად აბარებენ ტესტებს;
 - თანამშრომლობითი სწავლის ორივე ფორმა იყენებს შეფასებისა და წახალისების მსგავს სისტემას (საბაზო და პროგრესის ქულები, ჯგუფური წახალისება);
 - ორივე შემთხვევაში მოქმედებს ჰეტეროგენული დაჯგუფების პრინციპი;
 - განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამუშაო კითხვარებს და ინსტრუქციებს.
 - Jigsaw-ის განხორციელება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

დაგეგმვა

1. შესასწავლი საკითხის განსაზღვრა;
2. შესასწავლი საკითხის დაყოფა რამდენიმე თანაბარ ქვესაკითხად (ჯგუფში მოსწავლეების რაოდენობის მიხედვით);
3. რესურსების განსაზღვრა და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (სახელმძღვანელოები, კლასგარეშე ლიტერატურა, ენციკლოპედია, ინტერნეტ ვებ-გვერდები და ა.შ.);
4. ინსტრუქციების და სამუშაო კითხვარების შემუშავება ;
5. ჯგუფების ფორმირება ჰეტეროგენული პრინციპის გამოყენებით.

განხორციელება

1. კლასისთვის ჯგუფური მუშაობის წესებისა და პროცედურების გაცნობა;
2. ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების გადანაწილება – „ექსპერტების სპეციალიზაცია“;
3. სამუშაო კითხვარების დარიგება და განმარტებები თუ როგორ უნდა მოხდეს მისი გამოყენება;
4. „ექპერტების“ მონიტორინგი;
5. სამუშაო ჯგუფების მონიტორინგი.

შეფასება

1. ინდივიდუალური ტესტების ორგანიზება (ტესტები უნდა ფარავდეს ჯგუფური მუშაობის დროს შესწავლილ ყველა საკითხს)
2. შეფასება და პროგრესის ქულების გამოთვლა (STAD-ის მსგავსად)
3. ჯგუფების წახალისება (STAD-ის მსგავსად)

საკლასო დისკუსია

საკლასო დისკუსია თანამშრომლობითი სწავლების ფართოდ გავრცელებული ფორმაა. იგი გულისხმობს წინასწარ შერჩეული თემის ირგვლივ კითხვა-პასუხს და საკითხის ანალიზს. საკლასო დისკუსია განსაკუთრებით ეფექტური მეთოდია კრიტიკული აზროვნების, მორალური და კომუნიკაციის უნარების განვითარებისათვის.

| | |
|----------------------------------|---|
| კრიტიკული აზროვნების განვითარება | მოსწავლეებმა იციან, რომ სადისკუსიო საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს „სწორი და არასწორი“ პასუხი და, შესაბამისად, ისინი თამამად გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებებს. თანაკლასელების შეხედულებების გაცნობა მათ ეხმარება საკითხის მრავალხმრივ ანალიზსა და შეფასებაში. |
| მორალური განვითარება | მოსწავლეები ეცნობან თანაკლასელების ღირებულებებს და გადასინჯავენ საკუთარ შეხედულებებს მათი გათვალისწინებით. |
| კომუნიკაციის უნარები | <ul style="list-style-type: none"> • აზრის მკაფიოდ გამოხატვა; • მოსაზრების დასაბუთება; |

| | |
|--|---|
| | <ul style="list-style-type: none"> სხვების აზრის გათვალისწინება და პერეფრაზირება; სხვების მოსაზრების დაკონკრეტება და განვრცობა; პასიური მოსწავლეების ჩართვა დისკუსიაში, და ა.შ.; |
|--|---|

საკლასო დისკუსიის წარმართვა საჭიროებს მნიშვნელოვან დაგეგმვას:

| | |
|--|--|
| დისკუსიის საკითხის განსაზღვრა | საკითხი უნდა იყოს მრავალმხივი და კომპლექსური, „დიახ ან არა“ პასუხის გარეშე. |
| დისკუსიის მიზნის განსაზღვრა | მხოლოდ დისკუსიის საკითხის განსაზღვრა საკმარისი არ არის. მასწავლებელმა წინასწარ უნდა იცოდეს რა მიზანს ემსახურება იგი და რა არის მოსალოდნელი შედეგი. მაგალითად, დისკუსიის თემა შეიძლება იყოს 1917 წლის სოციალისტური რევოლუცია. თუმცა, სხვადასხვა კლასში დისკუსიას შეიძლება სხვადასხვა მიზანი ჰქონდეს: <ol style="list-style-type: none"> 1) რევოლუციის გამომწვევი მიზეზები – ფაქტების განხილვა; 2) რევოლუციის შესახებ ისტორიული წყაროების ობიექტურობა – ფაქტების შეფასება. |
| საბაზო ინფორმაცია დისკუსიის თემის შესახებ | მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ დისკუსიის წარმართვამდე მოსწავლეები ფლობდნენ სრულყოფილ ინფორმაციას თემის შესახებ. |
| სივრცის ორგანიზება – მერხების განლაგება | კომუნიკაციის და ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია მერხების ისეთი განლაგება, რომელიც იძლევა პირისპირ კონტაქტის საშუალებას. |
| დისკუსიის წესები და პროცედურები | რადგანაც დისკუსია, თანამშრომლობითი სწავლის სხვა ფორმებთან შედარებით, რთულად მართვადას, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს თავიდანვე აუხსნას მასწავლებელმა წესები და პროცედურები. |

დისკუსიების ეფექტურობის ერთ-ერთი მთავარი რისკი დაკავშირებულია მასწავლებლის ჩართულობასთან. ხშირად მასწავლებელი უფრო აქტიურად არის ჩართული განხილვაში, ვიდრე მოსწავლეები, რაც ეწინააღმდეგება დისკუსიის დანიშნულებას. მასწავლებელი არ უნდა ჩაერთოს დისკუსიის შინაარსობრივ საკითხებში და უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ფასილიტაციის ფუნქციით, რაც გულისხმობს შემდეგს:

- დისკუსიის გახსნა და შეჯამება;
- დისკუსიის ფოკუსირება მთავარ თემაზე;
- მოსწავლეების ჩართულობის უზრუნველყოფა;
- მრავალმხრივი ანალიზის ხელშეწყობა;
- ფაქტობრივი და ლოგიკური შეცდომების კორექტირება.

ინტერკულტურული სწავლების პრაქტიკული მაგალითები

თანამშრომლობითი სწავლის არსის, დადგებითი ეფექტებისა და სტრატეგიების განხილვის შემდეგ, მნიშვნელოვანია, თანამშრომლობითი სწავლისა და სხვა მეთოდების კონკრეტული მაგალითების წარმოდგენა, რომლებიც თავის მხრივ ხელს უწყობს ინტერკულტურული სასწავლო გარემოს შექმნას და კულტურულად რელევანტური სასწავლო პროცესის წარმართვას

პროექტი

პროექტი არის სწავლების მეთოდი, რომლის დროსაც ხდება ბუნებრივ გარემოში გარკვეული პრობლემის მოგვარება ან დასახული მიზნის მიღწევა ინდივიდუალური მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფის მიერ. პროექტს, როგორც სასწავლო აქტივობას შემდეგი აუცილებელი მახასიათებლები გააჩნია:

- პრობლემა გამოკვეთილია;
- მნიშვნელოვანია დასახული მიზნის მიღწევა;
- განსაზღვრულია მიზნის მისაღწევად გასატარებელი პროცედურები;
- იგეგმება და ხორციელდება მოსწავლეთა მიერ;
- პრაქტიკული ხასიათისაა, მიმართული კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტისკენ;
- პროექტის შეფასება ხდება ობიექტურად.

პროექტის ორი ტიპი არსებობს: (1) ინდივიდუალური და (2) ჯგუფური (ჯგუფური პროექტი შეიძლება მოიცავდეს მთელ კლასს ან მასში შეიძლება ჩართული იყოს რამდენიმე მოსწავლე, რომლებიც ერთობლივად შეეცდებიან დასახული მიზნის მიღწევას).

თითოეულ პროექტს აქვს სხვადასხვა მიზანი და ამოცანები. მიზნებისა და ამოცანების მიხედვით, პროექტის შემდგენ კლასიფიკაციები გვხვდება:

- (ა) პროექტი, რომლის მიზანია გარკვეული პროდუქტის შექმნა;
- (ბ) პროექტი, რომლის მიზანია მოსწავლეების მიერ გარკვეული უნარების დაუფლება და/ან განვითარება;
- (გ) პროექტი, რომლის მიზანია მოსწავლის ინტელექტუალური განვითარება აქცენტი კეთდება მოსწავლეში შემოქმედებითი აზროვნების და პრობლემების გადაჭრის უნარის განვითარებაზე.

პროექტის დადებითი მნარევები

პროექტს, როგორც სასწავლო აქტივობას, აქვს ძალიან ბევრი პოზიტიური ეფექტი, კერძოდ:

- ხელს უწყობს შემოქმედებითი და კონსტრუქციული აზროვნების განვითარებას;
- ხელს უწყობს ინდივიდუალური განსხვავებების არსებობას;
- ხელს უწყობს ლოგიკურ და სამეცნიერო აზროვნებას;
- ხელს უწყობს „სწავლას კეთვებით“;
- ხელს უწყობს მოსწავლის, როგორც ინდივიდის ზრდას;
- მოსწავლეს უვითარებს უნარს შეაფასოს ობიექტურად დასრულებული სამუშაო;
- მოსწავლეს უვითარებს მიზანდასახულობას;
- მოსწავლეს უვითარებს გუნდური მუშაობისა და თანამშრომლობის უნარს;
- მოსწავლეს უვითარებს მოთმინების და მოსმენის უნარს.

პროექტის დადებითი ეფექტების გარდა, გასათვალისწინებელია, რომ პროექტს, როგორც სასწავლო აქტივობას, მოეპოვება გარკვეული ლიმიტები, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ამ აქტივობის განსახორციელებლად. კერძოდ:

1. პროექტის განსახორციელებისას ხშირად რთულია პროექტის თემის განსაზღვრა და ხშირად ხდება, რომ პროექტს არ გააჩნია საგანმანათლებლო დირექტულება;
2. პროექტის განსახორციელება მოითხოვს ხანგრძლივ დროს, ხოლო სწავლების პროცესში მასწავლებლები ხშირად შეზღუდულები არიან დროში;
3. პროექტის განსახორციელება მოითხოვს მეტ რესურს, ანუ შესაძლებელია, მასწავლებელმა გამოიყენოს აქტივობად პროექტი, თუმცა სკოლაში არ არსებობდეს შესაბამისი რესურსი, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ამ პროექტის სრულყოფილად დაგეგმვა და განსახორციელება;
4. პროექტის განსახორციელებისას შეიძლება მოხდეს საგნის შინაარსის გადაფარვა;
5. არსებობს დიდი საფრთხე, რომ პროექტის დასრულება ვერ მოხერხდეს წინასწარ განსაზღვრულ დროში;
6. მიუხედავად იმისა, რომ პროექტის ერთ-ერთი დადებითი ეფექტი გუნდური მუშაობისა და თანამშრომლობის უნარების განვითარებაა, არსებობს დიდი რისკი, რომ პროექტის განსახორციელებამ უკუშედები გამოიღოს და მოსწავლეებში განავითაროს ინდივიდუალიზმი, მოახდინოს მოსწავლეთა იზოლაცია და არ მოხდეს თანამშრომლობა, ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება პროექტში ჩართულ მოსწავლეებს შორის.

პროექტის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია მოსწავლეთათვის იმ ფუნქციის მიცემა, რასაც ისინი ყველაზე ეფექტურად განახორციელებენ. ერთი პროექტის განსახორციელება შეიძლება მოითხოვდეს სხვადასხვა სფეროში ცოდნას, შესაბამისად, მასწავლებელმა მოსწავლეებისთვის ფუნქციები ისე უნდა გადაანაწილოს, რომ თითოეული მოსწავლე მაქსიმალუ-

რად იყოს ჩართული და მაქსიმალური კონტრიბუცია გააკეთოს პროექტის განხორციელებისას.

პროექტის, როგორც სასწავლო აქტივობის, შესარჩევად, შემდეგი აუცილებელი ფაქტორები უნდა არსებობდეს: (1) პროექტის თემას უნდა გააჩნდეს საგანმანათლებლო ღირებულება; (2) არ უნდა წაიღოს დამატებითი და ზედმეტი დრო; (3) უნდა იყოს პრობლემატური და ამ პროექტის განხორციელება მოსწავლეთათვის უნდა იყოს ერთგვარი „გამოწვევა“. (4) გათვალისწინებული უნდა იყოს არსებული რესურსები, რამდენად ადეკვატურია პროექტის განხორციელებისთვის. (5) საგნის სწავლებისას ძალიან ხშირად არ უნდა გამოიყენებოდეს ეს მეთოდი; (6) პროექტი უნდა შეირჩეს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით.

პროექტს, როგორც სასწავლო აქტივობის, განსახორციელებლად, თოხი ეტაპი გამოიყოფა: (ა) პროექტის მიზნის განსაზღვრა; (ბ) პროექტის დაგეგმვა; (გ) პროექტის განხორციელება; (დ) პროექტის შეფასება.

პროექტის, როგორც სასწავლო სტრატეგიის, ეფექტურობის და-სადასტურებლად, გთავაზობთ ერთ-ერთი ზრდასრული ადამიანის მონა-თხოვებიდან ამონარიდს, რომელიც შეეხება მის მიერ მეოთხე კლასში განხორციელებულ პროექტს, რაც საშუალებას მოგცემთ, გააანალიზოთ პროექტის, როგორც სტრატეგიის, დაგეგმვისა და განხორციელების სა-კითხები და მისი ეფექტურობა:

მასწავლებელმა შემოგვთავაზა განგვეხორციელებინა პროექტი „სა-ბერძნეთი“. ჩეენ დავიყავთ რამდენიმე ჯგუფად და თითოეულ ჯგუფს ევალებოდა ემუშავა კლასიკური საბერძნეთის სპეციფიკურ ასპექტებზე, ისტორია, მითოლოგია, ყოველდღიური ცხოვრება და ხელოფნება და პროექტის ბოლოს გამოვლინდებოდა პროექტზე მომუშავე საუკეთესო ჯგუფი... ჯგუფის თითოეულმა წევრმა მოიძია ინფორმაცია იმ მიმარ-თულებით, რაზეც ისინი მუშაობდნენ. ინფორმაციის მოძიება ხდებოდა სასკოლო სახელმძღვანელოში, სკოლის ბიბლიოთებაში არსებულ წიგ-ნებსა და ინტერნეტში. ინფორმაციის მოგროვების შემდეგ უნდა მოგ-ვეხდინა პრეზენტაცია. ჩვენ ავირჩიეთ, რა ტიპის პრეზენტაციას გა-ვაძეობდით და როგორ მივაწვდიდით დავალების ჩვენს ნაწილს მთელ კლასს. ჯგუფმა, რომელიც საბერძნეთის ისტორიაზე მუშაობდა, აირჩია კომიკური ჟანრი; მითოლოგიაზე მომუშავე ჯგუფმა თეატრალიზებული

წარმოდგენა მოაწყო, ყოველდღიურ ცხოვრებაზე მომუშავე ჯგუფმა - სკოლის დერეფანი ნამდვილ ქალაქად აქცია, სადაც იყო ბაზრობა, თეატრი და სხვა, ხოლო სელოვნებაზე მომუშავე ჯგუფმა მოაწყო გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო არქიტექტურული ძეგლები, სხვადასხვა სტულპტურა და ძეგლი, პოეზიისა და მწერლობის ნიმუშები.



მასწავლებელი გვეხმარებოდა მთელი ამ პროცესის განმავლობაში, ნახულობდა მასალებსა და რესურსებს, გვისწორებდა, თუ მიიჩნევდა, რომ რამეს არასწორად ვაკეთებდით, გვეხმარებოდა განგვესაზღვრა, ვინ უკეთესად გაართმევდა თავს ამა თუ იმ საქმის შესრულებას; თუ რაიმე საკითხი წამოიჭრებოდა ჯგუფის შიგნით, რომელიც კამათს იწვევდა ჯგუფში, გვეხმარებოდა სიტუაციის გარკვევაში და ამ საკითხის გარშემო მხარდამჭერ და საწინააღმდეგო არგუმენტებს გვაწვდიდა. დღე, როდესაც მოვახდინეთ ჩვენი პროექტის პრეზენტაცია, იყო ძალიან წარმატებული. ჩვენ მოვიწიეთ მთელი სკოლა ჩვენი წარმოდგენის სანახავად, ჩვენ ვიყავით ნამდვილი ბერძნები. მოგვიანებით მასწავლებელმა წაგვიყვანა სურათების გამოფენაზე. გამოფენაზე წარმოდგენილი ნახატები ასახავდა სხვადასხვა ეროვნების კულტურას. მასწავლებელმა გვთხვა, აღმოგვეჩინა ის ნახატები, რომლებიც საბერძნეთის კულტურას გამოხატავდა. ამჟამად ნამდვილად აღარ მახსოვს, პროექტში რომელი

ჯგუფის მუშაობა შეფასდა ყველაზე წარმატებულად და რომელმა ჯგუფმა გაიმარჯვა, მაგრამ ნამდვილად მახსოვს ყველაფერი, რაც საბერძნეთის შესახებ იმ პროექტის ფარგლებში შევიტყვე“.

მოწვეული სტუმარი

სტუმრის მოწვევა რაიმე კონკრეტული თემის სწავლებისას აგრეთვე ეფექტური გზაა სწავლების პროცესში. მოწვეული სტუმარი დამატებით ინტერესს ზრდის მოსწავლეებში, გარდა ამისა, მოსწავლეები ისმენენ იმისგან განსხვავებულ პესპექტივებს, ხედვებს და მიღღომებს, რასაც მათ მასწავლებელი აწვდით. მნიშვნელოვანია, მოწვეული სტუმრის შერჩევისას მისი კულტურული მრავალფეროვნებაც იყოს გათვალისწინებული, შესაძლებელია მოიწვიოთ სტუმარი, რომელიც წარმატებული იყო საქართველოში თავის სფეროში და, ამავე დროს, წარმატებებს მიაღწია საქართველოს ფარგლებს გარეთ მოდგაწეობისასაც, ან მოწვეული იყოს სტუმარი, რომელიც კულტურული იდენტობის თვალსაზრისით უმცირესობას წარმოადგენს საქართველოში, თუმცა ეს არ გამხდარა დაბრკოლება მისთვის საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის. შესაძლებელია, მოწვეული იყოს საერთოდ საქართველოში დროებით მაცხოველებელი და მოსწავლეებს გაუზიაროს როგორც საკუთარი მოსაზრებები გარკვეულ საკითხებთან მიმართებით, აგრეთვე თავისი კულტურული მსოფლმსედველობიდან გამომდინარე დანახული და აღქმული ქართული რეალობა.

კუთხეები

აღნიშნული სტრატეგია საშუალებას იძლევა, საკლასო ოთახში გამოვიყენოთ დრო და სიგრცე სხვადასხვანაირად. საკლასო ოთახში ეწყობა რამდენიმე სამუშაო ადგილი. თითოეული სამუშაო ადგილის დანიშნულება მოსწავლეებში სხვადასხვა უნარისა და შესაძლებლობის განვითარებაა. მოსწავლეებს შეუძლიათ იმუშაონ, როგორც ინდივიდუალურად, აგრეთვე ჯგუფებში თითოეულ ამ კუთხეში. ყველა მოსწავლემ უნდა დაიკავოს ერ-

თი კუთხე რადაც მომენტში, ისე, რომ მთელი აქტივობის პერიოდში თი-თოუელ მოსწავლეს მიუკავ საშუალება, რამდენიმე კუთხეში იმუშაოს, ან შეიძლება სტრატეგიის ისე დაგეგმვა, რომ ყველა მოსწავლეს მოუწიოს ყველა კუთხეში მუშაობა. გთავაზობთ ერთ-ერთი მასწავლებლის მონა-თხობს, რომელმაც გამოიყენა აღნიშნული სტრატეგია პირველკლასელებთან:

როცა ვასწავლიდი პირველკლასელებს, ხშირად ვიყენებდი კუთხეების სტრატეგიას და ერთ დღესაც მოვაწყვე სასწავლო ოთახი კუთხეებად. კუთხეები შემდეგი პრინციპით გავაკეთე: საქლასო ოთახი დაგჭავი საერ-თო აქტივობების ნაწილად და რამდენიმე კუთხედ. თითოეული კუთხის დანიშნულება იყო მოსწავლეებში სპეციფიკური უნარები განვითარე-ბინა, კერძოდ, სიმბოლოების გააზრების, საუბრის და აღმოჩენის უნარე-ბი... შესაბამისად, საკლასო ოთახი დაყოფილი იყო სიმბოლური თამა-შების კუთხედ, საკითხავ კუთხედ, ექსპერიმენტულ კუთხედ, კომპი-უტერულ კუთხედ და საერთო აქტივობებისთვის დასაჯდომ (სკამების) კუთხედ. მოსწავლეები გადადიოდნენ ერთი კუთხიდან მეორეში, ისინი თავად წყვეტდნენ, რომელი კუთხე და როდის მოენახულებინათ. მე შევზლუდე თითო კუთხეში მოსწავლეების რაოდენობა. მოსწავლეებს პქონდათ საკუთარი საინდექსო ბარათები, რომელზეც მათი სახელი, ხუ-რათი და პერსონალური სიმბოლო ეხატა. ბავშვები ათავსებდნენ თავი-ანთ საინდექსო ბარათებს თითოეულ კუთხეში არსებულ ყუთში და რო-ცა ყუთში უკვე ჩაიყრებოდა ექვსი საინდექსო ბარათი, ეს ნიშნავდა, რომ კუთხე მთლიანად იყო დაკავებული და მოსწავლეებს უნდა აერჩიათ სხვა ადგილი. მთელი ამ პროცესის განმავლობაში მე ვაკვირდებოდი მათ მოქმედებებს. ბოლო ეტაპზე ყველა შევიკრიბეთ საერთო აქტივობებისთვის დასაჯდომ (სკამების) კუთხეში და თითოეული მათგანი ყვებოდა, რომელ კუთხეში იყო, რატომ აირჩია ეს კუთხე, რა გააკეთა ამ კუთხეში, როგორ გააკეთა, ვისთან ერთად გააკეთა და ა.შ. სწორედ ამ მონა-თხობების შედეგად გავიცანი მე ჩემი მოსწავლეები უკეთესად. . . თანდათანობით მე აღმოვაჩინე, რას ანიჭებენ ისინი უპირატესობას, რა უნარები აქვთ, რამდენად ახერხებენ ურთიერთობების დამყარებას სხვებთან, როგორ ახდენენ სხვაზე გავლენას ან ექცევიან გავლენის ქვეშ. შევიტყვე მათი ინიციატივების შესახებ, შევაფასე მათი დროის მართვის უნარი... ამ გზით მოსწავლეებს კლასში სწავლის პარალე-

ლურად მოუწიათ ყოველდღიური ცხოვრებისთვის დამახასიათებელი ქმედებების განხორციელება, მათ უნდა აერჩიათ რადაც, მათ მონაწილეობა უნდა მიეღოთ, ისინი უნდა ჩართულიყვნენ დისკუსიაში. . . მე ყოველთვის მაინტერესებდა სკოლა, რომელიც არ იყო მოწყვეტილი ყოველდღიური ცხოვრებიდან, რადგან მიმაჩნია რომ განათლებას მხოლოდ ამ დროს აქვს მნიშვნელობა თუ მისი რეალიზება ხდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ხშირად ვფიქრობ და ვერაფრით გამიგია მასწავლებლები რატომ არ იყენებენ კუთხეების სტრატეგიას მოსწავლეებთან უფრო მაღალ კლასებშიც და იწყებენ გაკვეთილს შემდეგი შეკითხვით „აბა, რაზე შეეხმარდით გუშინ?

კუთხეების მიდგომა აქტიურად გამოიყენება მოსწავლეების მონაწილეობით დისკუსიის გასამართადაც. მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ორ ან ოთხ ჯგუფად (კუთხედ) და აძლევს გარკვეულ საკითხს, რის გარშემოც მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ და იკამათონ. ორი კუთხის შემთხვევაში საკითხის გარშემო ორი ჯგუფი შეიქმნება: (1) ვეთანხმები; (2) არ ვეთანხმები. მოსწავლეთა დიდი რაოდენობის პირობებში ოთხი კუთხის შექმნაც შეიძლება. ამ შემთხვევაში საკითხის გარშემო შემდეგი ჯგუფები ჩამოყალიბდება: (1) აბსოლუტურად ვეთანხმები; (2) ვეთანხმები; (3) არ ვეთანხმები; (4) კატეგორიულად არ ვეთანხმები.

ეს მეთოდი გამოიყენება ერთობლივი სწავლის დროს. იგი დისკუსიის ერთ-ერთი სახეა და ახალისებს ჯგუფების შემოქმედებით პაექრობას. მეთოდი „კუთხეები“ მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გამოთქან საკუთარი აზრი და დაიცვან თავიანთი პოზიცია, ამასთან ყურადღებით მოუსმინონ სხვების არგუმენტებს და გაიზიარონ ან არ გაიზიარონ განსხვავებული მოსაზრებები, შეიცვალონ ან არ შეიცვალონ პოზიცია. აქვე გთავაზობთ კიდევ ერთ სიტუაციას, რომელიც უკავშირდება მასწავლებლის მიერ „კუთხეების“ მეთოდის გამოყენებას სკოლაში განსხვავებული მიღგომების გასაანალიზებლად:

„მოსწავლე მოგვითხოვთ: „ჩვენს კლასში სწავლობს ნიკა, რომელიც ყოველთვის უცნაურად ჩატმული და ყველასაგან განსხვავებული ვარცხნილობით დადის. თმები „პანკივით“ აქვს აჭრილი. მაისურებზე რომლებიც აცვია, გაუგებარი და უაზრო წარწერებია უცხო ენებზე.“

მიუხედავად ამ უცნაურობისა, ის ძალიან
ნიჭიერი და კეთილშობილი ბიჭია. ზოგიერთ
მასწავლებელს რომ აღიზიანებს მისი
გამორჩეულობა, გასაგებია, მაგრამ თანაკ-
ლასელთა ერთი ნაწილიც აჰყვა მათ. კლასი
ორად გაიყო. ნაწილი ნიკას იცავს: მისი
უფლებაა, როგორც უნდა, ისე ჩაიცვამსო, მეორე
ნაწილი კი ამას ერთგვარ გამოწვევად იდებს და
ამის გამო ნიკას ზურგს უკან ლანდავს კიდეც.
არ მესმის, განსხვავებულობა დანაშაულია?*



სიტუაციის ანალიზი

როგორც ჩანს, ნიკა თავისი ასაკისთვის დამახასიათებელი გამომ-
წვევი სტილით მიუღებელია არა მარტო უფროსი თაობისათვის, არამედ
ზოგიერთი თავისი თანატოლისათვისაც. თუ ნიკას ტანსაცმლისა და
ვარცხნილობის განსხვავებულობა არ შეიცავს რამე არაეთიკურს და არ
ეწინააღმდეგება სკოლის შინაგანაწესით დაღვენილ წესებს, მაშინ
გაუგებარია მასწავლებლებისა და, მით უმეტეს, თანაკლასელების გაღიზი-
ანება. ისინი არ უტოვებენ ნიკას თავისუფალი არჩევანის ხაშუალებას,
რაც მისი პიროვნული უფლებაა. როგორც სიტუაციიდან ჩანს, არავინ
დაინტერესებულია, რა არის თანატოლის განსხვავებული ჩატვლობისა და
ვარცხნილობის მიზეზი. ბავშვის გამომწვევი გარებული იური შესაძლოა
იყოს პროტესტის ნიშანი, ხაუთრი ინდივიდუალობის ხაზგახმა ან სულაც
მსოფლმხედველობრივი კუთვნილების გამოძახილი. რაც არ უნდა იყოს
ამის საფუძველი, ნიკა უნდა მიიღონ ისეთი, როგორიც ის არის.

გთავაზობთ გაპეტილის სცენარს, რომელიც, ვფიქრობთ,
დააფიქრებს მოსწავლეებს ისეთ საკითხზე, როგორიც განსხვავებულის
მიმღებლობაა.

გაპვეთილის მიზანი:

მოსწავლეები გაიაზრებენ, რომ სტერეოტიპები ხელს უშლის ადამიანის სწორად შეფასებასა და რეალობის აღქმას; იმსჯელებენ, არის თუ არა მიმართება ადამიანის გარეგნულ იერსახესა და მის პიროვნულ დირსებებს შორის.

რესურსები: ფორმატები, ფლომასტერები, საწერ-კალამი, ფურცლები.

აქტივობები:

აქტივობა 1. მასწავლებელი მოსწავლეებს უამბობს ამბავს, მომხდარს სამარშრუტო ტაქსიში. მანქანაში ხედან: ათლეტური გარეგნობის მამაკაცი, დაკუნთულ ტანზე შემოტანილი პერანგით, შეახნის სიმათიური მამაკაცი შარგალ-კოსტუმით, პალსტუხითა და ძირფასი სათვალით, ახალგაზრდა გახუნებულ და სიძველისაგან გაცრეცილ ქურთულში, სტუდენტი ბიჭი მუხლებზე გადახეცლი ჯინსებით, ქალავზე სკირინგითა და საყურით, უჩვეულოდ ლამაზი გოგონა გამოკვართული შარვლითა და ღრმად დაკოლტირებული მაისურით. გოგონა ფანჯარასთან ორადგილიან ხეამზე განთავსდა. მას გვერდით მიუჯდა რესექტაბელური გარეგნობის მამაკაცი ძირფასი სათვალეებით. თავდაპირველად მგზავრებს იხინი ნაცნობები ეპონათ, რადგან მამაკაცი რალაცას ეზურჩელებოდა. გოგონა ჯერ თავდახრილი უხმებდა, შემდეგ წამოდგომა და ხევა ხეამზე გადახვდა ხცადა, მაგრამ მამაკაცმა ქალავზი ხელი წაავლო და უხეშად უთხრა: „რა ძალიან იპრანჭები, გარეგნობაზე არ გეტყობა, რა ჩიტიც ხარ?“ გოგონას თვალები ცრემლებით აევსო... მას ერთადერთი ადამიანი გამოესარჩდა, რომელმაც თავხედი მამაკაცი სამარშრუტო ტაქსიდან „ჩააბრძანა“.

ამბის მოსმენის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, ვინ გამოესარჩდა გოგონას და თან დაასაბუთონ, რატომ ფიქრობენ ასე.

აქტივობა 2. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს სადისკუსიო თემას: ადამიანის გარეგნობა, მიხი იერსახე (ჩაცმულობა, გარცხნილობა და ხევა) წარმოაჩენს მისხავე ბუნებას.

კლასი იყოფა ოთხ ჯგუფად. საკლასო თთახის ერთ კუთხეში განლაგდებიან მოსწავლეები, რომლებიც აბსოლუტურად ეთანხმებიან ამ

მოსაზრებას, მეორეში – რომლებიც ეთანხმებიან ამ მოსაზრებას, მესამეში – რომლებიც კატეგორიულად არ ეთანხმებიან ამ მოსაზრებას, მეოთხეში – რომლებიც არ ეთანხმებიან ამ მოსაზრებას. ჯგუფებს ეძლევათ 15 წთ. არგუმენტების ჩამოსაყალიბებლად (არგუმენტებს წერენ ფორმატზე), პრეზენტაციისათვის – 3 წთ.

როცა ერთი ჯგუფი აკეთებს პრეზენტაციას, დანარჩენები ინიშნავენ, რადგან შემდგომში მათ მოუწევთ კონტრარგუმენტების მოფიქრება.

კონტრარგუმენტების მოსაფიქრებლად ჯგუფებს ეძლევათ 10 წთ., პრეზენტაციისათვის – 3 წთ.

თუ რომელიმე ჯგუფი შეიცვლის პოზიციას, შეუძლიათ გადაადგილდნენ სხვა კუთხები.

მონაწილეები აფასებენ დისკუსიას ქვემოთ მოცემული კითხვარის მიხედვით:

დისკუსიის შეფასების კითხვარი

სახელები: _____

თარიღი: _____

სადისკუსიო თემა: _____

| | დიახ | არა | ზოგჯერ | მონაცემები |
|---|------|-----|--------|------------|
| დისკუსიის პროცესში უველა მონაწილეობდა, გამოთქვამდა აზრს და ასაბუთებდა | | | | |
| მონაწილეები იცავდნენ დისკუსიის წესებს | | | | |
| დისკუსია ჯგუფში თემას არ გასცილებია | | | | |
| ჯგუფი კონსტრუქციული იყო, აკრიტიკებდა მოსაზრებას და არა პიროვნებას | | | | |

თანატოლთა სწავლება

თანატოლთა სწავლება გახდავთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

სტრატეგია, რომელიც გამოიყენება მრავალფეროვან სასწავლო გარემოში. თანატოლთა სწავლების ეფექტურობა დადასტურებულია კვლევებით, რომელიც ცხადყოფს, რომ ეს სტრატეგია ზრდის მოსწავლეთა მოტივაციასა და აკადემიურ მიღწევებს. ამასთანავე, სტრატეგია მნიშვნელოვანია მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარების თვალსაზრისითაც. კვლევები აგრეთვე ადასტურებს, რომ თანატოლთა სწავლების სტრატეგიაში ჩართულ მოსწავლეებს (მოსწავლუ-მასწავლებელი და მოსწავლე-მოსწავლე) აქვთ უკეთესი აკადემიური მიღწევები, ვიდრე იმ მოსწავლეებს, რომელთა გაკვეთილებზეც ეს სტრატეგია არ გამოიყენებოდა.

თანატოლთა სწავლებას რამდენიმე მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნია:

- (ა) ის უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ყველა მოსწავლის ჩართვას (შეზღუდული შესაძლებლობის მოსწავლის, აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლის, რომლებიც ხშირად იზოლირებულნი არიან, ლინგვისტური უმცირესობების მოსწავლის და ა.შ.);
- (ბ) იძლევა დადებითი უკუკავშირისთვის მეტ დროს;
- (გ) იძლევა საშუალებას მასწავლებელმა ყურადღება გაამახვილოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე;

თანატოლთა სწავლების სტრატეგია კლასში ორ შემთხვევაში გამოიყენება: (ა) შემსწავლელებს შორის ინტელექტუალურ მონაცემებში სხვაობის შემთხვევაში; (ბ) მოსწავლეებში ურთიერთობამშრომლობის დაბალი ხარისხის შემთხვევაში. მასწავლებელი ქმნის ორი მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფს და აყალიბებს ასიმეტრიულ ურთიერთობებს მათ შორის, ერთი ასწავლის, მეორე კი სწავლობს. მნიშვნელოვანია მასწავლებელმა საჭირო დრო შეარჩიოს და ეფექტურად გამოიყენოს აღნიშნული სტრატეგია. თანატოლთა სწავლების განხორციელება შემდეგ აქტივობებს მოიცავს:

- მასწავლებელი ამზადებს მოსწავლეებს როგორც მასწავლებლის, აგრეთვე მოსწავლის როლის შესასრულებლად და აცნობს სხვადასხვა სტრატეგიას;

- მასწავლებელი აწყვილებს მოსწავლეებს;
- მასწავლებელი უმზადებს მოსწავლეებს სახწავლო მასალას და მოსწავლეები იყენებენ მასწავლებლის მიერ მომზადებულ მასალას;
- მოსწავლე მეორე მოსწავლეს აცნობს ხელახლა იმ საკითხს, რომელიც მასწავლებელმა უკვე ასესნა და იღებს მეორე მოსწავლის შპუკავშირს;
- მოსწავლეები ცვლიან როლებს გარკვეული პერიოდის შემდეგ;
- მასწავლებელი აკვირდება და მონიტორინგს უწევს ყველა წევილში მიმდინარე სწავლების პროცესს და უკუკავშირს აკეთებს მოსწავლეთა ქმედებებზე.

თანატოლთა სწავლება ეფექტურია ორივე მოსწავლისთვის, რადგან ორივე მოსწავლე იდრმავებს ცოდნას. ამასთანავე, კარგია, თუ ამ სტრატეგიას განცალკევებულად, მხოლოდ ერთხელ არ გამოვიყენებთ და ეს გაგრძელდება, მაგალითად, მთელი ტრიმესტრის განმავლობაში, რადგან მოსწავლეები ერთმანეთს დაეხმარებიან მთელი ტრიმესტრის ფარგლებში და თან ეს ისე მოხდება, რომ უხერხულობა არ შეიქმნას, რადგან ორივე მოსწავლე ორივე როლს თამაშობს, გარდა ამისა, მოსწავლეს, რომელსაც სჭირდება დახმარება, არ ესაჭიროება ამის თხოვნა, ის ავტომატურად იღებს ამ დახმარებას სხვა მოსწავლისგან. აქვე გთავაზობთ რამდენიმე მინიშნებას, რომლებიც განსაზღვრავენ თანატოლთა სწავლების სტრატეგიის ეფექტურად გამოყენებას:

- (1) დაგეგმეთ გაკვეთილი ისე, რომ გააფართოოთ მოსწავლეთა არსებული ცოდნა;
- (2) კონკრეტულ წევილებში გააკეთეთ აქცენტი მოსწავლეთა საჭიროებებზე და შეეცადეთ მასწავლებელმა—მოსწავლემ ამ საჭიროებებზე გააკეთოს აქცენტი;
- (3) ასწავლეთ მოსწავლეებს, როგორ შეიძლება ასწავლონ თანატოლებს;
- (4) გააკეთეთ მოსწავლე—მასწავლებელთათვის სახელმძღვანელო მითითებათა ნუსხა;
- (5) თანატოლთა სწავლების თითოეულ გაკვეთილზე თითოეული

წყვილის შესახებ გააკეთეთ ჩანაწერები;
(6) მაქსიმალურად უზრუნველყავით თვალსაჩინოებებით მოსწავლეები, რადგან მოსწავლეებს უადვილდებათ თვალსაჩინოებების დახმარებით მასალის მიწოდება და აგრეთვე აღქმა.

გთავაზობთ გაკვეთილის მაგალითს, სადაც მასწავლებელმა გამოიყენა თანატოლთა სწავლების სტრატეგია. მაგალითი მოყვანილია მათემატიკის გაკვეთილიდან, თუმცა ამ გაკვეთილზე მიზანი იყო მოსწავლეების კითხვის უნარის განვითარებაც მეორე ენაში, ამასთანავე, ნაწილების იდენტიფიცირება და ინფორმაციის ინტერპრეტაცია, რადგან გაკვეთილი ტარდებოდა ბილინგვური პროგრამის კლასში ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების მიდგომით. ამ მაგალითის შემთხვევაში შემსწავლებს შორის ინტელექტუალურ მონაცემებში სხვაობაა და მასწავლებელი მიმართავს თანატოლთა სწავლების სტრატეგიას და აწყვილებს მაღალი აკადემიური და შედარებით დაბალი აკადემიურ მოსწრების მოსწავლეებს:

გაღვიძელების გამოყენება:

ანი  

რამდენი გაშლი მოკრიფა ანიზ ბაღში?

არმენი   

რამინი  

მარინა 

ნახატზე წარმოდგენილი  უტოლდება 4 გაშლა.

მოსწავლე-მასწავლებელი: ამ გაკვეთილზე უნდა გაფიქროთ კითხვა, გავანალიზოთ ნახატი, რომლის მეშვეობითაც შევძლებთ მათემატიკური და-

გალებების გაკეთებასაც. შეხედე ნახატს, რას ხედავ ნახატზე?

მოსწავლე—მოსწავლე: ვაშლებს და დაწერილ სახელებს.

მოსწავლე—მასწავლებელი: ძალიან კარგი, რა არის ამ ნახატის სათაური?

მოსწავლე—მოსწავლე: ბაღში დაკრეცილი ვაშლები

მოსწავლე—მასწავლებელი: ნახატის ქვევით არის წარწერა და განმარტება, რა იგულისხმება ამ განმარტებაში?

მოსწავლე—მოსწავლე: ალბათ, ის, რომ სურათზე გამოხატული 1 ვაშლი უტოლდება რეალურად 4 ვაშლს;

მოსწავლე—მასწავლებელი: სურათზე გამოხატული 1 ვაშლი თუ რეალურად 4 ვაშლს უდრის, მაშინ სურათზე გამოხატული 2 ვაშლი რამდენ რეალურ ვაშლს უტოლდება? სურათზე გამოხატული 3 ვაშლი რამდენ რეალურ ვაშლს უდრის?

მოსწავლე—მოსწავლე: სურათზე გამოხატული 2 ვაშლი ნიშნავს, რომ რამინს აქვს: 2 უნდა გავამრავლოთ 4-ზე ანუ 8 ვაშლი, ხოლო 3 ვაშლი ნიშნავს: არმენს აქვს 3 ვაშლი გამრავლებული 4-ზე, ანუ რეალურად 12 ვაშლი.


მოსწავლე—მასწავლებელი: საიდან გამოიანგარიშე, რომ რამინს რეალურად 8 ვაშლი აქვს, ხოლო არმენს 12?

მოსწავლე—მოსწავლე: დავთვალე, I ვაშლზე რამინს აქვს III რეალური ვაშლი, ხოლო II ვაშლზე გამოუვა III III ვაშლი, ანუ სულ 8 ვაშლი.

მოსწავლე—მასწავლებელი: შენი აზრით, რას უნდა აღნიშნავდეს სურათზე გამოხატული ეს  ვაშლი?

მოსწავლე—მოსწავლე: ალბათ, იმას, რომ ანიმ შეჭამა სურათზე გამოხატული 1 ვაშლი, ანუ რეალურად 4 ვაშლი.

მოსწავლე—მასწავლებელი: და ანის დარჩა სურათზე გამოხატული 1 ვაშლი ანუ რეალურად 4 ვაშლი, ამას გვეკინავთ ამოცანაც?



მოსწავლე-მოსწავლე: არა, ამოცანა გვეკითხება, რამდენი მოკრიფა ანამ, ანის მართალია ეხლა აქვს ერთი ვაშლი ნახატზე ანუ 4 რეალური ვაშლი, მაგრამ აქვს კიდევ 1 შეჭმული ვაშლი ნახატზე, ანუ 4 რეალურად შეჭმული ვაშლი. რაღაც ამოცანა გვეკითხება, რამდენი ვაშლი მოკრიფა ანიმ, გამოდის, რომ უნდა დავთვალოთ რაც აქვს ის ვაშლებიც და რაც შეჭამა – ის ვაშლებიც. აქედან გამომდინარე, გამოდის, რომ ანიმ დაკრიფა სურათზე გამოხატული 2 ვაშლი (1 მთელი და 1 შეჭმული), ანუ რეალურად 8 ვაშლი. ანუ, ამ ამოცანის პასუხია, რომ ანიმ დაკრიფა 8 ვაშლი.

მაგალითის კომენტარი

აღნიშნულ მაგალითში წარმოდგენილი სტრატეგიით მოსწავლეებმა შეძლეს:

- ვაშლებით გამოხატული სიმბოლოების ციფრებში გადაყვანა და მათემატიკური ოპერაციების წარმოება;
- ნახატზე არსებული წინადაღებების და სიტყვების წაკითხვა;
- ნახატზე წარმოდგენილი წინადაღებების, სიტყვების და სიმბოლოების დაკავშირება და ინტერპრეტაცია;
- მოსწავლეების საუბრის შედეგად მოსწავლეთა საუბრის უნარი განვითარდა და ლექსიკური მარაგი გამდიდრდა, რაც გან-

საკუთრებით მნიშვნელოვანია ბილინგვურ კლასებში.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ მაგალითში მოსწავლე-მოსწავლე სწორად სცემს პასუხს მოსწავლე-მასწავლებლის შეკითხვებს, თუმცა, ხშირი იქნება შემთხვევები, როცა პასუხი მცდარი იქნება და მოსწავლე-მასწავლებელს დასჭიდება ძალისხმევა, რათა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან და პრაქტიკული მაგალითებით, ბავშვურ, მარტივ და გასაგებ ენაზე აუხსნას მოსწავლეს კონკრეტული საკითხი და დაეხმაროს მის ამოხსნასა და გადაჭრაში.

აქევ გთავაზობთ ერთ-ერთი მოსწავლის მონათხობს, თუ რა შედეგი მოჰყვა თანატოლთა სწავლების სტრატეგიას:

მე გამოვიცვალე სკოლა და რუსული სკოლიდან გადავედი ერთენოვან ქართულ სკოლაში, თავდაპირველად საკმაოდ დაბრნეულ ვიყავი, ფაქტობრივად, დაკარგულივით ვიყავი კლასში. ვერაფერს ვიგებდი, როცა მასწავლებელი იწყებდა ახსნას, განსაკუთრებით გამიჭირდა მათემატიკა, მასწავლებელი გვასწავლიდა გაყოფას, მაგრამ დაფაზე წერდა ციფრებს და გაყოფის ნიშნებს ისეთი ფორმით, რომელიც აბსოლუტურად უცხო იყო ჩემთვის და ვერაფერს ვგებულობდი, მე გაყოფის სწავლისას ვიყენებდი სხვა მეთოდს, მაგრამ რაში იყო განსხვავება, ვერ ვამჩნევდი და ვერც მასწავლებელი ხვდებოდა, რატომ ვერ ვიგებდი და რას მისებნიდა განსხვავებულად. ამიტომ მასწავლებელმა გამოიყენა თანატოლთა სწავლების სტრატეგია. ერთ-ერთ თანაკლასელთან დამატებილა და მოგვცა გაყოფის ერთი ამოცანა. თანაკლასელმა თავისებურად, ძალიან ბავშვურად და მარტივად ამისნა, როგორ ასრულებდა გაყოფას. მისი ახსნის შემდეგ ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა და აღარასოდეს შემქმნია პრობლემა სწავლის პერიოდში. ზოგჯერ თანატოლი ნამდვილად უკეთესად გაგებინებს; გარდა ამისა, ზოგჯერ თანატოლთან გირჩებია აღიარო, რომ სწავლასთან დაკავშირებით რადაც პრობლემა გაქვს და ის დაგეხმაროს ამ სასწავლო პრობლემის მოგვარებაში, თუმცა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ამ თანატოლთან კარგი და მეგობრული ურთიერთობა გქონდეს. . . “

როლური თამაში

როლური თამაში – ეს არის ცხოვრებისეული სიტუაციის იმიტირება რომელიმე კონკრეტული პრობლემის გასააზრებლად და გადასაჭრელად. ეს მეთოდი მოსწავლეებს აძლევს იმის საშუალებას, რომ მათ განივითარონ და შეამოწმონ საქუთარი ცოდნა, უნარები და გამოცდილება მოცემულ სიტუაციაში მოქმედი პირების აზრებისა და გრძნობების გათავისებით. ამ მეთოდს შეუძლია შეასრულოს მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებისა და სწავლის ხელშემწყობის როლი. როლური თამაში მოსწავლეებს ეხმარება:

- თანაგანცდის განვითარებაში, რადგანაც ისინი განიხილავენ და ითავისებენ სხვების აზრებს, გრძნობებს და თვალსაზრისებრს;
- ზეპირი გამოხატვისა და ინტერპრეტაციის უნარების განვითარებაში, რადგან ისინი იყენებენ მეტყველებას იმისათვის, რომ გადმოსცენ ემოციები და გამოხატონ რეაქციები;
- გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებაში, რადგანაც ცხოვრებისეული სიტუაციების გათამაშებისას ისინი იღებენ უნიკალურ გამოცდილებას;
- ზეპირმეტყველებისა და მოსმენის უნარების განვითარებაში.

როლური თამაშის დაწყებამდე

განსაზღვრეთ როლური თამაშის წყარო. ასეთ წყაროდ ყველაზე ხშირად ლიტერატურა გამოიყენება, თუმცა მედია და მოსწავლეთა ცხოვრებისეული გამოცდილებაც მდიდარი წყაროა როლური თამაშისათვის.

როლური თამაშის დაგეგმვის პროცესი ამგვარია:

- შეარჩიეთ ისეთი საკითხი ან თემა, რომლის შესწავლაც მიმდინარეობს და რომელშიც არის ადამიანური პრობლემები. ამასთან

არის ისეთი როლები, რომლებშიც შესაძლებელი იქნება მოსწავლეების გარკვეული რაოდენობის ჩართვა;

- შეარჩიეთ კონცეფცია / იდეა / პრობლემა, რომელსაც შეიცავს თქმა და დარწმუნდით, რომ ის საღავო და საინტერესო იქნება მოსწავლეთათვის;
- წინასწარ განსაზღვრეთ თვალსაზრისები, რომლებიც შეიძლება იყოს გამოთქმული;
- ყოველი თვალსაზრისი შეიტანეთ სიტუაციაში იმგვარად, რომ მონაწილე მოქმედი პირები შეეჯახონ გადასაჭრელ პრობლემას;
- შეარჩიეთ სიტუაცია გათამაშებისათვის და როლები მოსწავლეთა და მასწავლებლისათვის.

როლური თამაშისათვის მომზადების შემზები საფეხურებია:

- სცენარის შექმნა როლური თამაშისათვის (სცენარში უნდა ჩანდეს გადასაჭრელი პრობლემა);
- როლურ თამაშში მოსწავლეთა ვალდებულებების განსაზღვრა (მაგალითად, ვინ იქნება მთხოვნელი, ვინ დასვამს შეკითხვებს, ვინ დახატავს და ა.შ.);
- როლების განაწილება (სასურველია, თუ ბარათებზე დაწერილი იქნება როლი და თითოეული მონაწილის ფუნქცია);
- ოთახის მომზადება (ოთახში მერჩების განლაგების შეცვლით დაწყებული, დამთავრებული ავეჯითა და განათებით);
- მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ, როგორ შევიდნენ თავიდან როლში (თავიდანვე იმის გამჟღავნება, ვინ არიან, სად არიან და რა ხდება);
- გარკვეული დაძაბულობის შეტანა, რათა ყველა დაინტერესდეს (მაგალითად, ურთიერთსაწინააღმდეგო იდეები ან ამ იდეების გამოხატველი პერსონაჟები, გადასაჭრელი პრობლემის აქტუალობა, სიტუაციის იდუმალება და სხვა).

როლური თამაშის დროს

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა თავი უსაფრთხოდ იგრძნონ, როდესაც ისინი სხვადასხვა როლში გამოდიან. ყველა უნდა იყოს დარწმუნებული იმაში, რომ არავინ დასცინებს, არ გადაიტანენ განსახი-ერებული პერსონაჟის თვისებებს მასზე. წინასწარ წესების დადგენა და როლური თამაშის შემდგომი საქმიანობების ცოდნა მოსწავლეებს დაეხმარება იმაში, რომ ყურადღებით ადევნონ თვალი თამაშის პროცესს, მზად იყვნენ პასუხებისა და დისკუსიისათვის წარმოდგენის შემდეგ.

როლური თამაშის შემდეგ

როლური თამაშის შეფასება მოხდება განსჯითი დისკუსიის მეშვეობით. ისიც დასაშვებია, რომ მოსწავლეებმა საკუთარი შთაბეჭდილებები წერილობით გადმოსცენ. ასეთ დროს შეიძლება მოსწავლეებმ, რომელიც პასიური იყო როლური თამაშის დროს, ძალიან გააზრებულად დაწეროს ამ გამოცდილების შესახებ.

აღნიშნული სტრატეგია უკვე ფართოდ გავრცელებულია სასწავლო პროცესში და ყველა მასწავლებელი იყენებს მას. ამ შემთხვევაში მთავარია, სწორად იყოს შერჩეული ამ სტრატეგიის გამოყენების დრო და ადგილი. მნიშვნელოვანია აგრეთვე როლების სწორად გადანაწილება, ხშირ შემთხვევაში მოსწავლეები არაკომფორტულად და მოუხერხებლად გრძნობენ თავს, შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოსწავლის როლიდან შესასრულებელ როლზე გადასვლის პერიოდი რაღაც აქტივობებით დატვირთოს პედაგოგმა, რაც უფრო უშუალოს გახდის მოსწავლეს და ახალი როლის შესრულების დისკუმფორტს გარკვეულწილად მაინც მოუხსნის. გთავაზობთ ასეთი გარდამავალი ტიპის აქტივობების რამდენიმე სავარჯიშოს:

მოგაჭრები

მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში. თითოეული არის გამყიდველი (მოგაჭრე). მოსწავლე საკუთარი თვისების ან მახასიათებლის გაყიდვას ან გაცვლას ცდილობს, მაგალითად, იუმორის გრძნობის, სიბრძნის, კარგი გარევნობის, სინატიფის, მუსიკალური მონაცემების, ფეხბურთელის ნიჭის და ა.შ. თითოეული მოგაჭრე ცდილობს კარგ ფასად გაყიდოს ან იყიდოს ესა თუ ის თვისება თუ მახასიათებელი, ცდილობს

თავისთვის მომგებიანი გარიგება დადოს. აღნიშნული სავარჯიშო ხელს უწყობს მოსწავლეთა ღირებულებებისა და დამოკიდებულების გარკვევას მასწავლებლის მიერ, რაც ხელს შეუწყობს მასწავლებელს, სწორად შეურჩიოს მოსწავლეს კონკრეტული როლი. სავარჯიშო მოსწავლეში ავითარებს კომუნიკაციის უნარს და ამზადებს მას გარკვეული როლის შესასრულებლად.

გადაწყვეტილების სწრაფად მიღება

წევილებში ან ჯგუფში მომუშავე მოსწავლეებს მიეცემათ როლები ან გარკვეული სიტუაციის მონასაზი. მათ ეძლევათ გარკვეული პრობლემა ან კონფლიქტური სიტუაცია, რომელიც დროის მოკლე, განსაზღვრულ პერიოდში უნდა გადაჭრან (ერთ ან ორ წუთში). განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ მოსწავლემ პრობლემის გადაჭრის თავისებური ხედვა უნდა გააცნოს მთელ ჯგუფს. პრობლემის გადაჭრის გზის გაცნობის შემდეგ იწყება დისკუსიები იმის თაობაზე, თუ როგორ მივიდა მონაწილე ამ გადაწყვეტილებამდე, რატომ არის ეს გადაწყვეტილება კარგი, როგორ მოქმედებდა შეზღუდული დროის ფაქტორი მოსწავლეზე სწრაფი გადაწყვეტილების მიღებისას. აღნიშნული აქტივობაც ხელს უწყობს მოსწავლეს როლის შესრულებისთვის მოქმედოს, ხოლო მასწავლებელს - ადეკვატურად გადაანაწილოს როლები მოსწავლეთა შორის.

გთავაზობთ იმ გაკვეთილის სცენარს, რომელშიც გამოყენებულია როლური თამაში.

გაკვეთილის მიზანი: წარმოსახვისა და სამეტყველო უნარ-ჩვევების განვითარება. მოსწავლეები შეძლებენ მცირე სიუჟეტისაგან სცენარის შექმნას და როლების გათამაშებას.

გაკვეთილის მსვლელობა:

აქტივობა 1. მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს წასაკითხად ტექსტს, რომელშიც მოთხოვილია ამბავი ახალგაზრდა ცოლ-ქმრის მოგზაურობის შესახებ.

ტექსტი: ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მოგზაურობს გემით. მებარგულს მათი ბარგი შეაქვს კაიუტაში და ათავსებს მას საბარგულზე, რომელზეც სხვა ჩემოდანიც დევს. უცებ ამ ჩემოდნიდან უცნაური ხმა შემოესმება ცოლ-ქმარს. ისინი შეშინდნენ. ქმარმა სასწრაფოდ მიიღო გადაწყვეტილება,

აიდო ხელში საეჭვო ჩემოდანი, გაგარდა გემბანზე და მოისროლა ზღვაში. ამასობაში კაიუტაში შემოდის მამაკაცი, რომელიც თვალებით ეძებს თავის ჩემოდანს.

აქტივობა 2. მოსწავლეები ამ ტექსტის მიხედვით ამზადებენ არჩეულ როლებს და აზუსტებენ დეტალებს. ამის შემდეგ ამზადებენ საუბრის შესაძლო ვარიანტს:

მებარგული: აი, თავისუფალი კაიუტა, მგონი, აქ უნდა იყოს თქვენი ადგილი.

ქმარი: გმადლობთ, თუ შეიძლება, ეს დიდი ჩემოდანი აი, აქ, ქვემოთ მოათავსეთ, პატარა ჩემოდანს მე თვითონ მივხედავ. აი, აიდეთ (აძლევს ფულს).

მებარგული: გმადლობთ. სასიამოვნო მგზავრობას გისურვებთ.

ცოლი: გესმის? ვაიმე, რა ხმაა ეს?

ქმარი: ო, ეს რა ჩემოდანია აქ! აჲა, ხმაც აქედან ისმის, ალბათ მაღვიძარაა.

ცოლი: რა მაღვიძარა, სად გაგიგია, მაღვიძარას ასეთი ხმა რომ პქონდეს!

ქმარი: რა ვქნათ? ალბათ, კაპიტანს უნდა შევატყობინოთ.

ცოლი: რა დროს ეგაბა, შეიძლება ავფეთქდეთ (ჩემოდნით ხელში გამორბის კაიუტიდან)! მოდი, დროზე! (ორივენი მიათრევენ ჩემოდანს და დიაზღვაში აგდებენ).

ცოლი: (კმაყოფილი): უჰ, ძლივს არ მოვასწარით!

ახალგაზრდა კაცი (შემოდის და თვალებით ეძებს ჩემოდანს): ე, სად გაქრა, აქ დაგტოვე (ბილეთზე ამოწმებს ადგილს)!

მეთოდური კომენტარი: შეიძლება მოსწავლეებს მიუკეთ დაგალება, უმნიშვნელოდ შეცვალონ ხცენარი, მაგალითად, ახალგაზრდა ცოლ-ქმარის ნაცვლად, ხიტუაციის პერსონაჟი არის ორი მშიშარა მოხუცი. მათ შეუძლიათ დაამატონ ინფორმაცია მგზავრების შესახებ: ვინ არიან, სად მიდიან, რამდენი წლის არიან, როგორ გამოიყურებიან და ა.შ. ამის შემდეგ იძლევიან საუბრის შესაძლო ვარიანტს.

კლასის დონიდან გამომდინარე, მოსწავლეებს წინასწარ შეიძლება მიუცეს როლური თამაშისათვის საჭირო ენობრივი კონსტრუქციები, მაგალითად, „სასიამოვნო მგზავრობას გისურვებთ.“ „მე თვითონ მივხედავ ბარგს“ და სხვა...

დასკვნა

ყველა ზემოთ აღწერილი სტრატეგია ხელს უწყობს კომუნიკაციის დამყარებას სასწავლო პროცესში ჩართულ ყველა პიროვნებას შორის. განათლება არის ყოველთვის კომუნიკაცია, ინტერკულტურული მიდგომა გულისხმობს ისეთი საგანმანათლებლო აქტივობების გამოყენებას, რომელიც ხელს უწყობს, ერთი მხრივ, სწავლების პროცესში ჩართულ ყველა ადამიანს შორის აზრების გაცვლას, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი ცოდნისა და მოსაზრებების ფორმირებას ყველა მოსწავლისა და მასწავლებლის გამოცდილებიდან გამომდინარე. აქვე გთავაზობთ ნიერას მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, რომელიც ხელს შეუწყობს მასწავლებელს კლასში ჯანსაღი გარემოს შექმნაში და გაუადვილებს ეფექტურ კომუნიკაციას მოსწავლეებთან:

- დააფასეთ მოსწავლის მიღწევა, რაც არ უნდა მცირედი იყოს;
- არასოდეს მისცეთ უარყოფითი შეფასება მოსწავლეების ნამუშევარს, აუცილებლად აღმოაჩინეთ პოზიტიური მომენტები ნაშრომში;
- თუკი მიუთითებთ მოსწავლეს წარუმატებლობაზე, აუცილებლად შესთავაზეთ ამ წარუმატებლობის გამოსწორებისა და დაძლევის გზები;
- დააფასეთ მოსწავლის ნებისმიერი ქმედება, რომელიც პრობლემის მოგვარებისკენაა მიმართული, მიუხედავად იმისა, ეფექტურად გერვენებათ თუ არა მოსწავლის მიერ დასახული პრობლემის მოგვარების გზა;
- დააფასეთ მოსწავლის ყველა მცდელობა, რომელიც მიმართულია დავალების შესრულებაზე;
- დააფასეთ მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნება და შესაბამისი დამოუკიდებელი ქმედება;
- მოსწავლეებთან გააფორმეთ ქცევის წესებზე შეთანხმება და შეეცადეთ, ყველამ პატივი სცეს ყველასთან შეთანხმებულ საერთო წესებსა და ნორმებს;

- თუ კონფლიქტი წარმოიშვება კლასში, სთხოვეთ მოსწავლეთა კომისიას, რომ შეისწავლონ კონფლიქტი და შემოგთავაზონ გადაჭრის გზები;
- უნდა შეძლოთ აღიაროთ შეცდომები ასეთის არსებობის შემთხვევაში და ბოდიში მოიხადოთ მოსწავლეებთან ამ შეცდომისთვის;
- როცა მოსწავლეები რაიმე დავალებას შეასრულებენ, მნიშვნელოვანია, მოხდეს აქტივობის, პროცესის და შედეგის შეფასება, გაანალიზდეს პოზიტიური და ნეგატიური მომენტები, დაიწეროს მოსაზრებები შემდეგი დავალების თუ აქტივობის გასაუმჯობესებლად;
- ხშირად მოიწვიეთ მშობლები, მოხალისეები და პროფესიონალები საკუთარი გამოცდილების მოსწავლეთათვის გასაზიარებლად;
- მიუძღვენით სპეციალური დრო იმ ადამიანებზე საუბარს, რომელთა მოღვაწეობამ ჰუმანურობის განვითარებას და კეთილდღეობას შეუწყო ხელი;
- მოაწყვეთ სამეცნიერო გამოფენები, პროექტის პრეზენტაციები, შეკრებები და სხვა აქტივობები, რაც მოამზადებს ყველა მოსწავლეს აქტიური ცხოვრებისთვის;
- განახორციელებინეთ მოსწავლეებს დამოუკიდებელი კვლევები, რათა ხელი შეუწყოთ მათში დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას და საკუთარ თავში რწმენის ამაღლებას.

თავში გამოყენებული ლიტერატურა

შალვა ტაბატაძე, ნათია ნაცვლიშვილი - ინტერკულტურული განათლება,
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008

Pedagogy and practice: teaching and learning in secondary schools at www.learner.org.

Marzano, R.J., Debra, J.P., Pollock, J.E., *Classroom instruction that works : research-based strategies for increasing student achievement*. Pearson Education Inc. 2005

Kauchak, D.P., Eggen, P.D., *Learning and teaching: research-based methods*. Pearson Education Inc. 2007

Socrates Comenius Publication (2002). A Practical Guide To Implement Intercultural Education at Schools.

The National Council for Curriculum and Assessment of Ireland (2005). Intercultural Education in the Primary Schools.

The Access Centre (2005), *Using Peer Tutoring for Math*

Tavi mesame

ინტერპულტურული განათლება და პრაქტიკა

შესავალი

ეთნიკურად მრავალფეროვან კლასში სწავლების სტრატეგიები

ენა და სწავლის სტილი

რელიგიური პლურალიზმი სეპულარულ კლასში


**სოციალური კლასისა და მდგომარეობის გავლენა
სწავლა-სწავლების პროცესზე**

შესავალი

სახელმძღვანელოს მესამე თავში წარმოდგენილი იქნება ინტერპულტურული განათლების პრაქტიკული საკითხები სხვადასხვა სიტუაციისა და საგანმანათლებლო შემთხვევის კონტექსტში. სახელმძღვანელოს პირველ თავში წარმოგიდგინეთ თორმეტი წყარო, რომელიც განაპირობებს ინდივიდის კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებას: (1) რასა; (2) ნაციონალობა/ეთნიკური წარმომავლობა; (3) ენა; (4) რელიგია; (5) სქესი; (6) სოციალური მდგომარეობა; (7) სოციალური სტატუსი; (8) ასაკი; (9) გეოგრაფიული მდებარეობა; (10) ჯანმრთელობა; (11) შესაძლებლობა/ შეზღუდული შესაძლებლობა; (12) სექსუალური ორიენტაცია. თორმეტივე წყარო მნიშვნელოვანია კულტურული იდენტობის ფორმირებისათვის და გავლენას ახდენს სწავლისა და სწავლების პროცესზე, თუმცა ამ სახელმძღვანელოს ფორმატიდან და მიზნებიდან გამომდინარე ამ თავში განვიხილავთ ენის, რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის, სოციალური მდგომარეობისა და სოციალური სტატუსის გავლენას მოსწავლის განათლების პროცესზე.

ეთნიკურად მრავალფეროვან კლასში სწავლების სტრატეგიები

საქართველო მრავალფეროვანი ქვეყანაა როგორც ეთნიკური, აგრეთვე რელიგიური და ენობრივი თვალსაზრისით. აღნიშნული მრავალფეროვნება ასახულია საქართველოს განათლების სისტემაშიც. მაგალითად, საქართველოში 234 არაქართულენოვანი საჯარო სკოლა ფუნქციონირებს, რაც საჯარო სკოლების საერთო რაოდენობის დაახლოებით 11 %-ს შეადგენს (საქართველოს განათლების სამინისტრო, EMIS, 2009). მოსახლეობის ეთნიკური მრავალფეროვნების შესაბამისად, საჯარო სკოლის მოსწავლეთა შემადგენლობაც მრავალფეროვნებით ხასიათდება. სკოლის მოსწავლეთა ეთნიკური ჯგუფები რაოდენობის მიხედვით ქვემოთ მოყვანილ სქემაშია წარმოდგენილი:



საქართველოს განათლების და მუცნიერების სამინისტრო, 2007

აღნიშნული მონაცემებით, საქართველოში დაახლოებით 72 000 ეთნიკურად არაქართველი მოსწავლეა რომელთაგან 67 953 მოსწავლე ანუ დაახლოებით 94 % არაქართულენოვან სკოლებში (სუფთა ან შერეულ

ენობრივი სექტორებში) სწავლობს; ხოლო 6% ქართულენოვან სკოლებში არის გადანაწილებული.

| სწავლების ენა | სკოლები შერეული ენობრივი სექტორებით | სკოლები სუფთა ენობრივი სექტორებით | სკოლების რაოდენობა | მოსწავლეების რაოდენობა | სკოლების რაოდენობა | მოსწავლეების რაოდენობა |
|---------------|-------------------------------------|-----------------------------------|--------------------|------------------------|--------------------|------------------------|
| აზერბაიჯანული | 124 | 27442 | 94 | 18462 | | |
| სომხური | 140 | 15592 | 124 | 14944 | | |
| რუსული | 135 | 24512 | 14 | 3748 | | |
| ოსური | 3 | 165 | 1 | 60 | | |
| სხვა | 2 | 242 | 1 | 37 | | |

განათლებისა და მუცნიერების სამინისტრო, 2009 (EMIS)

ეთნიკური წარმომავლობა უდიდეს როლს თამაშობს ინდივიდის იდენტობისა და აზროვნების ფორმირებაში. ეთნოცენტრული აზროვნება ფართოდაა გავრცელებული მოსწავლეებში და მასწავლებლებში, რაც იწვევს მოსწავლეებში სტერეოტიპებისა და წინარე განსჯის განვითარებას. რამდენიმე ძირითადი ფაქტორი განაპირობებს მოსწავლეებში ეთნოცენტრიზმის განვითარებას: (ა) დაკვირვება და პასიური სწავლა; (ბ) ჯგუფისადმი კუთვნილება; (გ) მედია; (დ) რელიგიური ფუნდამენტალიზმი.

ეთნოცენტრული აზროვნების, წინარე განსჯისა და სტერეოტიპების შესამცირებლად სკოლა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაწესებულება. სკოლაში მასწავლებლის მიერ სწორი სტრატეგიების შერჩევის პირობებში, შესაძლებელია მოსწავლეებში ინტერკულტურული მგრძნობელობის განვითარება. პელევები ადასტურებს, რომ ტრანსფორმაციული მიღების გამოყენება ეფექტურია მოსწავლეებში ეთნორელატიური აზროვნების განსავითარებლად, სტერეოტიპებისა და წინარე განსჯის შესამცირებლად. ეთნიკურად მრავალფეროვან კლასში მასწავლებლის მიერ გამოყენებული საგანმანათლებლო სტრატეგიები ძირითადა თოს კატეგორიად იყოფა (კუმნერი და მისი კოლეგები, 2006): (1) მოსწავლეებში სოციალური და ჯგუფთაშორისი ურთიერთობების გაუმჯობესება; (2) კოგნიტური ცნობიერების კომპლექსური განვითარება; (3) მოსწავლეებში საკუთარი

თავის პატივისცემისა და თავდაჯერებულობის განვითარებისთვის ხელშეწყობა; (4) განსხვავებული ჯგუფების ემპათია და გაგება.

ქვემოთ წარმოგიდგენთ ეთნიკურად მრავალფეროვან სკოლასა და კლასთან დაკავშირებულ კრიტიკულ სიტუაციებს

სიტუაცია 1:

მოსწავლე გვიამბობს: „მე მამით აფხაზი ვარ, დედა ქართველი მყავს. აფხაზეთთან კონფლიქტის გამო ჩემი მშობლები დაშორდნენ. ექვსი თვის ვიყავი, როცა დედამ თავისიანებთან წამომიყვანა. მამას სხვა ოჯახი ჰყავს. მასთან, ფაქტობრივად, ურთიერთობა არ მაქვს. რამდენჯერმე შეგვეხმიანა, მაგრამ მერე მისგან ზარებიც შეწყდა... ერთხელ ისტორიის გაკვეთილზე, როცა მასწავლებელი საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტზე საუბრობდა, ისე „შეიჭრა როლში”, რომ ვერ დამალა გადიზიანება. აფხაზები უმაღლურებად მონათლა. ჩვენი უხერხემლო მთავრობის ბრალია, ამდენი უფლება რომ მისცა აფხაზებსო. მოკლედ, კონფლიქტში ბრალი მთლიანად მეორე მხარეს დასდო. მასწავლებელი რომ ლაპარაკობდა, ვიგრძენი, კლასელები ხშირ-ხშირად გადმომხედავდნენ. დავიძაბე. ერთმა მეტიჩარა გოგომ ისიც კი მითხრა: მე რომ შენს ადგილზე ვიყო, გვარს გამოვიცვლიდიო. კარგა ხანს სკოლაში სიარულის სურვილი დავპარგერომ არა ჩემი რამდენიმე ახლო თანაკლასელი ძმაკაცი და ქართულის მასწავლებელი, რომელმაც „ჰაკი აძას“ სწავლებისას სულ სხვა თვალით დაგვანახა აფხაზები, მათი ტრადიციები და წესჩვეულებები, ან სხვა სკოლაში გადავიდოდი, ან საერთოდაც ადარ ვივლიდი...”

სიტუაციის ანალიზი

უკანასკნელ ათწლეულებში საქართველოში განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა მრავალ ოჯახს დაუტოვა მძაფრი ტკივილის განცდა. ეს ტკივილი ირეკლება ბავშვების სულზეც. მათი სათუთი ბუნება რეაგირებს ყოველ წვრილმანზეც კი. მით უმეტეს, როცა საუბარია ბავშვზე, რომელსაც ომმა ოჯახი დაუნგრია, ფაქტობრივად, უმამოდ დატოვა. სრულიად გაუგებარია მასწავლებლის პოზიცია, რომელიც თავს

ახვევს მოსწავლეებს საკუთარ ხედვას, მოვლენის ცალმხრივ შეფასებას და არ ითვალისწინებს იმას, რომ კლასში აფხაზი ეროვნების მოსწავლე უზის. იმის მაგივრად, რომ მან ისტორიული მოვლენების სხვადასხვა პერსპექტივიდან ჭვრება ასწავლოს ბავშვებს, იზრუნოს მათში შემწყნარებლობის უნარის განვითარებაზე, ის თავისი მკვეთრად გამოხატული შეურიგებელი პოზიციით ქსენოფონის დამკვიდრებას უწყობს ხელს. რაღაც გაკვეთილის თემა ქართულ-აფხაზური კონფლიქტი იყო, მასწავლებელს, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაეთვალისწინებინა ის ელემენტები, რომლებიც აუცილებელია კონფლიქტის ანალიზისას, კერძოდ:

- კონფლიქტის ისტორიისა და მისი გამომწვევი მიზეზების გარკვევა;
- კონფლიქტში ჩართული ყველა მხარის განსაზღვრა;
- კონფლიქტში ჩართული ყველა მხარის ქმედების მოტივისა და მათი ურთიერთდამოკიდებულებების გარკვევა;
- იმ ფაქტორებისა და ტენდენციების განსაზღვრა, რომლებიც საფუძვლად უდევს კონფლიქტს;
- გამოცდილების სწავლა როგორც გამარჯვებიდან, ისე მარცხიდან.

ანალიზის ნაცვლად მასწავლებელი მხოლოდ ემოციური დამოკიდებულების გამოხატვით დაკმაყოფილდა და კლასში შექმნა გარემო, რომელმაც აფხაზი წარმოშობის ბიჭუნას უცხოდ და „დამნაშავედ“ აგრძნობინა თავი მხოლოდ იმიტომ, რომ ის აფხაზია.

ისტორიის მასწავლებელს შეეძლო გამოეყენებინა როლური თამაში (მაგალითად, სახალხო დიპლომატების შეხვედრა ან კონფლიქტის ანალიზი სამი პოზიციიდან: ქართველების, აფხაზებისა და ნეიტრალური მხარის.) სხვის „ტყავში“ ყოფნა მოსწავლეებს უკეთ აცნობიერებინებს „მოწინააღმდეგის პოზიციას, იმას, რომ მარტო მისი პოზიცია არ არის ერთადერთი ჭეშმარიტება; უკითარებს ემპათიის უნარს.“

სამწუხაროდ, სიტუაციაში არ ჩანს, რა გააკეთა ისეთი ქართულის მასწავლებელმა, რომ მოსწავლეს ნაწილობრივ შეუმსუბუქა „უცხოობის“ განცდა, დაუბრუნა სკოლაში სიარულის სურვილი. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მან შეძლო აფხაზი ხალხის დირსებების

ჩვენება და იმ შემხები წერტილების, საერთო ღირებულებებისა და ინტერესების მონახვა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ამ ორი ხალხის პარმონიულ თანაცხოვრებას განაპირობებდა.

გთავაზობთ ერთი გაპეტილის სცენარს რომელიც ტრანსფორმაციული მიდგომის ნიმუშს წარმოადგენს. მასალად გამოყენებულია თხუთმეტი წლის მოზარდის, 123-ე საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლის ელექტრამიშვილის მოთხოვნა, რომელმაც გაიმარჯვა ლიტერატურულ კონკურსში „ჩემი აფხაზეთი“.

ჩემი აფხაზეთი

**აფხაზეთის ომის ამსახველი კადრებიდან
ჩემთვის ცრემლისმომგვრელი და შემაძრწუნებელი
იყო ის, თუ როგორ მისდევდა ხალხით სავსე გემს ძალლი.**

სამი თვის ვიყავი მაშინ, როცა სოხუმის ცხოველთა ბაზარში მიყიდეს. ამ დღიდან ჩემთვის ახალი ცხოვრება დაიწყო. ოჯახთან შეგუება, ცოტა არ იყოს, გამიჭირდა. ვცდილობდი, უურადღება რომ მოექციათ, ახალი მზრუნველებისათვის ნერვები მომეშალა. სახლის კოველ კუთხეს ვსვრიდი, ბევრს კუკვდი და სახლში კველავერს ვხრავდი. ოჯახის წევრები ვთოს ქაბულებოდნენ იმისათვის, რომ მან აიჩემა ძაღლის ყიდვა. ერთადერთი, ვინც ჩემს უშეალო პატრონს მხარს უჭერდა, მისი მეზობელი საიდი იყო, თორმეტი წლის აფხაზი ბიჭი. ის და გიო საუკეთესო მეგობრები იყვნენ. მე ხან ერთთან გაერბოდი, ხან – მეორეხთან, ვეთამაშებოდი. კველაზე მეტად ზღვის ნაპირზე კოფნა მიყვარდა. საიდი ზღვაში ცურავდა, გიო ნაპირზე იჯდა და ცდილობდა. ჯოხი რაც შეიძლება შორს გადაუვდო. მე წყალში შევვარდებოდი ჯოხის მოხატანად, მაგრამ ხაიდი ჯოხთან უფრო ადრე მიცურდებოდა და იწყებოდა ერთი ძიგილაობა. . . მერე საიდი და გიო ადგილებს ცვლიდნენ. ერთი ნაპირზე რჩებოდა, მეორე ზღვაში შედიოდა. უზომოდ მიყვარდა ჩემი პატრონიცა და ხაიდიც. თუმცა არა, პატრონი კი არა, მეგობარი, და მისი მეგობარი... არა, ჩემი მეგობარი...



დღეები გადოოდა. ჩვენ ერთმანეთს უფრო და უფრო დავუახლოვდით. მთელ დღეებს ერთად ვატარებდით. სკოლაში რომ მიღიოდნენ, გული მწყდებოდა, ხოლო როცა ბრუნდებოდნენ, სიხარულისაგან კუთდი და აღიღილ ზე ვეღარ ვჩერდებოდი. ბევრჯერ დამიკაწრავს გიორგი და საიდი. მიკბენია კიდევ, მაგრამ, გეფიცებით, ეს ზედმეტი სიკვარულით თუ მომხვდია.

ზაფხულის არდადებები დაიწყო. ახლა უფრო ხშირად გავდიოდით ზღვაზე. ხან ქვიშაში ვკოტრიალობდით, ხანაც ტალღებს ვეთამაშებოდით. მევ, გიოსაც და საიდსაც უზომოდ გვიყვარდა შოკოლადი, ამიტომ ტებილის გამო ხშირად „ვომობდით“. ზაფხულის არდადებები ყველაზე ბედნიერი დრო იყო ჩემთვის. . .

მერე გიო სახლიდან აღარ გადიოდა. არც თამაშის სურვილი ჰქონდა. საიდიც არხად ჩანდა. ეზომი გასულს ჩემთვის მანამდე უცნობი ხმები მესმოდა. რაღაც გრუბუნებდა, რაღაც ავთხომასწავლად ზუზუნებდა ჰაერში. ირგვლივ რეინის ჯოხებიანი კაცები დარბოდნენ. აღამიანების კივილს ჩემთვის ემულსი მოჰყვებოდა, ჩემთვის ემულზე მევ კყმუდი, თუმცა არ ვიცი, რატომ. ეზოდან გახვდას კერ გბედავდი, რომ გამეგო, რა აყმუვლებდათ. სახლში შესულს გიო მეჩხებებოდა, გარეთ ნუ გადიხარო. ჩემი პატრონები ფანჯარაში გახდვასაც კერ ბედავდნენ.

საიდიც აღარ მოდიოდა. მე რაფაზე ავმერებოდი და იქიდან კხედავდი ადამიანებს, რომლებიც სადღაც გარბოდნენ. ზოგიერთი მიწაზე უცმოდა და აღარ დგებოდა. რამდენიმე აღგილას ცეცხლის ალი ავარდა. ლამდამობით ჩვენს სახლში მეზობლები ჩუმად მოდიოდნენ და სულ იმაზე იყო ლაპარაკი, დაეტოვებინათ თუ არა სოხუმი და როგორ გაეღწიათ. ჩემმა ოჯახმაც ამაზე დაიწყო ფიქრი...

ალმოდებული სოხუმიდან მანქანები, გემები სადღაც მიდიოდნენ...

გათენდა ის დღე, როცა ჩვენც უნდა წავხულიყავთ. ჩვენც? მე ახე ვფიქროდი, მაგრამ ვიდას ახსოვდა ძაღლი ბობო. გიოს, რა თქმა უნდა, უნდოდა ჩემი წაყვანა, მაგრამ გემზე თავად მოხვდებოდა თუ არა, არავინ იცოდა. მშობლები ეუბნებოდნენ: „რა დროს ძაღლია, წამოდი ჩქარა! ძაღლი უფრო უხაფრთხოდ იქნება აქ, ვიდრე ჩვენ.“ გიოს და მის ოჯახს ნაპირამდე მიჟუჭი იმ იმედით, რომ მაინც არ დამტოვებდნენ. სანაპიროზე მისულმა კავანის უკან საიდის ცრემლიანი თვალები დავინახე გემი დაიძრა. ზღვაში შეკვერე. მე მას ვხდი იქამდე, სანამდეც შევძელო. შეძლებ სადღაც გემის ბოლოდან გიორგის უკირილი შემომება: „დაბრუნდი, ბობო, დაბრუნდი. საიდოან მიდი!“

ვიდექი ნაპირზე და ვუყერები იმ გემს, რომელსაც გიო მიჟუჭდა ჩემგან შორს, ძაღლიან შორს, თუმცა ძაღლიან ახლოს, საქართველოდან საქართველოში. .

**კლენე რამიშვილი
თბილისის 123-ე საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე**

გაკვეთილის მიზანი:

- მოსწავლეები გაიაზრებენ მოთხოვნების მოქმედების ადგილისა და დროის მიხედვით და გააანალიზებენ მასში ასახულ მოვლენებს;
- იმსჯელებენ მოთხოვნის გმირების განცდებზე, ემოციურ მდგომარეობაზე;
- იმსჯელებენ ომის გამანადგურებელ შედეგებზე;
- შექმნიან სხვადასხვა სახის ტექსტებს მოთხოვნაში ასახული პრობლემატიკის კონტექსტში.

აქტივობები, მათი განხორციელებისათვის საჭირო დრო და ორგანიზების ფორმა:

აქტივობა 1. სანამ მოთხოვთ ასეთი კიბე, მასწავლებელი მოსწავლეთა დახმარებით ქმნის ასოციაციურ რუკას, რომლის ცენტრშიც მოქცეულია სიტყვა „მეგობრობა“. შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას: თქვენი აზრით, რამ შეიძლება დაარღვიოს ჰემარიტი მეგობრობა? ყველა პასუხი (ვარაუდის დონეზე) იწერება ფორმატზე. დრო – 5 წთ. მუშაობა მთელ კლასთან.

აქტივობა 2. მოსწავლეებს ურიგდებათ „აქტიური კითხვის სქემა (ე.წ. კორნელის სქემა)“. მოსწავლეები კითხულობენ მოთხოვთას და ავსებენ ამ სქემის პირველ სვეტს, რომელშიც წერენ სად და როდის ხდება მოქმედება და აკეთებენ პირველად, ემოციურ კომენტარს. ისინი გამოხატავენ საკუთარ გრძნობებსა და შთაბეჭდილებებს. დრო – 15 წთ. ორგანიზების ფორმა – ინდივიდუალური.

აქტივობა 3. მოსწავლეები კიდევ ერთხელ გადახედავენ მოთხოვთას და ავსებენ სქემის მეორე სვეტს, რომელშიც წერენ ე. წ. მოკლე კრიტიკულ კომენტარს. კომენტარების პრეზენტაციისას ისინი აანალიზებენ იმ ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება დააკავშიროს ან დააშოროს მეგობრები. აქცენტი კეთდება ქართველ და აფხაზ ბიჭებს შორის არსებულ მეგობრობაზე, რომელშიც ომამდე არ იგრძნობოდა მათი ეთნიკური სხვადასხვაობა. მასწავლებლის ფასილიტაციით მოსწავლეები აანალიზებენ ბავშვების გრძნობებს დაცილებამდე და დაცილების შემდგომ. 15 წთ. ორგანიზების ფორმა – ჯგუფური.

აქტივობა 4. მასწავლებელი ტქმსტის შეჯამებისთვის სვამს შეკითხვებს: ვისი თვალით არის დანახული მოთხოვთაში მოვლენები? რამ აიძულა მეგობრები დაშორებოდნენ ერთმანეთს? რომელი დეტალები მიგვანიშნებს ბავშვების ემოციურ მდგომარეობაზე? რომელი დეტალებით მიხვდით, რომ საუბარია ომზე? ეს შეკითხვები მოსწავლეებს ესმარება გაიაზრონ მის გამანადგურებელი შედეგები და ადამიანთა ურთიერთსიცვარულის მნიშვნელობა. დრო – 10 წთ. მუშაობა მთელ კლასთან.

მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, რომელიც მათი შემოქმედებითობისა და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას უწყობს ხელს (მათ შეუძლიათ გააკეთონ არჩევანი):

- გააგრძელეთ მოთხოვობა;
- მისწერეთ წერილი აფხაზეთისა და საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას;
- დაწერეთ მცირე ესე: ომი და მშვიდობა.

რესურსები: მოთხოვობისა და სქემის ქსეროასლები, ფორმატები, ფლომასტერები, ფურცლები, საწერკალმები.

სიტუაცია 2.

სპოლა ჭყის პირას

„ერთ ქვეყანაში მთიანი ქედის განაპირას, ტყის პირას, ხალხი ცხოვრობდა. მათ ისტორია და რელიგია აერთიანებდათ. მეზობელ ქვეყანაში არეულობა იყო. იქ მცხოვრებ ხალხს აიძულეს, დაეტოვებინათ საკუთარი ქვეყანა. ისინი იძულებით დასახლდნენ იქ, სადაც ხალხი ტყის პირას ცხოვრობდა. გადმოსახლებული ხალხი თავიანთ ქვეყანაში დაბლობზე ცხოვრობდნენ, ამიტომაც მათ ტყის პირას მცხოვრებმა ხალხმა დაბლობიდან მოსულები დაარქვა. ტყის ხალხს დაბლობიდან მოსულებთან ცოტა რამ პქონდათ საერთო. მათ ერთმანეთის ენა ეხმოდათ, მაგრამ ერთმანეთის მიმართ ცუდად იყვნენ განწყობილი. ზოგჯერ ამ ხალხთა ინდივიდუალურ წარმომადგენლებს შორის უთანხმოება და, პერიოდულად, კონფლიქტებიც კი დგივდებოდა.

ერთ დღეს ერთმა ახალგაზრდა კაცმა ტყის პირას მშენებლობა დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ტყის ხალხის წარმომადგენელი იყო, მას დაბლობიდან მოსული ადამიანები მოსწონდა და უნდოდა მათ დახმარებოდა. გამოაცხადა, რომ ტყის პირას სკოლას აშენებდა, რომელშიც სწავლას ორივე ხალხის წარმომადგენლები შეძლებდნენ. კაცის აზრით, ამ გზით მოქიშპე ხალხებს შორის მშვიდობა ჩამოვარდებოდა და ორივე კეთილდღეობაში იცხოვრებდა. მალე შენობა

მზად იყო. სკოლაში სწავლა ორივე ხალხის შვილებმა დაიწყეს. მშობლები და მასწავლებლები მოვლენებს თვალს დაძაბულები ადევნებდნენ. თავდაპირველად მოსწავლეებს შორის პრობლემები არსებობდა. ისინი ხშირად კამათობდნენ და ჩხუბობდნენ კიდევ, მაგრამ, როგორც ცნობილია, ბავშვები ერთმანეთს ადვილად უმეგობრდებიან და თანდათანობით მდგომარეობა გამოსწორდა. მასწავლებელი მკაცრი იყო, მაგრამ სამართლიანი. იგი ორივე ხალხის წარმომადგენლებს ერთნაირად ექცეოდა. ბავშვებს სკოლაში ორივე ხალხის ცხოვრების წესის პატივისცემას ასწავლიდნენ. ტყის პირას მდებარე სკოლის მოსწავლეთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. ამავე დროს, არსებობდნენ ადამიანები რომლებსაც არ სურდათ, რომ მათ შვილებს მეორე ხალხის შვილებთან ერთად ესწავლათ. ისინი იმის მომხრეები იყვნენ, რომ ორივე ხალხისთვის ცალ-ცალკე სკოლები გახსნილიყო. ამ აზრის მომხრეები განსაკუთრებით სჭარბობდა მათ შორის, ვინც ტყის პირას ცხოვრობდა. ისინი ცდილობდნენ რომ თავიანთი ნაცნობ-მჯგობრები დაერწმუნებინათ იმაში, რომ საერთო სკოლაში შვილები არ გაეშვათ. ერთ დილას, როდესაც მოსწავლეები სკოლაში მივიღნენ, მათ სკოლა გადამწვარი დახვდათ. სკოლის ადგილას მხოლოდ ნანგრევები იყო დარჩენილი”.

წაიკითხეთ მოთხოვობა სკოლა ტყის პირას. მოსწავლეები დააჯგუფეთ წყვილებად ან მცირე ჯგუფებად და სთხოვეთ, იმსჯელონ ქვემოთ მოტანილ საკითხებზე. საკითხების ჩამონათვალს მოსწავლეებმა შეიძლება საკუთარი საკითხებიც დაამატონ:

- რამ შეიძლება შეუშალოს ხელი ორ ხალხს შორის კარგ ურთიერთობას?
- რამდენად ადგილი იქნება ტყები და დაბლობზე მცხოვრებ ადამიანებს შორის არსებული განსხვავებების დაძლევა?
- რა ამოძრავებს მასწავლებელს, რომელსაც დაპირისპირებული მხარეების შერიგება უნდა? რა უნარი უნდა გააჩნდეს მას, რომ ეს მოახერხოს?
- ვის უნდა სდომებოდა სკოლის დაწვა და რატომ?

მოსწავლეებს სთხოვეთ, მოიყვანონ არგუმენტები სკოლის აღდგენის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ. დაფაზე ჩამოწერეთ სკოლის აღდგენის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტები. რომელი მხარის არგუმენტებია უფრო ბევრი და ძლიერი?

თუ წარმოვიდგენთ, რომ აღდგენილი სკოლა საერთო იქნება, კიდევ რისი გაკეთება შეიძლება იმისთვის, რაც ამ სკოლაში მოსწავლეთა ინტეგრაციას დაეხმარება? რა უფრო შეუწყობს ხელს სკოლაში სხვადასხვა კულტურული ჯგუფების ინტეგრაციას? მოსწავლეს უნდა შეეძლოს საკუთარი აზრის დასაბუთება. ეს დავალება შეიძლება წერითი საშინაო დავალების სახითაც მისცეთ.

აქტივობა 1:

უნდა აღდგეს თუ არა სკოლა? ქვემოთ მოტანილი არგუმენტებიდან რომელია სკოლის აღდგენის სასარგებლო და რომელი - საწინააღმდეგო?

- მოსწავლეები ტოლერანტულები გაიზრდებიან და მშობლებსაც იმავეს ასწავლიან.
- საერთო სკოლა უფრო მეტად გააღვივებს დაპირისპირებას.
- სკოლა მოქმედება ადამიანებს, დაძლიონ ბარიერები და ცრურწმენები.
- სკოლის მეგობარი მოელი ცხოვრების მეგობარია, ასე რომ კარგია, როდესაც სხვადასხვა კულტურის ადამიანები ერთად სწავლობენ.
- აზრი არა აქვს. ახალ სკოლას მაინც დაწვავენ.
- საერთო სკოლამ ხალხებს შეიძლება საკუთარი კულტურა დაკარგვინოს.
- მომავალი ახალგაზრდებისაა და მათ უნდა ისწავლონ ერთად ცხოვრება.
- მოსწავლეები სხვა კულტურის პატივისცემას ისწავლიან.
- მასწავლებლებისთვის უფრო ადვილია ისეთ მოსწავლეებთან მუშაობა, რომელთაც საერთო კულტურა აქვთ.

- მასწავლებელი თავად სწავლობს, როგორ უნდა იყოს უფრო ტოლერანტული განსხვავებული კულტურის მქონე მოსწავლეების მიმართ.
- კიდევ რა? დაამატეთ თქვენი მოსაზრებები.

აქტივობა 2:

ქვემოთ მოტანილი მოსაზრებებიდან, თქვენი აზრით, რომელი უფრო გვასწავლის პატივისცემას სხვა კულტურის მიმართ? დაალაგეთ თანმიმდევრულად.

- სკოლაში სხვადასხვა ეროვნების მასწავლებლები უნდა ასწავლიდნენ.
- მოსწავლეებს უნდა უტარდებოდეთ გაპეტილები ადამიანის უფლებებზე და ტოლერანტობაზე.
- იმ სკოლების მოსწავლეებმა, სადაც სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეები სწავლობენ, საერთო პროექტებში უნდა მიიღონ მონაწილეობა.
- სკოლაში უნდა აღინიშნებოდეს სხვადასხვა ხალხის ეროვნული დღესასწაულები და უნდა იმართებოდეს ხალხური კონცერტები.
- მკაცრად უნდა დაისაჯოს ყველა ის მოსწავლე, ვინც სხვა კულტურის წარმომადგენელს პატივს არ სცემს ან ამცირებს.
- თუ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელს სწავლა უჭირს, მათ განსაკუთრებულად უნდა დაეხმაროთ.
- კიდევ რა? დაამატეთ თქვენი მოსაზრებები.

აქტივობა 3:

თქვენ როგორ ფიქრობთ, უნდა აღდგეს სკოლა თუ არა? რა არგუმენტები გაძვით თქვენი მოსაზრების დასასაბუთებლად? თქვენ თვითონ თუ ისწავლიდით ასეთ სკოლაში

(მასალა ”სკოლა ტყის პირას” ადაპტირებულია ბრიტანეთის საბჭოს პროექტიდან “ვიცხოვოთ ერთად” და მოგვაწოდა რუსულან ტყემალაძემ)

ენა და სწავლა-სწავლების სტილი

ინტერკულტურული განათლებისა და ენის მიმართება უმნიშვნელოვანებია საქართველოში და მთელს მსოფლიოში. იდენტობის ფორმირება ხდება ენის მეშვეობით, თუმცა იდენტობა არ არის უცვლელი და სტატიკური. ენით ხდება წარმოშობის, ისტორიის, კულტურის იდენტიფიცირება, თუმცა იდენტობის ტრანსფორმირება ხდება სოციალურ გამოცდილებასთან ერთად (ნორტონი, 2000). ამასთანავე, ენა არის ფაქტორი, რომლითაც შესაძლებელი ხდება სხვადასხვა იდენტობის მქონე ჯგუფების ერთმანეთისგან გარჩევა (პელერი, 1999ბ). ენა წარმოადგენს იდენტობის სიმბოლოს, თუმცა, თავისთავად, მხოლოდ ენა არ განსაზღვრავს ინდივიდს. ის წარმოადგენს ერთ-ერთ მახასიათებელს და წყაროს, რითაც ხდება იდენტობის ფორმირება (მეი, 2000). როგორც პირველ თავში უკვე აღვნიშნეთ, ინდივიდს მრავალმხრივი იდენტობა აქვს, რომლის ჩამოყალიბებაშიც მონაწილეობს სხვადასხვა წყარო (ენა, ეთნიკური წარმომავლობა, რელიგია, რასა, ასაკი, სქესი, ადგილმდებარეობა, ჯგუფის წევრობა, სოციალურ-ეკონომიკური პლასი და ა.შ.)

ენისა და სწავლა-სწავლების პროცესთან მიმართებით მნიშვნელოვანია განვასხვავოთ ორი მიდგომა: (1) ენის, როგორც საგნის სწავლა-სწავლება; (2) ენის საგანთა სწავლების ენად გამოყენება. ამჟრიკის შეერთებულ შტატებში ამ პროცესს ხშირად შინაარსზე დაფუძნებით მეორე ენაზე სწავლება ეწოდება, ევროპაში საგნობრივი შინაარსისა და ენის ინტეგრირებული სწავლის სახელწოდებითაა გავრცელებული.

დღესდღეობით საქართველოში გავრცელებულია სამი სხვადასხვა ტიპის მიდგომა ენისა და სწავლა-სწავლების პროცესისადმი. (1) საქართველოში ფუნქციონირებს 234 არაქართულენოვანი სკოლა, სადაც სწავლება მიმდინარეობს არაქართულ ენაზე, ხოლო ქართული ისტავლება, როგორც მეორე ენა, ცალკე აღებული საგნის სახით; (2) ენობრივი

უმცირესობების წარმომადგენლებს საკუთარი შვილები შეჰყავთ ქართულენოვან სკოლებში, სადაც სწავლება მიმდინარეობს მხოლოდ ქართულად. ხშირად ამ მოსწავლეებმა სკოლაში შესვლის მომენტისთვის საერთოდ არ იციან ქართული ენა; (3) 2009 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო ბილინგური განათლების პროგრამა. ამ პროგრამაში მონაწილეობს 40 საპილობე სკოლა, სადაც სწავლება ხორციელდება ორ (სახელმწიფო და უმცირესობათა მშობლიურ) ენაზე.

მშობლიური ენის განვითარება სკოლაში

ენობრივი უმცირესობის მოსწავლეთათვის სკოლა არის მნიშვნელოვანი სოციალიზაციის აგენტი, სადაც ამ მოსწავლეებს შეუძლიათ მშობლიური ენის სრულყოფილად ათვისება. მშობლიური ენის შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც უმცირესობის, აგრეთვე უმრავლესობის მოსწავლეთათვის, თუმცა უმცირესობის კონტექსტი დამატებით საფუძველს იძლევა, რომ სკოლამ უზრუნველყოს ამ მოსწავლეთათვის მშობლიური ენის სწავლება (დუბერი, 2004).

წარმოგიდგენთ UNESCO-ს (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია) ცნობილი ანგარიშებიდან (1953) ციტატას, სადაც ხაზგასმულია სკოლაში მშობლიური ენის სწავლების მნიშვნელობა:

აქსიომატურია, რომ ყველაზე კარგია სწავლების ენად მშობლიური ენის გამოყენება. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რადგან ბავშვი ავტომატურად იაზრებს და უნარი აქვს, გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები, როცა პროცესი მისთვის ნაცნობ ენაზე მიმდინარეობს. სოციოლოგიურად მნიშვნელოვანია, რადგან მოსწავლე საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენს საკუთარ თემთან. საგანმანათლებლო კუთხით, ის სწავლობს უფრო სწრაფად და კარგად მშობლიურ ენაზე, ვიდრე მისთვის უცხო ენაზე (გვ. 11).

ბილინგვური განათლების პროგრამები

განსაკუთრებული უძრადღება უნდა მიექცეს უმცირესობის ენას დუალური ბილინგვური განათლებისა და მშობლიური ენის შენარჩუნების პროგრამებს სკოლებში. უმცირესობათა ენის სკოლაში სწავლით მოსწავლე იღრმავებს, ერთი მხრივ, ოჯახში შეძენილ ენობრივ უნარებს და, მეორე მხრივ, უვითარდება პოზიტიური დამოკიდებულება მშობლიური ენის სტატუსის მიმართ, მოსწავლეებში თვითორწმუნა და თვითდაჯერებაც მატულობს. ამასთანავე, მოსწავლე ეუფლება სახელმწიფო ენას, დომინანტ კულტურას და შესაძლებლობა ეძლევა სრულყოფილი ინტეგრაცია მოახდინოს საზოგადოებაში.

უმცირესობათა ენის შეტანა სკოლებში შეიძლება მოხდეს როგორც ამ ენის, როგორც ცალკე აღებული საგნის, სწავლების გზით, აგრეთვე სხვადასხვა საგნის სწავლების ენად მშობლიური ენის გამოყენებით (უეშე და სკეანი, 2002; მეტი, 1998). მშობლიურ ენაზე სხვადასხვა საგნის სწავლა უფრო ეფექტურია გზად როგორც ენის ათვისების, აგრეთვე საგნის სასწავლო მასალის შესასწავლად (მეტი, 1998).

აღსანიშნავია, რომ მშობლიური ენის შესასწავლად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლის მეთოდოლოგიასა და სწავლების სტრატეგიებს. ხშირად სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ არ ითვალისწინებს უმცირესობათა მოსწავლეების კულტურული და ენობრივი განვითარების შესაძლებლობებს. უმცირესობათა მოსწავლეები კი საჭიროებენ მრავალფეროვან სასწავლო გარემოს, სადაც ბიკულტურიზმი თუ მულტიკულტურიზმი დაფასებულია და კლასში ხდება მრავალმხრივი ხედვის წარმოჩენა და დაფასება (ფრიიმანი, 1995, 1998). თანამშრომლობითი სწავლის მიდგომა, რომელიც უკვე განვიხილეთ სახელმძღვანელოს მეორე თავში, არის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური სტრატეგია მრავალფეროვან სასწავლო გარემოში გამოსაყენებლად, რაც ხელს უწყობს გუნდურ მუშაობას, ურთიერთდამოკიდებულებას, სოციალურ ინტერაქციას და ა.შ. (პოლტი, 1993, ოვანდო და მისი კოლეგები, 2003).

აღსანიშნავია, რომ მშობლიური ენის ცოდნა ხელს უწყობს მეორე ენის ათვისებას. სვეინმა და ლაპკინმა (1991) თავიანთ კვლევაში დაადგინეს, რომ მოსწავლეებს, რომლებიც ფლობდნენ მშობლიურ ენას, უფრო კარგად ჰქონდათ განვითარებული წერისა და ზეპირმეტაველების უნარები მეორე ენაში, მშობლიური ენის არმცოდნე მოსწავლეებთან შედარებით. მშობლიური ენის ცოდნა ხელს უწყობს უნარების ტრანსფერს მეორე ენის შესწავლისას.

ქართულენოვანი სკოლები და უმცირესობათა მოსწავლეები

ძალიან ბევრი ბაგშვი საქართველოში (განსაკუთრებით თბილისსა და ქვემო ქართლში) შედის ქართულენოვან სკოლაში და სწავლობს საგნებს მისთვის ახალ ენაზე. ძალიან მოკლე პერიოდში ამ მოსწავლეებს მოეთხოვებათ მეორე ენის ათვისება ან ამ ენაზე საგნების შესწავლა. გამოცდილება აჩვენებს, რომ აღნიშნულის მიღწევა ასე მცირე პერიოდში, ფაქტობრივად, შეუძლებელია, რაც იწვევს ამ მოსწავლეების აკადემიურ ჩამორჩენას. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აღარ აქვს, რომელ მიღვომას იყენებს მასწავლებელი („ტრანსმისიურს“ თუ „აღმოჩენითი სწავლისას“). შესაბამისად, მოსწავლეებს სჭირდებათ ენობრივი დახმარება, მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშრომლობას უდიდესი როლი ეკისრება. ამ პროცესს „სკეიფოლდინგი“ ეწოდება (გიბონსი, 2002). აღნიშნული მიღვომა მომდინარეობს რუსი ფსიქოლოგის ვიგოცკის (1962) თეორიიდან, რომელიც მიიჩნევდა, რომ სწავლა ხდება, როცა მოსწავლის არსებული ცოდნა გაღრმავდება ამ მოსწავლის შესაძლებლობის მაქსიმუმის ფარგლებში. ხოლო ამ პროცესში მასწავლებელს ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა. ვიგოცკიმ გამიჯნა მოსწავლის განვითარების უახლოესი ზონა, რომელიც გულისხმობს მოსწავლის მიერ დამოუკიდებლად ცოდნის დაუფლებას და განვითარების პოტენციური ზონა, რომელიც გულისხმობს მოსწავლის ცოდნის განვითარებას მასწავლებლის ან თანატოლის დახმარების პირობებში. საკითხის

გამარტივების მაგივრად, მასწავლებელი მიმართავს სკეიფოლდინგს, რაც არის დროებითი ინსტრუმენტი, რომ მოსწავლემ გაიაზროს საგნის შინაარსი. როცა მასწავლებლის დახმარებით მოსწავლე ეუფლება ცოდნას, სკეიფოლდინგი აღარ არის საჭირო და მოსწავლე უპევ დამოუკიდებლად უმქლავდება სასწავლო დავალებებს.

ვილარეალმა (1999), აუგუსტმა (2002), ბრინმა (2002) და სმიტმა (2003) ჩამოაყალიბებს ის მახასიათებლები, რომელიც საჭიროა სკოლებისთვის, სადაც სწავლობენ ბილინგვალი ბავშვები და სწავლა ხორციელდება მხოლოდ სახელმწიფო ენაზე:

- მასწავლებლები სწავლებაზე აფუძნებენ მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას;
- თანატოლთა სწავლება აქტიურად გამოიყენება კლასში, რათა ენობრივი დახმარება ხდებოდეს მეგობრების საშუალებითაც;
- ენობრივი უმცირესობების მოსწავლეები სრულად ინტეგრირებულნი არიან სასკოლო ცხოვრებაში;
- მოსწავლეთა ლინგვისტური და კულტურული მრავალფეროვნება დაფასებულია;
- ენობრივი უმცირესობის მოსწავლეების მიმართ მასწავლებლებს აქვთ მაღალი მოლოდინები;
- სასწავლო გეგმა დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლემ შეძლოს მისი ათვისება, მაგრამ ამავე დროს მისი დაძლევა წარმოადგენს „გამოწვევას“ მოსწავლეთათვის და უზრუნველყოფს მოსწავლის ინტერესის გაღვივებას სწავლის პროცესისადმი;
- ლინგვისტური კომპეტენციები და საგნის კონცეპტუალური საკითხები ერთმანეთში არ არის არეული, ანუ, მოსწავლის ენობრივი კომპეტენცია არ არის კრიტერიუმი მოსწავლის აზროვნების დონის შესაფასებლად;
- ენისა და საგნის ათვისებაც შესაძლებელია მოსწავლის მიერ;
- ოჯახის ენიდან დომინანტ ენაზე გადასვლის პროცესი სენსიტიური და წარმატებულია;

- წიგნიერებისა და ზეპირმქებულების უნარების განვითარება ინტეგრირებულია სწავლების პროცესში;
- აზროვნების მაღალი დონის უნარები უგითარდებათ მოსწავლეებს;
- შეფასება უნდა იყოს სამართლიანი და ვალიდური, შეფასება არ უნდა ხდებოდეს ბილინგვალი და მონოლინგვალი მოსწავლეების შედარების გზით.
- მასწავლებელი სწავლების პროცესში აქტიურად იყენებს მოსწავლეთა გამოცდილებებს, მათ შორის იმ გამოცდილებებს, რომლებიც უკავშირდება მოსწავლეთა ოჯახსა და სოციალურ წრეს;
- ენობრივი უმცირესობის მშობლები არიან პარტნიორები, რომლებიც პასუხისმგებლები და თანამონაწილენი არიან მოსწავლის მიერ მიღწეულ წარმატებებზე;
- მასწავლებელთა შერჩევა ხდება ძალიან ფაქტად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება მუდმივად ხორციელდება, განსაკუთრებით უმცირესობათა მოსწავლეების სწავლების მეთოდების მიმართ ულებით;
- სკოლა არის ბავშვთა უფლებების გარანტორი და უზრუნველყოფს მოსწავლის ოჯახთან თანამშრომლობით სოციალურ სერვისების ხელმისაწვდომობას

ქვემოთ წარმოგიდგენთ ენის სწავლებასთან და ლინგვისტურად მრავალფეროვან კლასის მართვასთან დაკავშირებულ რამდენიმე სიტუაციას.

სიტუაცია 1

მოსწავლე გვიამბობს: „ეროვნებით სომეხი ვარ. დედამ ქართულ სკოლაში შემიყვანა, სახელმწიფო ენის ცოდნა აუცილებელიაო. სახლში მხოლოდ სომხურად ლაპარაკობენ, ამხანაგები, მეზობლების უმრავლესობა სომეხი ეროვნების არიან. ქართულად საერთოდ არ ვლაპარაკობ, ამიტომ

სწავლა ძალიან გამიჭირდა. ზოგჯერ მასწავლებლის საუბარსაც ვერ ვიგებ. ქართველ ამხანაგებთანაც ვერ ვურთიერთობ. მრცხვენია, შეცდომებით რომ ვლაპარაკობ, მეშინია, არ დამცინონ, ამიტომ ვცდილობ, კლასში სომებს ამხანაგებთან ვიყო, ამაზე მასწავლებელი გაბრაზდა, ასე ქართულს ვერ ისწავლითო. გაგვაცალპევა. ჯერ თითოეული ჩვენგანი ქართველი ბავშვის გვერდით დაგვსვა. მერე ერთმანეთთან სომხურად ლაპარაკი აგვიკრძალა. ერთი სული მაქვს, გაკვეთილები როდის დამთავრდება და სახლში როდის წავალ. სკოლაში ყოფნა ტანჯვად მექცა...“

სიტუაციის ანალიზი

ნებისმიერ მოქალაქეს, განურჩევლად ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი და ა.შ. კუთვნილებისა, უნდა მიეცეს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში სრულფასოვანი ინტეგრირების თანაბარი შესაძლებლობა, სახელმწიფო ენის სრულყოფილი ცოდნა კი ამის გარანტის წარმოადგენს. სწორედ ამიტომ არაქართულენოვანი ბავშვების მშობლები დაინტერესებულები არიან, რომ მათი შვილები დაეუფლონ სახელმწიფო ენას და უპვე ხშირია შემთხვევები, როცა ამ ენის უკეთ შესწავლის მიზნით ისინი ქართულ სკოლებში შეჰყავთ. მაგრამ, როგორც ბავშვის ნაამბობიდან ჩანს, ამან მას სერიოზული პრობლემები შეუქმნა არა მარტო კოგნიტური (იგი არ ფლობს **სწავლების ენას**, რის გამოც ის ჩამორჩება სწავლაში), არამედ სოციალიზაციისა და კომუნიკაციის კუთხით. პრობლემას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს, კერძოდ:

- **გარემო**, რომელიც მას ოჯახსა და სკოლის გარეთ აქვს, არ უწყობს ხელს ქართული ენის შესწავლაში;
- როგორც ჩანს, მასწავლებელს არ შეუძლია **ინდივიდუალურად მიუღიერეს** მოსწავლეებს, რომელთაც ენობრივი პრობლემები აქვთ;
- მასწავლებელი არ ფლობს ენის სწავლების **ეფექტურ მეთოდებს**;

- როგორც ჩანს, სკოლაში არ არის **პირობები** სახელმწიფო ენის შესასწავლად ასეთი მოსწავლეებისათვის: არც დამატებითი ან ე.წ. წრეობრივი მუშაობაა და არც **ინდივიდუალური პროგრამა**.

თუ დავუკირდებით, ჩამოთვლილთაგან სამის მოგვარება შესაძლებელია სკოლის დონეზე. როგორც ჩანს, ამის სურვილი პედაგოგსაც აქვს. ის ცდილობს, გადაჭრას პრობლემა, მაგრამ ვერ პოულობს სწორ გზას, რადგან საამისოდ კომპეტენცია არ ჰყოფნის.

მასწავლებლის გადაწყვეტილებით, სომხურენოვანი მოსწავლე ქართულენოვანის გვერდით დაესვა, ბავშვს აღარ ექნებოდა თავის მშობლიურ ენაზე გადალაპარაკების საშუალება. ის იმედოვნებდა, რომ ამგვარი ხერხით ხელს შეუწყობდა კომუნიკაციას ქართულ ენაზე, საბოლოოდ კი მის უკეთ შესწავლას (ენის ათვისების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზაა ამ ენაზე მოლაპარაკე თანატოლებთან ინტენსიური ურთიერთობა) და ქართველ და სომებ ბავშვთა ურთიერთობა არასაგაკვთილო დროსაც ქართულ ენაზე გაგრძელდებოდა. მაგრამ ასე არ მოხდა, რადგან ქართული ენის არცოდნის გამო ერთმანეთში მხოლოდ მშობლიურ ენაზე საუბარი მათვის უფრო მოსახერხებელი იყო და ამიტომ ცდილობდნენ სულ ერთად ყოფნას. სომებ მოსწავლეებს ენის შესწავლისას ხელის შემშლელი ფაქტორებისაგან თავის დაღწევაში პროფესიონალი მასწავლებელი უნდა დაეხმაროს, რომელსაც შეუძლია ინდივიდუალური მიდგომა და ფლობს ენის ინტენსიური სწავლების მეთოდებს, „იცნობს მულტიკულტურულ და მულტილინგვურ მიდგომებსა და პრინციპებს და იყენებს მათ სწავლების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი (7.3.). ამ კონკრეტულ შემთხვევაში მასწავლებელი ასეთ პროფესიონალთა რიცხვს არ განეკუთვნება. მშობლიურ ენაზე ლაპარაკის აკრძალვის ნაცვლად მასწავლებელს ისეთი საკლასო და არასაკლასო აქტივობები უნდა დაეგეგმა (მაგალითად, სპეციალი ქართულად, როლური თამაშები, სიტუაციური ამოცანები და ა.შ.), რომლებიც წაახალისებდა ბავშვებს, გააუმჯობესებდა მათ ქართვლს. მასწავლებელმა კლასში უნდა შექმნას უსაფრთხო გარემო, სადაც სომებ მოსწავლეებს არ ექნებათ შეცდომის

დაშვების შიში. სომხურენოვანი მოსწავლეების ჩართვის საშუალებაა აგრეთვე თანამშრომლობითი (კოოპერაციული) სწავლა. მცირე ჯგუფებში მათი მონაწილეობა იმგვარად, რომ თითოეულს თავისი წვლილი შეეტანა იმით, რაც ეხერხება (თუნდაც ხატვით), ხელს შეუწყობდა კომუნიკაციას, საკუთარი საჭიროების შეგრძნებას, მათ თვითდამკვიდრებას. სასურველი იქნებოდა, ქართველ და სომებ მოსწავლეებს განეხორციელებინათ ერთობლივი მინიპროექტი: „სიტყვათა სალარო”, რომლის მიზანიც იქნებოდა სომხურსა და ქართულში საერთო სიტყვების შეგროვება. პროექტს მეტ ეფექტურობას შესძენდა მათი მშობლების ჩართვა, რომლებიც დაეხმარებოდნენ შვილებს მის განხორციელებაში. ასევე სასურველი იქნებოდა, მასწავლებელს ქართველი და სომები მშობლების დაახლოების მიზნით მოეწვია მშობელთა კრება და პრობლემა მათთან ერთად განეხილა. სავარაუდოდ, ორივე მხარე გამოთქვამდა პრობლემის გადაჭრის სურვილს, რადგან ამაში ისინი საკუთარი ინტერესების სრულ თანხვედრას დაინახავდნენ.

გთავაზობთ გაკვეთილის სცენარს, რომელიც, ვფიქრობთ, ქართული ენის შესწავლის კონკრეტულ მაგალითად გამოადგებათ მასწავლებლებს და ის შეიძლება ეფექტური იყოს როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის დაწყებით კლასში.

გაკვეთილის თემა: სულხან-საბა ორბელიანის „უპან მიდევნებული ლამპარი“ (ადაპტირებული ვარიანტი).

სამეტყველო ფუნქციები: აღწერა-დახასიათება, ლოგიკური კავშირები.

ენობრივი კონსტრუქციები: აღწერა-დახასიათება – ურიცხვი სიმდიდრის პატრონი, მოსამართლე და მოწყალე მეფე, ბრძენი და წინდახედული.

ლოგიკური კავშირები – პირობითობა (ვიდრე ცოცხალი ვარ. . , ნუ. . , როცა მოვავდები, მაშინ. .), ოპოზიცია (კარგად დაიწყო, მაგრამ. .).

გაკვეთილის მიზანი: გააზრებული კითხვისა და მეტყველების უნარის განვითარება.

გაკვეთილის მსვლელობაში / გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები შეძლებენ:

- მხატვრული ტექსტის ჩუმ და ხმამაღლა გამომსახულობით კითხვას;
- ტექსტის გაგებასა და მოქმედ პირთა ხასიათების გამოკვეთას;
- დიალოგის ინტერპრეტაციასა და გადაცემას მსმენელებისათვის;
- გაგებისა და ანალიზის სქემის შევსებას იგავის ძირითად პრობლემასა და დედააზრზე.

რესურსები: ტექსტის ქსეროასლები, გაგებისა და ანალიზის სქემის ქსეროასლები, მარკერები.

აქტივობები:

წაკითხვამდე

- 1) მასწავლებელი სვამს მაპროფოცირებელ კითხვებს:
- რა არის ლამპარი? (პასუხების შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს სურათს, რომელზედაც ლამპარია გამოხატული).
- ლამპარი წინ უნდა წაიმდლვაროს ადამიანმა თუ უპან? რატომ?

(მეთოდური კომუნიკაცია: სასურველია, მასწავლებელმა ეჭვაბერად გამოიყენოს თვალსაჩინოება, არავერბალური ხერხები: ექსტენსიური, მიმიკა, რათა არაჯართულებროვან მოსწავლეებს გაუადგილდეთ მიხი ხაუბრის გაგება).

უშუალოდ კითხვის დროს

- 2) მოსწავლეები კითხულობენ იგავ-არაკს, აღნიშნავენ სიტყვებს ან ფრაზებს, რომელთა გაგებაც გაუჭირდათ.

კითხვის შემდეგ

- 3) კითხვის დასრულების შემდეგ შერეულ მცირე ჯგუფებში მუშაობენ უცნობი სიტყვების ამოცნობაზე. მნიშვნელობის ერთობლივად (შეიძლება მასწავლებლის დახმარებით) დადგენის შემდეგ უცხო სიტყვებს წერენ დაქსიკონში.

- 4) იმის დასადგენად, თუ რამდენად კარგად გაიგეს ტექსტი, მასწავლებელი სვამს კითხვებს:
- წაიკითხეთ სიტყვები, რომლებითაც მწერალი ახასიათებს მეფეს.
 - რა დაუბარა მამამ შვილს?
 - ახალგაზრდა მეფის რა საქციელი უკვირდა ხალხს?
 - რატომ იქცეოდა ასე ახალგაზრდა მეფე?
- 5) მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს დავალებას, კიდევ ერთხელ გადაიკითხონ ტექსტი და დაინაწილონ იგი როლებად (მთხოვობელი, მეფე, შვილი, ის, ვინც მეფეს შვილის უცნაური საქციელის შესახებ უთხრა). მონაწილეები საკუთარ როლებს მონიშნავენ მარკერებით.
- 6) მოსწავლეები მსჯელობენ იმაზე, თუ როგორ იმპტყველებენ იგავის პერსონაჟები, როგორი ჰესტები და მიმიკები შეიძლება პქონდეთ.

(მეთოდური კომუნიკაცია: მოსწავლეებს იმდებჯერ წააკითხეთ სცენარი, რამდენჯერაც საჭირო იქნება იმისათვის, რომ დარწმუნდნენ საკუთარ შესაძლებლობებში; დარწმუნდნენ იმაში, რომ შეუძლიათ როლთან შეგუება, მორგება და თავისუფლად კითხვა);

- 7) „შეკითხველთა თეატრის“ მონაწილეები იკავებენ ადგილებს. მათ „სცენარის“ ნაწილები ხელში უჭირავთ ან მაგიდაზე დევს. ისინი ირჩევენ განლაგების მათოვის სასურველ ვარიანტს, ოდონდ ისე, რომ არ დაავიწყდეთ მაყურებელი და იწყებენ ტექსტის კითხვას.

(მეთოდური კომუნიკაცია: დაეხმარეთ მოსწავლეებს იმაში, რომ რაც შეიძლება უვერტურად განლაგდნენ. სასურველია, რომ მაყურებელიც კარგად ხედავდეს მონაწილეებს და მონაწილეებიც – ერთმანეთს)

შეფასება

- 8) მოსწავლეები წინასწარ შექმნილი კრიტერიუმების მიხედვით აფასებენ თანატოლებს. 10 ქულა სკალაზე უმაღლეს ნიშანს წარმოადგენს. ყველა

გრაფაში შემოხაზეთ ქულა და თქვენს გადაწყვეტილებას მოკლე შენიშვნები გაუკეთეთ.

| შედეგები | ქულა | შენიშვნები |
|--|------|------------|
| შველა სიტყვა მკაფიოდ იყო წარმოთქმული? | | |
| განწყობილება და გრძნობები სწორად იყო გადმოცემული? | | |
| სმის ტონი ეფექტურად იყო გამოყენებული? | | |
| შერჩეული მონაკვეთი შესაბამისი ტემპით იყო წაკითხული? | | |
| ამყარებდა ოვალით კონტაქტს აუდიტორიასთან? | | |
| ჟესტები შესაბამისად იყო გამოყენებული? | | |
| პუნქტუაცია სწორად იყო გაგებული/ინტერპრიტებული? | | |
| შეძლო აუდიტორიის ყურადღების მიპყრობა და შენარჩუნება? | | |

9) ამის შემდეგ, იმის გასარკვევად, თუ რამდენად კარგად გაიაზრეს იგავის დედააზრი მოსწავლეებმა, მათ ურიგდებათ შესავსებად ანალიზისა და გაგების სქემა

ამ იგავში პრობლემა იწყება, როცა _____

ამის შემდეგ _____.

მერე _____, შემდეგ _____

პრობლემა საბოლოოდ გადაწყდა, როცა _____.

იგავი თავდება _____.

ამ იგავის მთავარი აზრი არის ის, რომ _____

(მეთოდური კომუნიკაცია: სქემა ივსება მცირე ჯგუფებში. მასწავლებელი ადგენებს თვალს იმას, რომ ჯგუფებში შედგეს თანამდებობები და ხაჭიროების შემთხვევაში ეხმარება მათ).

სიტუაცია 2

ბატონი დავითი ერთ-ერთი სკოლის ქართული ენის მასწავლებელია. უკვე სექტემბრის შუა რიცხვებია და იგი ემზადება ახალი სასწავლო წლის დასაწყებად. მან, უპირველეს ყოვლისა, იზრუნა კლასის მოსაწყობად. კლასის მოწყობისას მისი მთავარი მიზანი იყო საკლასო ოთახი მოქმედ მოსწავლეთა აქტიური მუშაობისთვის და არა პასიური სმენისთვის. მან სკოლის დირექტორის სთხოვა ისეთი წიგნების თაროების შეძენა, რომელთა გადადგილება ძალიან ადვილად იქნებოდა შესაძლებელი, ინდივიდუალურ სკამებს არჩია რამდენიმე მრგვალი მაგიდა მოძრავი ინდივიდუალური პატარა სკამებით და შეიძინა არაერთი თვალსაჩინოება და სასწავლო ნივთი, თუმცა შერჩევის მთავარი პრინციპი ამ ნივთების ადვილად გადადგილებადობა იყო. რადგან ბატონ დავითის სკოლა კულტურული მრავალფეროვნებით გამოირჩევა და კლასში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები იქნებიან, ბატონმა დავითმა იყიდა ქართული, აფხაზური, რუსული, ინგლისური, სომხური, აზერბაიჯანული და ოსური ანბანი და გამოაკრა კედელზე. გარდა ამისა, ბატონმა დავითმა გამოაკრა წინა წლის კლასის მოსწავლეთა სურათები, რომელიც გამოხატავდა მოსწავლეთა ჩართულობას სხვადასხვა აქტივობებში, გარდა ამისა, გამოაკრა ენათა ხე რომელიც აჩვენებდა მსოფლიოს ძირითადი ენების ფესვებს.

ბატონი დავითი წელს ახალ კლასში შედის. მან სპეციალურად აარჩია მრავალფეროვანი კლასი, სადაც 24 მოსწავლე იქნება. მოსწავლეები განსხვავდებიან როგორც ეთნიკური წარმომავლობით, აგრეთვე განსხვავებული მშობლიური ენა აქვთ, მათი სოციალური მდგომარეობაც განსხვავებულია და, ამასთანავე, მათი აკადემიური მოსწრებაც წინა წლებში ძალიან განსხვავებული იყო. სასწავლო წლის

დაწყებამდე ბატონმა დავითმა კარგად შეისწავლა თითოეული მოსწავლის სასკოლო ისტორია. ამასთანავე, მან აღმოაჩინა, რომ მის კლასში იქნებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეც. ბატონ დავითს კარგად ესმოდა, რომ მოსწავლეთა განსხვავებულობა ნიშნავდა მათ განსხვავებულ სწავლის სტილსა და განსხვავებულ ინტერესებს. შესაბამისად, მას უნდა დაეკმაყოფილებინა ყველა მოსწავლის სტილი და ინტერესი, რაც აშკარად გამოწვევა იყო მისი პროფესიული საქმიანობისთვის და ამიტომაც არჩია ამ კლასში შესვლა.

სასწავლო ტლის პირველი კვირა

რადგან სასწავლო წელი ახალი დაწყებული იყო, ბატონმა დავითმა პირველი ორი კვირა დაუთმო საინტერესო და მეობრული სასწავლო გარემოს შექმნას. პირველი გაბეთილის დასრულების შემდეგ მან სოხოვა მოსწავლეებს, მეორე დღისთვის მოუმზადებინათ მშობლებთან ერთად საკუთარი სახელებისა და გვარების შესახებ ისტორიები. მან აგრეთვე სოხოვა მოსწავლეებს, გაერკვიათ, თუ ჰქონდათ მათს სახელებს რამე მნიშვნელობა რომელიმე ენაზე. „ხვალინდეს დღეს ჩვენ დაგიწყებთ ერთმანეთის ინტერესიულებით, რათა გამოვცეთ ჩვენი კლასის შესახებ გაზეთი”- განუცხადა მან მოსწავლეებს.

მეორე დღეს ბატონმა დავითმა დაიწყო გაკვეთილი მოსწავლეთა დაწყვილებით. მან დაწყვილების პრინციპად მოსწავლეთა დაბადების დღეები აიღო, მოსწავლე წყვილდებოდა იმ მოსწავლესთან, რომლის დაბადების დღეც ყველაზე ახლოს იყო მის დაბადების დღესთან. მოსწავლეთა დაწყვილების შემდეგ ბატონმა დავითმა მათ გააცნო კითხების ჩამონათვალი, რომელიც უნდა გამოყენებინათ ერთმანეთთან ინტერესიუს დროს:

1. რა გქია? რა მოგწონს ან არ მოგწონს შენს სახელთან დაკავშირებით?
2. როგორ დაგარქებს ეს სახელი? ვინმე საპატივცემულოდ დაგარქებს? ვინ დაგარქება?
3. შენი ოჯახის წევრებს აქვთ იგივე სახელი?

4. გავაგხ მეგობარი, რომელსაც აქვხ იგივე სახელი?
 5. არის კინგი ცნობილი ადამიანი, კისაც იგივე სახელი ჰქვია?
 6. მოგწონს იხ ადამიანები, კისაც შენი სახელები ჰქვიათ?
- მაგალითად...
7. შენს სახელს აქვხ რაიმე სხვა მნიშვნელობა?
 8. შენი სახელი წარმოშობილია სხვა ენებიდან? სხვა ენაში თუ არის შენი სახელი და როგორ წარმოითქმება იხ? აქვხ შენს სახელს რაიმე მნიშვნელობა სხვა ენებში?
 9. ოჯახში რას გეძახიან? გაქვხ რაიმე მოფერებითი სახელი?
 10. რა გირჩევნია დაგიძახოთ, შენი სახელი თუ მოფერებითი (კნიბობითი) სახელი, რომელსაც ოჯახში გეძახიან?

მოსწავლეებმა თხელმეტი წელი დაუთმეს ერთმანეთთან ინტერვიუებს, რის შემდეგაც ბატონმა დავითმა სთხოვა მოეთხოვოთ მოსწავლეებს მთელი კლასისთვის ის რაც მათ შეიტყვეს თავისი მეწყვილის შესახებ. მოსწავლეთა მონათხოვის მასწავლებელი აქტიურად ინიშნავდა, რათა არ გამორჩენოდა რაიმე მნიშვნელოვანი დეტალი. ბოლოს ბატონმა დავითმა აიღო ფოტო აპარატი, გადაუდო თითოეულ მოსწავლეს სურათი დაფასთან დაწერილი მისი სახელის ფონზე, რათა კლასის გაზეთში განეთავსებინა ეს ინფორმაცია.

შემდეგ გაკვეთილზე ბატონმა დავითმა სთხოვა გაერკვიათ, თუ რამდენ ენაზე შეეძლოთ კლასში მყოფ მოსწავლეებს საუბარი. აღმოჩნდა, რომ ყველა ბავშვს შეეძლო ქართულად და ინგლისურად საუბარი, თუმცა ცალ-ცალკე შეეძლოთ კიდევ ესაუბრათ აფხაზურად, ოსურად, რუსულად, სომხურად, აზერბაიჯანულად, ფრანგულად და უკრაინულად. რადგანაც ენათა ასეთი მრავალფეროვნება იყო წარმოდგენილი საკლასო თთახში, ბატონმა დავითმა შესთავაზა მოსწავლეებს, ჩამოეთვალათ ის სიტყვები, რომლებიც საერთო იყო ქართულისთვის და რომელიმე სხვა ენისთვის, რომელზეც კლასში რომელიმე მოსწავლე საუბრობდა. ამ სავარჯოშომაც ძალიან გაახალისა მოსწავლეები, აღმოჩინეს ძალიან ბევრი საერთო სიტყვა და ერთ-ერთ მოსწავლეს გაუჩნდა იდეა, „ნასესხები სიტყვების ლექსიკონი“ შექმნათ, რომელზეც მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა მთელი კლასი.



მომდეგნო გაკვეთილი მთლიანად კლასის გაზეთის შექმნას დაეთმო. მოსწავლეები აკეთებდნენ კლასის გაზეთის დიზაინს და აკრავდნენ გადაღებულ სურათებს და წერდნენ მოსწავლეზე ინფორმაციებს მასში. მთელი ეს გაკვეთილი ამ აქტივობას დაეთმო. გარდა ამისა, მასწავლებელმა სთხოვა მოსწავლეებს რაიმე ისეთი იგავ-არაკი გაესხენებინათ, რომელიც განთავსდებოდა გაზეთის შუაგულში და ყველაზე მეტად ასახავდა საგანს და კლასში არსებულ სიტუაციას. მოსწავლებმა შემდეგი იგავ-არაკი გაიხსენეს და ჩაწერეს გაზეთის შუაგულში:

0ბაზ-პრაბი

ერთ სახლში ცხოვრობდა ქატა, რომელიც მუდამ მზად იყო თაგვი დაეჭირა, მაგრამ ვერასოდეს ახერხებდა ამის გაკეთებას. ერთ დღესაც გამოეყიდა ქატა თაგვს დასაჭერად, ის-ის იყო უნდა დაეჭირა, რომ თაგვმა პატარა ხვრელში შეძრომა მოასწრო და ქატას ადარაფერი დარჩენოდა,

გარდა იმისა, რომ დამჯდარიყო იმ პატარა ნახვრეტთან და დალოდებოდა, თუ როდის გამოძვრებოდა თაგვი. უცაბედად, თაგვს მოესმა ძაღლის ხმა და იფიქრა, რომ თუ ძაღლი იყო სახლში, კატა გაიქცეოდა და აღარ დაიწყებდა სვრელთან ლოდინს. შესაბამისად, თაგვი გამოძრა ხვრელიდან და მოულოდნელად თავი ამოყო კატის კლანჭებში. „კი მაგრამ, ძაღლი სად არის? - იკითხა აკანკალებულმა თაგვმა. „არავითარი ძაღლი არ არის, ეს მე ვიყავი, ძაღლის ყეფის იმიტაცია გავაკეთე, რომ შენ დაიმედებული ხვრელიდან გამომძვრალიყავი”- გადაიხარხარა გამარჯვებულმა კატამ და ცოტა ხნის შემდეგ დაამატა „ჩემო კარგო, თუ სულ მცირე ორ ენას არ ლაპარაკობ, ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწევ დღევანდელ დღეს. (თიდგი, 1995, გვ. 168).

შაბათ-კვირას ბატონმა დავითმა ჩახედა მოსწავლეთა ისტორიებს თავიდან, ნახა იმ გაკვეთილის ჩანაწერები, სადაც მოსწავლეებს პქონდათ საკუთარი სახელების შესახებ ინტერვიუები, აგრეთვე ნახა იმ გაკვეთილის ჩანაწერები, სადაც მოსწავლეები საკუთარი ენის ცოდნის შესახებ საუბრობდნენ. ამ სამ წყაროზე დაყრდნობით ბატონმა დავითმა შეადგინა კლასის ლინგვისტური რეპერტუარის სქემა.

სასტაცლო ჭლის მეორე პგირა

მეორე კვირა ბატონმა დავითმა მოსწავლეთა ოჯახების და გვარების ისტორიის გაცნობას დაუთმო. მან დაავალა მოსწავლეებს თავიანთ მშობლებთან გაერკვიათ თავიანთი ოჯახისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი, საამაყო ან დირსშესანიშნავი ამბავი. მეორე დღეს მოსწავლეებმა არაერთი საინტერესო ამბავი უამბეს ერთმანეთს საკუთარი ოჯახებისა თუ გვარების შესახებ. შემდეგი დღისთვის ბატონმა დავითმა მოსწავლეთა მშობლებს სთხოვა, რომ წლის განმავლობაში თუ სურვილი ექნებოდათ, მობრძანებულიყვნენ და თავიანთი ოჯახების ან თავიანთი საქმიანობის შესახებ მოეთხოვთ ბავშვებისთვის და ყოფილიყვნენ მოწვეული სტუმარი. პირველად სურვილი ერთ-ერთი მოსწავლის ბაბუამ გამოთქა, რომელიც მომდევნო დღეს ესტუმრა ბატონ დავითს ქართული ენის გაპვეთილზე და

მან უამბო მოსწავლეებს ისტორია საკუთარი თჯახის შესახებ, რომელიც იძულებული იყო, 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ გადასახლებულიყო საფრანგეთში და იქ გაეგრძელებინა ცხოვრება. მოწვეულმა სტუმარმა გააცნო ბავშვებს მათი თჯახის ფრანგული ცხოვრების დეტალები, მოუყვა, როგორ გახდა საქართველოდან დევნილი მისი ბაბუა სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი, თუ რას მოღვაწეობდნენ მამამისი და თვითონ საფრანგეთში და რა სიძნელეებთან იყო დაკავშირებული მათი ფრანგულ საზოგადოებაში ინტენსიურება. დეტალურად ისაუბრა, რატომ გადაწყვიტეს 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში მთელი თჯახით დაბრუნება. მოწვეული სტუმრის მონათხოვობმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ბავშვებზე.

სიტუაციის ანალიზი

ამ სიტუაციიდან ჩანს რამდენიმე სტრატეგია, რაც ბატონმა დავითმა გამოიყენა, რომ შეექმნა ჯანსაღი სასწავლო გარემო, გაცნობოდა მოსწავლეებს და მოსწავლეები გაცნობოდნენ ერთმანეთს და შესაბამისად აეგო თითოეულ მოსწავლესთან შემდგომი მუშაობა. კერძოდ:

- 1) მასწავლებელმა მოაწყო საკლასო ოთახი ისე, რომ შესაძლებლობა ყოფილიყო საკლასო ოთახში მრავალი მოძრავი და დინამიური აქტივობის განხორციელება;
- 2) მასწავლებელმა ორი კვირის განმავლობაში მისცა მოსწავლეებს და საკუთარ თავს საშუალება, გაეცნოთ ერთმანეთი სახელების ინტერვიუების ჩატარებით, კლასის გაზეთის შექმნის და თჯახებისა და გვარების შესახებ ამბების გადმოცემის გზით. თითოეული ეს აქტივობა ზრდის მოსწავლეთა შორის ერთმანეთის მსგავსების და სხვაობების გააზრების უნარს;
- 3) მასწავლებელმა შეიტყო საკუთარი მოსწავლეების შესახებ ჯერ სასკოლო ისტორიის გაცნობის და შემდგომ კლასის ლინგვისტური ფონის სქემის შედგენის საფუძველზე;
- 4) მასწავლებელმა ჩართო სასწავლო პროცესში მშობლები და

- ოჯახის წევრები, ერთი მხრივ, როგორც მოსწავლეთა დამხმარებელი საკუთარი სახელის, გვარის და ისტორიის და-სამუშავებლად და, მეორე მხრივ, როგორც მოწვეული სტუმ-რები;
- 5) მასწავლებელმა დაამკვიდრა დემოკრატიული და თანამშრომ-ლობითი გამოცდილება, რადგან ხელი შეუწყო მოსწავლეთა იდეას, მთელი წლის განმავლობაში ყველა მოსწავლის მონაწილეობით შექმნილიყო „ნასესხები სიტყვების ლექსიკონი”;
 - 6) მასწავლებელმა შექმნა ენათა ხე, დაიწყეს მუშაობა ნასესხები სიტყვების ლექსიკონზე, რითაც დაამკვიდრა ტენდენცია, რომ კლასში არსებული ლინგვისტური მრავალფეროვნება არის რესურსი და არა შემაფერხებელი ფაქტორი ქართული ენის სწავლების პროცესში;
 - 7) მასწავლებელმა ყველა ზემოჩამოთვლილი აქტივობა ამავე დროს გამოიყენა ქართულ ენაში მოსწავლეთა კომპეტენციის გასაზრდელად.

როგორც ხედავთ, მასწავლებელს მოუწია არაერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიის გამოყენება სასწავლო წლის დასაწყისში, თუმცა მას მოუწევს იყოს უფრო შემოქმედებითი და გამოიყენოს უამრავი სტრატეგია, რათა საკუთარი კლასის ლინგვისტური და ეთნიკური მრავალფეროვნება აქციოს რესურსად სწავლების პროცესში. ამ რთული მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია ინტერკულტურული მიდგომა სწავლების პროცესში

სიტუაცია 3

აქვე შემოგთავაზებთ დაწყებითი მასწავლებლის ქალბატონი ელენეს მონათხოვებს, რომელიც ეხება ინტერკულტურული განათლების მისეულ ინტერპრეტაციას და შესაბამის სასწავლო სტრატეგიას. „ არ ვი- ეხ იხ არის თუ არა, რახაც თქვენ ეძახით ინტერკულტურულ გა- ნათლებას, მაგრამ მე 32 წლის მუშაობის გამოცდილება მაქს და ნამდვილად ვიყენებ სწორ მეთოდებსა და მიდგომებს. ერთ კონკრეტულ ბოლო სიტუაციას გავიხენებ. პირველ კლასში ძალიან მნიშვნელოვანია

მოხაზულეთათვის ასოების და რიცხვების წერის ხაზულება. მე მყავდა მოხაზულე არმენი, რომელიც კონკურად სომები იყო და გამართულად ლაპარაკობდა სომხურად, მაგრამ ქართულად ერთ წინადაღებასაც ვერ აბამდა, რაც ძალიან მაშტოთებდა. ერთ დღესაც შევამნიუ, რომ არმენი ქართული ანბანის ყველა ასოს სწორად და გამართულად წარმოთქვამდა არა მარტო თანმიმდევრობით, არამედ არეულად შეკითხვების დახმის

დროსაც. ანალოგიურად, 1-დან 10-მდე ყველა ციფრს სწორად და გამართულად წარმოთქვამდა. მე ვიცოდი, რომ არმენმა იცოდა ასოები და რიცხვები, იმიტომ, რომ როცა ვვარჯიშობდით კლასში, ის ყოველთვის სწორად წარმოთქვამდა მათ, ოდონდ სომხურ ენაზე, მაგრამ სომხური მას არ სჭირდება, მას ქართულად უნდა შეძლებოდა ამის გაკეთება.

ამჟამად მან უკვე იცის ასოები და ციფრები ქართულად, მაგრამ როცა თავისი სახელის დაწერას ვთხოვ,



ყოველთვის უჭირს ასოების დაწერა, ხან არახშორი მიმართულებით წერს, ხან იმდენად მახინჯად წერს, რომ 3 წლის ბავშვის ნაწერი გეგონებათ. მას საკმაოდ მოუხეშავად უჭირავს ფანქარი და კალამი, რამდენადაც გამიგია, მისი ოჯახი დაბალ სოციალურ ფენას მიეკუთვნება და ალბათ არ აქვთ შესაძლებლობა, რომ საგარჯიშო პატარა დაფა შეუძინოს და სახლში ავარჯიშოს ფანქრითა და პასტით წერაში. შესაბამისად, მისი ოჯახური მდგომარეობის გამო ეს სახაზულო ნივთები ხელმიუწვდომელია მისთვის, რაც გახდა მისი დაგვიანებული განვითარების მიზეზი. პიავეს თეორიიდან მე ვიცი, რამდენად მნიშვნელოვანია სამანიპულაციო საშუალებების გამოყენება მოხაზულის განვითარებისთვის. შესაბამისად, გავაანალიზე, რომ საჭირო იყო მისი თვალისა და ხელის კოორდინაციის გაუმჯობესება, ამიტომ დავავალე ჩვენ სკოლაში პრაქტიკაზე მყოფ ხტუდებებს, დამოუკიდებლად ეზუშავა არმენთან და ის კლასისგან დამოუკიდებლად სწავლობდა წერას. დღეს არმენს აქვს ძალიან კარგი ნაწერი

ქართულად, რაც უკველად ჩემი ხწორი მიღებომის შედეგად მოხდა.

არმენის განვითარების შესახებ ქალბატონი ელენეს დაკვირვება და ინტერპრეტაცია ეფუძნება ბავშვის განვითარების შესახებ შეზღუდულ ცოდნას და მის მონოლინგვურ კულტურას. პიაჭეს თეორიის შეზღუდულმა ცოდნამ და არასწორმა ინტერპრეტაციამ გადააწყვეტინა ქალბატონ ელენეს, რომ არმენს დაგვიანებული განვითარების ნიშნები ახასიათებდა. მისი აზრით, იმის გამო, რომ არმენი დაბალი სოციალური ფენის ოჯახი-დანაა (სინამდვილეში ქალბატონმა ელენემ არ იცის რეალურად არმენის ოჯახის მდგომარეობა, მას მხოლოდ გაუგია ამის შესახებ) ის მიიჩნევს, რომ სასწავლო მასალების არარსებობის გამო არმენს თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი არ გააჩნია. უფრო მეტიც, მან საქუთარი მონოლინგვური დომინანტი კულტურიდან გამომდინარე, არმენის ბილინგვური უნარები (ის ლაპარაკობდა სომხურად და ეუფლებოდა ქართულს) შეაფასა, როგორც ნაკლი და არა როგორც რესურსი არმენის განვითარებისთვის. შესაბამისად, ქალბატონმა ელენემ მოახდინა მოსწავლის იზოლაცია, რაც, რა თქმა უნდა, არმენის ფსიქოლოგიურ და ინტელექტუალურ განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედებდა, იმისდა მიუხედავად, რომ არმენმა ისწავლა ქართული ასოების ლამაზად წერა.

რელიგიური კლუბალიზმი სიკულარულ პლასტი

საქართველოს მოსახლეობა არაერთ რელიგიას მისდევს. მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია, თუმცა ფართოდ არის წარმოდგენილი სხვადასხვა რელიგიური კონფესიაც. ეთნიკური ქართველების უმრავლესობა მართლმადიდებელია. მართლმადიდებლები არიან ოსების, რუსების, ბერძნების, აფხაზების, ასურელებისა და უდიების უმეტესი ნაწილი, ასევე, გარკვეული რაოდენობა სომხებისა, რომელთა დიდი უმრავლესობა სომებთა სამოციქულო ეკლესიას მიაკუთვნებს თაგს. როგორც ქართველების, ისე აღნიშნულ ეთნიკურ ჯგუფთა უმცირესობა კათოლიკე ან პროტესტანტია. კათოლიკური ეკლესიის მრევლი ეთნიკური სიჭრელით გამოირჩევა (ქართველები, სომხები, ასურელები, პოლონელები, გერმანელები, რუსები და სხვ.). საქართველოს მოსახლეობის როგორც ეთნიკურად ქართველი (აჭარლების ნაწილი), ისე სხვა ეთნიკური ჯგუფების (აზერბაიჯანელები, ქიხტები, ლეკები, აფხაზები) საგრძნობი რაოდენობა ისლამს აღიარებს. ქურთების ნაწილი იუზიდია, ნაწილი ქრისტიანი და ნაწილიც მუსლიმანია. საქართველოს ებრაელები იუდაიზმს მისდევენ, გერმანელები ლუთერანული ეკლესიის წევრები არიან, თუმც კათოლიკებიც გვხვდებიან.

საქართველოს მასშტაბით (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამოკლებით) მოქმედი რელიგიური გაერთიანებების სტატისტიკური გამოკვლევა პირველად თავისუფლების ინსტიტუტის დავალებით ჩატარდა: 2002 წლის გაზაფხულზე რელიგიურ გაერთიანებათა ხელმძღვანელი პირებისაგან მოპოვებულ იქნა ინფორმაცია წევრთა რაოდენობის შესახებ. შესაბამისი მაჩვენებლების შეფარდებამ 2002 წელს ჩატარებული აღწერის შედეგად დადგენილ რაოდენობასთან (4 452 100) ასეთი სურათი აჩვენა:

| № დასახელება მოსახლეობის % | რიცხვი |
|------------------------------------|---------------|
| 1 . სომხური სამოციქულო ეკლესია | 200 000 |
| 2. ქათოლიკე | 50 000 |
| 3. ლუთერანი | 700 |
| 4. ბაპტისტი | 6000 |
| 5. ორმოცდაათიანელი | 5000 |
| 6. დუხობორი | 1500 |
| 7. მალაკანი | 2000 |
| 8. მე-7 დღის ადგენტისტი | 400 |
| 9. იქროვას მოწმე | 15 000 |
| 10. ხსნის არმია | 800 |
| 11. ახალსამოციქულო ეკლესია | 700 |
| 12. სხვადასხვა დასახელების ჯგუფები | მაქს. 300 |
| 13. იუდეველი | 10 000 |
| 14. მუსლიმანი | 500 000 |
| 15. იეზიდი | 30 000 |
| 16. ქრიშნაიტი | 200 |
| 17. ბაჰაიტი | 500 |
| სულ | 823100 |

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი

2002 წლის გაზაფხულზე არამართლმადიდებლების საერთო რიცხვი 823 100 კაცს ანუ მოსახლეობის 18,5%-ს შეადგენდა.

2002 წელს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა მოსახლეობა რელიგიურობის ნიშნით აღწერა. მისი შედეგები 2004 წელს გახდა ცნობილი. გაირკვა: საქართველოს იმ ტერიტორიის მოსახლეობა, რომელსაც მაშინ ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებდა, 4375535 სულს ითვლიდა; მართლმადიდებლად თავს 3666233 ანუ 83, 9% მიიჩნევდა, კათოლიკედ – 34727 ანუ 0,8%, სომქეთა სამოციქულო ეკლესიის წევრად – 171 139 ანუ 3,9%, იუდეველად – 3541 ანუ 0,1%, მაჰმადიანად – 433784 ანუ 9,9%, სხვა რელიგიური რწმენის აღმსარებლად – 28631 ანუ 0,6%, ხოლო 33480 ანუ 0,8% არც ერთი რელიგიის მიმდევარი არ იყო. ამრიგად, არამართლმადიდებლების საერთო რაოდენობა ათეიისტების, ნიჰილისტებისა და აგნოსტიკოსების ჩათვლით, უკანასკნელი ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 705302-ს შეადგენს, რაც მოსახლეობის საერთო რაოდენობის 16,1 პროცენტია.

როგორც პირველ თავში უკვე განვიხილეთ, საქართველოს კანონმდებლობა და განათლების პოლიტიკის დოკუმენტები ხელს უწყობს რელიგიურ მრავალფეროვნებას და კრძალავს რელიგიურ პროზელიტიზმსა და ინდოქტრინაციას საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

განსხვავებულობა ხშირი დისკუსიის საგანია. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება რელიგიას და მის მიმართებას კულტურასთან. იმ განსაკუთრებით მგრძნობიარე დამოკიდებულებიდან გამომდინარე, რომელიც ადამიანებს რელიგიის მიმართ აქვთ, აუცილებელია, რომ ინტერკულტურული განათლება მყარად დაეფუძნოს ეთიკის პრინციპებს.

რელიგიასა და განათლებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს ორი განსხვავებული საკითხი: (1) რელიგიის სწავლება; (2) სხვადასხვა რელიგიური წარმომავლობის მოსწავლეების სასწავლო პროცესში ინტეგრირება გაკვეთილზე მრავალმხრივი ხედებისა და ტრანსფორმაციული კურიკულუმის განხორციელების გზით.

რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებები დომინირებდა. არსებობდა მოსაზრებები, რომ სეკულარულ სახელმწიფოში რელიგიის, რელიგიის ისტორიის ან რელიგიური განათლება არამიზანშეწონილი იყო. მიუხედავად ამ მოსაზრებისა, განმანათლებლებთა უმრავლესობამ უარყო აღნიშნული მიდგომა, რადგან რელიგიის მთლიანად ამოგდება საგანმანათლებლო სისტემიდან პოზიტიურ შედეგს ვერ მოიტანდა, რადგან, სულ მცირე, მოსწავლე მოკლებული იქნებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელ უმნიშვნელოვანების კომპონენტს, რომლის გარეშეც ამ საზოგადოებაში ცხოვრებისთვის სრულყოფილად მომზადებულად ვერ ჩაითვლებოდა..

მეორე საკითხი, რომელიც მნიშვნელოვანია საქართველოს კონტექსტში გახლავთ განსხვავებული რელიგიის მქონე მოსწავლეთა სრულფასოვანი ინტეგრირება სწავლების პროცესში და მოსწავლეებში მრავალმხრივი და კრიტიკული აზროვნების გამომუშავება ტრანსფორმაციული მიდგომის მეშვეობით. რელიგია გახლავთ კულტურული იდენტობის ფორმირების მნიშვნელოვანი წყარო. შესაბამისად, თითოეულ მოსწავლეს საკუთარი რწმენა და

დირებულებების სისტემა თან მიჰყებათ სკოლებში. ამდენად, სკოლებში რელიგიური შეხედულებები უთუოდ გამოვლინდება სხვადასხვა ფორმით (რელიგიური სიმბოლოების ტარება და რელიგიისთვის დამახასიათებელი რიტუალების შესრულების მოთხოვნა და ა.შ.)

სკოლები, უპირველეს ყოვლისა, იქით უნდა იყოს მიმართული, რომ გამოიყენოს ინტერესულტურული განათლება ყოველგვარი დისკრიმინაციის, ქსენოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად და გამოუმუშაოს მოსწავლეებს ტოლერანტობის, სხვაობათა მიმღებლობისა და თანასწორობის პრინციპები. მასწავლებელმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს კლასში რელიგიური მრავალფეროვნების მართვას, აღმოფხვრას მოსწავლეების მიერ რელიგიური განსხვავებულობის აბურად აგდების ფაქტები, უზრუნველყოს პოზიტიური ინტერაქცია მოსწავლეებს შორის და შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები რელიგიურ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით.

ქვემოთ წარმოგიდგენთ რელიგიურად მრავალფეროვან სკოლასა და კლასთან დაკავშირებულ კრიტიკულ სიტუაციებს.

სიტუაცია

მოსწავლე გვიამბობს: „ვხწავლობ ერთ-ერთი ხაჯარო სკოლის მეშვიდე კლასში (სკოლას შეგნებულად არ ვასახლებ). კლასის უმრავლესობას ქრისტიანი ბავშვები შეადგენენ. ხუთი მაჟადიანი ვართ, ორიც - იუდეველია. ჩვენმა დამრიცებულმა გადაწყვიტა ხაშობათ დონისძიება მოეწყო. დონისძიება მასწავლებლის სცენარის მიხედვით ამგვარად მთავრდებოდა: კველა მოსწავლეს ხელში ანთებული სანთლებით ლოცვა უნდა ეთქვა.



ამის შესახებ სახლში ვთქვი. მშობლებს შევატყვე, არ ეხიამოვნათ. მეორე დღეს დედა მასწავლებელთან მისულა და საყვედური უთქვამს, რატომ აძალებ ბავშვებს, რომლებიც ქრისტიანები არ არიან, დოცები თქვანო. გაბრაზებულმა მასწავლებელმა გადაწყვიტა, რომ ჩვენ ამ ღონისძიებაში მონაწილეობა არ მიგვეღო. არ ვიცი, სხვებმა როგორ, მაგრამ მე თავი გარიყელად ვიგრძენი. მაყურებლად ყოფნის სურვილიც არ მჰანდა. იმ დღეს სკოლაში საერთოდ არ მივსულვარ...“

სიტუაციის ანალიზი:

გასაგებია მასწავლებლის სურვილი, ყველა მოსწავლე ჩართოს ღონისძიებაში, მისცეს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება. მაგრამ მას მხედველობიდან რჩება სხვა აღმსარებლობის მოსწავლეების არსებობა კლასში. ის, როგორც ჩანს, არ გასაუბრებია წინასწარ ბავშვებს, მათ მშობლებს, არ აუხსნია მათვის ღონისძიების მიზანი (თუ ასეთი აქვს). უფრო მეტიც, როცა მას მშობელმა საყვედური

უთხრა, იმის მაგივრად, რომ ემსჯელა მასთან ერთად სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნაზე, მან მიიღო გადაწყვეტილება, ამ მოსწავლეებს არ მიეღოთ მონაწილეობა ღონისძიებაში. მასწავლებლის ქმედებამ ხელი შეუწყო იმას, რომ თანაკლასებულებს ეს ბავშვები აღექვათ როგორც მათგან განსხვავებული. მოსწავლეთა გამიჯვნით, ღონისძიებიდან მათი გამოთიშვით მასწავლებელი ფაქტობრივად აყალიბებს მცირებულოვან ბავშვებში „თავისიანისა“ და „უცხოს“ განცდას, რომელიც ხელისშემშლელ ფაქტორად შეიძლება იქცეს მოსწავლეებში სამოქალაქო ღირებულებათა, უპირველეს ყოვლისა, ტოლერანტობის ჩამოყალიბებისას. მასწავლებელი ვალდებულია გამოიჩინოს თანაბარი ყურადღება ყველა მოსწავლის მიმართ, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა. აღწერილ სიტუაციაში კი, იმის გამო, რომ სხვა აღმსარებლობის არიან, ბავშვები გამოეთიშნენ საერთო საკლასო ღონისძიებას. ეს ერთგვარი დისკრიმინაციაა.

მასწავლებელი, შეიძლება გაუცნობიურებდად, მაგრამ უნებურად ლახავს მოსწავლეთა იმ უფლებას, რომელიც გარანტირებულია საერთაშორისო სამართლით: „მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემებ ბავშვის უფლებას აზრის, სინდისის და სარწმუნოების თავისუფლებაზე“ (ბავშვთა უფლებების კონვენცია, მუხლი 14). მასწავლებელი ასევე არ ითვალისწინებს საქართველოს კანონის ზოგადი განათლების შესახებ მოთხოვნას: „დაუშვებელია მოსწავლეს, მშობლესა და მასწავლებელს დაეკისროთ ისეთი ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგება მათ რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს, თუ ეს არ ლახავს სხვათა უფლებებს, ან ხელს არ შეუშლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონის დაძლევას“ (მუხლი 18. 2.).

ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მასწავლებელს უარი უნდა ეთქმა საშობაო ღონისძიებაზე. ამით მაშინ სხვა, მართლმადიდებელ მოსწავლეთა უფლებები შეილახებოდა. ღონისძიებაზე ლოცვის რიტუალი რომ არ შესრულებულიყო, შესაძლოა, მასში სხვა კონფესიების მოსწავლეთა მონაწილეობას მშობლები არ გაეღიზონებინა.

ზოგადად, მასწავლებელმა თავად უნდა მისცეს მოსწავლეებს შემწყნარებლობის მაგალითი. ეს კი მისგან მოითხოვს შემდეგს:

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ საკუთარი ღირებულებები და შეხედულებები გვაქვს, უნდა მივიღოთ ის ფაქტიც, რომ სხვებისათვის სხვა ღირებულებები და პრინციპებია ჭეშმარიტი. ბავშვებს თან მოჰყვებათ სკოლაში თავიანთი რწმენა, ღირებულებები და ისინი არ უნდა ჩავაყენოთ ისეთ მდგომარეობაში, რომ მოუწოთ უარის თქმა საკუთარ იდენტობაზე სოციუმში თავის დასამკვიდრებლად.

რა შეიძლება გაკეთდეს კლასში, სადაც სხვა აღმსარებლობის მოსწავლეები არიან?

გთავაზობთ ერთი ღონისძიების ნიმუშს, რომელიც კონტრიბუციული მიღგომის მაგალითია.

სანამ ღონისძიება დაიგეგმება, მასწავლებელი კლასში ატარებს თამაშს:

„ოცნების შალაში“

თამაშის სანგრძლივობა: 45 წთ.

თამაშის მიზანი: მოსწავლეები გააცნობიერებენ განსხვავებებისა და მრავალფეროვნების მნიშვნელობას;

განვითარებენ ჯგუფში თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარს.

თამაშისათვის საჭირო მასალები: ფერადი ფურცლები (ე.წ. სტიკერები), ფლომასტერები / ფერადი ფანქრები, ფორმატები.

თამაშის მსგავსობა: მასწავლებელს კალათში / ქუთში ჩაყრილი აქვს ფერადი ფურცლები. მოსწავლეები იღებენ ამ ფურცლებს ისე, რომ ვერ ხედავთ, რომელი ფერის ფურცელი შეხვდათ. ისინი ჯგუფდებიან ფერების მიხედვით. თითოეულ ჯგუფს ეძლევა ფურცლის შესაბამისი ფერის ფლომასტერი და დავალება: დახატონ ოცნების ქალაქი (ამ ნახატისათვის მათ უნდა გამოიყენონ მხოლოდ ერთი ფერის ფლომასტერი).

ჯგუფები აკრავენ თავიანთ ნამუშევრებს კედლებზე და აფასებენ. მსჯელობენ იმაზე, რამ შეუშალა ხელი დავალების უკეთ შესრულებაში (მოსალოდნელია, რომ უკმაყოფილება გამოთქვან ერთი ფერის ფლომასტერის გამო).

ამის შემდეგ თითო მონაწილე თითო ჯგუფიდან ქმნის ახალ ჯგუფს, სადაც ყველა ფერის წარმომადგენელი მოხვდება, შესაბამისად, ჯგუფს ექნება ყველა ფერის ფლომასტერი.

ახალ ჯგუფებს ეძლევათ დავალება, დახატონ ისევ ფერადი ოცნების ქალაქი. ჯგუფები აკრავენ თავიანთ ნამუშევრებს მოპირდაპირე კედელზე. მოსწავლეები ადარებენ ერთფერ და ფერად ნახატებს ერთმანეთს.

თამაშის განხილვა

მოსწავლეებს ეძლევათ შეკითხვები:

გრძნობდნენ თუ არა რაიმე უხერხულობას პირველი ნახატის შესრულების დროს? რომელი ნახატი გამოუვიდათ უკეთესი და რატომ?

თამაშის შეჯამება: ერთფეროვნება მოსაწყენი და უინტერესოა. ყოველი ადამიანი უნიკალურია. თითოეულს სხვადასხვა სარგებელი მოქმედ საზოგადოებისათვის. დაფიქრდით, რა როლს თამაშობს თითოეული მოსწავლე კლასის ცხოვრებაში? თქვენთან ერთად სწავლობენ სხვადასხვა ეროვნების, რელიგიის, ინტერესების ადამიანები, სწორედ ამიტომ თქვენი ცხოვრება ამ მრავალფეროვნების ფონზე უფრო საინტერესოა ისევე, როგორც ფერადი ოცნების ქალაქი. უფრო უკეთ რომ გაგეცნოთ ამ მრავალფეროვნებას, გთავაზობთ ღონისძიებას: „სილამაზე მრავალფეროვნებაშია“.

ღონისძიების მიზნები და ამოცანები:

მსოფლიოს სხვა რელიგიებისა და ლირებულებების, ამ რელიგიებთან დაკავშირებული სადღესასწაულო რიტუალების გაცნობა.

სხვადასხვა აღმსარგებლობის ადამიანებს შორის ურთიერთობაგების, პატივისცემისა და დიალოგის უნარის განვითარება.

დაგეგმვა და აქტივობები:

– მოსწავლეები ამზადებენ პრეზენტაციებს სამი მსოფლიო რელიგიის – ქრისტიანობის, მაჰმადიანობისა და იუდაიზმის – შესახებ. განიხილავთ თითოეულის შესაბამის ტრადიციებსა და ადათ-წესებს. ეცნობიან

რელიგიურ დღესასწაულებს – ქრისტიანულ შობას, ებრაული ხანუკას, მაჰმადიანურ რამადანს. აგროვებენ ფოტოებს, სლაიდებს / ამზადებენ საპრეზენტაციო პროგრამას (PowerPoint).

- პოულობენ მსგავსებებს ძირითად რელიგიურ პოსტულატებს შორის. აქცენტი კეთდება სიყვარულსა და გულმოწყალებაზე. იმაზე, რა არის ნათქვამი იქნოს (მესიის) დაბადების შესახებ ძველ აღთქმაში, სახარებასა და უკრანში.
- ამზადებენ შეკითხებებს პრეზენტატორებისათვის.
- თითოეული მასწავლებელთან კონსულტაციის საფუძველზე არჩევს, რა უნდა წაიკითხოს, იმდეროს ან გააკეთოს საშობაო საღამოზე (სასურველია მშობლებთან დაკავშირება და მათვის თანამშრომლობის შეთავაზება).
- ერთობლივად ქმნიან საშობაო საღამოს სცენარს.
- ამზადებენ სცენას, ქმნიან დეპორაციებს.

საშობაო საღამო ორი განყოფილებისაგან შედგება. პირველ განყოფილებაში მოსწავლეები წარმოადგენენ წინასწარ დამუშავებულ საკითხებს და მოძიებულ მასალას, მეორე განყოფილება კი უფრო შემოქმედებითი ხასიათისაა.

საჭირო რესურსები: რელიგიური სიმბოლოები, ფოტოები და სლაიდები / კომპიუტერი და პროექტორი, მასალები დეპორაციებისათვის.

ღონისძიების ანალიზი

ინტერკულტურული განათლების მიზანია არა მარტო საზოგადოებაში არსებული განსხვავებული მსოფლმხედველობების შესახებ ცოდნის მიცემა, არა მხოლოდ მოსწავლეთა შემეცნებითი განვითარება ამ კუთხით, არამედ მომზადება ცხოვრებისათვის, მოქალაქეებად ჩამოყალიბება, რათა სრულფასოვანი მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების ცხოვრებაში. ამისათვის საჭიროა შემწყნარებლობის, განსხვავებულის მიმართ პატივისცემის უნარისა და საზოგადოებისადმი მიკუთვნებულობის გრძნობის განვითარება. თითოეულ ჩვენგანს საკუთარი ღირებულებები და შეხედულებები მიგვაჩნია ჭეშმარიტად და უპირატესად, მაგრამ უნდა

გავაცნობიეროთ, რომ სხვებისთვის სხვა ღირებულებები და შეხედულებებია ჭეშმარიტი.

ურთიერთგაგება და განსხვავებულის მიმღებლობა იწყება მის შესახებ ინფორმაციის მიღებით, მასთან თანამშრომლობითა და თანამშრომლობის პროცესში მისი მნიშვნელოვნების აღიარებით.

მოსწავლეთა პრეზენტაციებმა სწორედ ინფორმაციის მიწოდების მიხია იკისრა. მსგავსებების დადგენამ შემხები წერტილები მოანახვინა მოსწავლეებს. ეს თანაკვეთა დაახლოების საწინდარი გახდა. ერთობლივად სადამოს სცენარის შექმნამ, დეკორაციების მომზადებამ გააერთიანა მოსწავლეები. არჩევანის თავისუფლებამ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენასა და თითოეულის მნიშვნელოვნების გააზრებას შეუწყო ხელი. შეიქმნა მრავალფეროვნებით ძლიერი გუნდი, რომელშიც არავისთვის იქნებოდა მიუღებელი განსხვავებული რელიგიური რიტუალის შესრულება. ეს ამ რიტუალის პატივისცემაზე იქნება დამყარებული.

განხილული შედეგების მიხედვით განსხვავება ზემოთ აღწერილ სიტუაციაში წარმოდგენილი დონისძიებისაგან თვალსაჩინოა.

სოციალური პლასისა და სოციალური სტატუსის გაგლენა

სწავლა-სწავლების პროცესზე

საქართველოში სოციალური მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. მოსწავლეთა ოჯახების ნაწილის სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, რაც მნიშვნელოვნად აისახება მათ სწავლაზე. . 2008 წლის მონაცემებით, ყველაზე დარიბი რეგიონები ქვემო ქართლი, აჭარა, მცხეთა-მთიანეთი და კახეთია, სადაც სიღარიბის მაჩვენებელი 50 პროცენტზე მაღალია. ამ რეგიონების მოსახლეობის ნახევარზე მეტი ოფიციალურ საარსებო მინიმუმსაც გერ მოიხმარს და საქართველოს დარიბი მოსახლეობის 40% სწორედ ადნიშნულ რეგიონებში ცხოვრობს. მათგან განსხვავებით, შედარებით დაბალი სიღარიბის დონის მქონე რეგიონებია თბილისი (30.2%), იმერეთი (31.4%) და სამცხე-ჯავახეთი (32.6%). 2008 წლისთვის ყველაზე მდიდარი რეგიონის – თბილისის ფულადი შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე დარიბი რეგიონების ფულად შემოსავალს 2.5-ჯერ აღემატებოდა. თუმცა დარიბი მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი (20%) სწორედ საქართველოს დედაქალაქში ცხოვრობს. საქართველოში დიდია უმუშევართა რაოდენობაც. 2008 წლის მონაცემებით საქართველოში დაუსაქმებელთა რაოდენობამ 2008 წელს შეადგინა 297.6 ათასი ადამიანი.

ცხრილი: სიღარიბის დონის და დარიბთა განაწილება რეგიონების მიხედვით
(ოფიციალური მინიმუმის მიმართ)


სიღარიბის დონე დარიბთა განაწილება

| რეგიონი | 2005 | 2008 | ცვლილებები | 2005 | 2008 | ცვლილებები |
|--------------------|------|------|------------|------|------|------------|
| 1. ქახეთი | 45,0 | 50,2 | 5,2 | 10,5 | 11,9 | 1,4 |
| 2. თბილისი | 29,8 | 30,2 | 0,4 | 18,8 | 20,1 | 1,3 |
| 3. შიდა ქართლი | 40,6 | 47,2 | 6,6 | 7,4 | 7,6 | 0,3 |
| 4. ქვემო ქართლი | 66,0 | 52,5 | -13,5 | 18,4 | 13,1 | -5,3 |
| 5. სამცხე-ჯავახეთი | 47,1 | 32,6 | -14,5 | 5,4 | 3,5 | -1,9 |
| 6. აჭარა | 48,1 | 52,5 | 4,4 | 11,2 | 11,9 | 0,7 |
| 7. გურია | 34,7 | 47,8 | 13,1 | 2,8 | 4,0 | 1,1 |
| 8. სამეგრელო | 41,7 | 41,1 | -0,6 | 9,8 | 10,1 | 0,3 |

| | | | | | | |
|----------------------------|------|------|-----|------|------|------|
| 9.იმურეთი | 26,1 | 31,4 | 5,3 | 12,5 | 14,7 | 2,2 |
| 10.მცხოვა- რობის მანები | 46,9 | 52,2 | 5,3 | 3,3 | 3,0 | -0,3 |
| სულ: | 39,5 | 39,9 | 0,4 | 100 | 100 | 0 |

საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო კომისია (CEGSTAR), 2009

სიღარიბის მაჩვენებელი რეგიონის მიხედვით თითქმის თანხვდება, მაგალითად, რეგიონების მიხედვით მოსწავლეებს მიერ სკოლის მიტოვების მაჩვენებლებს.



საქართველოს განათლების და მუცნიერების სამინისტრო, 2007 (EMIS)

სოციალური სტატუსი და სოციალურ-ეკონომიკური კლასი განსაზღვრავს ხშირად მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს. დაბალი სოციალური სტატუსის მქონე მოსწავლეთა დაბალ აკადემიურ მოსწრებას ბაჟმარტი და შიუმერი (2001) ორი ფაქტორით ხსნიან: (1) ოჯახის და სოციალური ქსელის მიერ სწავლის სტიმულაციის და მხარდაჭერის დაბალი ხარისხი; (2) სკოლაში არსებული სისტემა, სტრუქტურა, დორებულებები და სასწავლო სტრატეგიები. სკოლას და მასწავლებელს შეუძლია სოციალურად დაბალი ფენის მოსწავლეების დაბალი აკადემიური მოსწრების, სულ მცირე, მეორე გამომწვევი მიზეზის აღმოფხვრა და პირველ მიზეზზეც მეტ-ნაკლებად რეაგირება.

დაბალი სოციალური სტატუსის მოსწავლეებთან მიმართებით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მასწავლებელთა მოლოდინები. სწორედ

მასწავლებელთა დაბალი მოლოდინები განსაზღვრავს ხშირად დაბალი სოციალური სტატუსი სტატუსი მქონე მოსწავლეთა დაბალ აკადემიურ მოსწრებას. უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში არაერთი კვლევა ჩატარდა, რომლებმაც დაადასტურეს მასწავლებელთა მოლოდინების გავლენა მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე. კვლევებმა აჩვენეს, რომ მასწავლებელთა მოლოდინების გაზრდის კვალდაკვალ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებაც იზრდებოდა (კუშნერი და მისი კოლეგები, 2006). მასწავლებელმა მოსწავლეს შეუძლია მისცეს ცოდნა, განუვითაროს გარკვეული უნარები, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც შეიძლება მასწავლებელმა მოსწავლეს მისცეს, ეს არის მოსწავლის შთაგონება, რომ მას აქვს უნარი და შესწევს ძალა, იყოს წარმატებული როგორც აკადემიური, ასევე სოციალური თვალსაზრისით.

ქვემოთ წარმოგიდგენთ მოსწავლის სოციალურ სტატუსთან და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ რამდენიმე სასკოლო შემთხვევას და მათ ანალიზს.

სიტუაცია

მოსწავლე მოგვითხრობს: „ჩვენი ოჯახი მძიმე მატერიალური და კონომიური პირობების გამო ორი წლის წინ თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. ნათებავმა, რომელიც საზღვარგარეთ არის ოჯახით წახული, სამადლოდ თავისი ერთოთახიანი ბინა დაგვითმო. ბინა ქალაქის ცენტრში მდებარეობს. შესაბამისად, იმ სკოლაში შევვის, რომელიც სახლთან ახლოსაა. ამ სკოლას „ელიტარულს“ უწოდებენ (პირველად თბილისში გავიგვი ასეთი სკოლების არსებობა). ახალ სკოლაში მისვლისთანავე თავი უხერხულად ვიგრძენი ჩემი სიძველისაგან გახუნებული ქურთულისა და გაცვეთილი ფეხსაცმლების გამო. პირველივე გაკვეთილზე მასწავლებელმა რაღაც რომ მკითხა, კლასელებმა სიცილი ატენებ.

როგორც ჩანს, ჩემი კიდო არ მოეწონათ. სოფელში საუკეთესო მოსწავლედ ვითვლებოდი, აქ კი პასუხისმგებელია, მეშინია, ისევ არ დამცინობ. ვერავისთან ვმუშობრობ. აბა, როგორ იმუშობრებენ ჩემთან იხინი, ვინც იმაში ეჯიბრება ერთმანეთს, რომელს უფრო „მაგარი ჯიბი“ ჰყავს, ვის რომელი „ცნობილი ბრენდის“ (ეს მათი ლექსიკია) ტანსაცმელი

აცვია. მასწავლებელი დედას სულ საყვედურებს, ეუბნება, არაფერს აკეთებსო. ვხწავლობ, მაგრამ პასუხის სურვილი ნამდვილად არ მაქვს. ნებავ იხევ ხოველში დამაბრუნა...“



სიტუაციის ანალიზი

ის, რაც მოსწავლის მონათხობიდან შევიტყვეთ, სხვა არაფერია, თუ არა სოციალური დისკრიმინაცია. შეიძლება ასეთი შეფასება ძალიან მწვავედ მოჩანდეს, მაგრამ თუ გავიხსენებთ ამ ტერმინის სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, ცხადი ხდება, რომ ბავშვის გაუცხოების მიზეზი სწორედ სოციალური განსხვავებაა.

დისკრიმინაციის საფუძველია რწმენა, რომ ჩვენგან განსხვავებული ჩვენზე რაღაცით უარესია. „ელიტარულ“ უბანსა და „ელიტარულ“ სკოლაში მოხვედრილი ბავშვი, რომლის ოჯახიც ქალაქში მატერიალურმა სიდუხჭირემ ჩამოიყვანა, თავს გარიყელად და დაჩაგრულად გრძნობს იმიტომ, რომ თავისი ჩატყულობითა და კილოთი თანაკლასელების დაცინვის ობიექტი ხდება. სოციალური განსხვავება ბავშვში უმძიმეს განცდებს იწვევს: გარიყელობას, დათრგუნულობას, დაბალ თვითშეფასებას, შესაძლებლობების დაქვეითებას, შიშს, შეურაცხოფის გრძნობას. მისი მონათხობიდან ჩანს, რომ რაიონში, სადაც ის ცხოვრობდა, საუკეთესო მოსწავლე იყო. იგი მიჩვეული იყო პირველობას. ახალ კლასში კი, მან არათუ ვერ მოიპოვა ისეთივე აღიარება,

აგრძნობინეს, რომ ის თავისი სოციალური მდგომარეობის გამო სხვებზე ნაკლებია. ბავშვისათვის სწავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოტივია გარშემომყოფების აღიარება. როგორც ჩანს, ამ ბავშვის ემოციურ მდგომარეობას ამის დეფიციტიც განსაზღვრავს. კვლავ დამაფიქრებელი ის არის, რომ მასწავლებლები კლასში ვერ ქმნიან უსაფრთხო გარემოს, რომელშიც განსხვავებები განიხილება დისკრიმინაციის გარეშე. მათ ვერ მონახეს ისეთი ხერხები, რომლებიც ახალგადმოსულ მოსწავლესა და მის დანარჩენ თანაკლასელებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას შეუწყობდა ხელს. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით, პედაგოგმა „იცის, როგორ ჩამოაყალიბოს მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობები (7. 5.), რასაც, სამწუხაროდ, ვერ ახერხებს სიტუაციაში აღწერილი მასწავლებელი.

რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო სკოლაში ისეთი, რომ მოსწავლისათვის ამგვარი პრობლემები აგვეცილებინა?

- მასწავლებლებს ჰმართებდათ, უფრო მეტი ყურადღება გამოეჩინათ ახალი მოსწავლის მიმართ.
- სასურველია, სკოლას ახალი მოსწავლის უცხო გარემოსთან ინტეგრაციისათვის ჰქონდა ერთგვარი რიტუალი, დახვედრის ცერემონიალი. როდესაც კლასში ახალი მოსწავლე გადმოდის, რეკომენდებულია, რომ მასწავლებელმა მოაწყოს „ბავშვის მიღება“, წარუდგინოს, გააცნოს იგი კლასს, აუხსნას სხვებს, რომ ის ხდება ერთ-ერთი მათგანი და აქცენტი გააკეთოს მის დირსებებზე (მით უმეტეს, ამის საშუალება მას ჰქონდა, ბავშვი რაიონის სკოლაში ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე იყო);
- ასეთი მოსწავლის ჩართვის კარგი საშუალებაა თანამშრომლობითი სწავლა. მასწავლებელს უნდა ჩაერთო ის ჯგუფურ სამუშაოებში და მიეცა მისთვის შესაძლებლობა, საუკეთესო კუთხით გამოევლინა თავი;
- კარგ შედეგს მოიტანდა მისი შექება-წახალისებაც;
- მსგავს სიტუაციებში პედაგოგებმა (და/ან სკოლის ფსიქოლოგმა, თუ ამის საჭიროება შეიქმნება) უნდა იმუშაონ კლასის მოსწავლეებთან

ტოლერანტობის გრძნობის გასაღვივებლად, აუხსნან მათ, რომ ადამიანები ბევრი რამით პგვანან და ბევრი რამით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ დირსება, მატერიალურით კი არა, სულიერი დირებულებებით იზომება. სწორედ სკოლამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მოსწავლეებს მათგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული ადამიანების, განსაკუთრებით თანატოლების მიღება და პატივისცემა ასწავლოს.

გთავაზობთ სასწავლო პროექტს, რომელიც, ჩვენი აზრით, კარგი საშუალება იქნება მოსწავლეებში ჰეშმარიტი სულიერი დირებულებების ჩამოსაყალიბებლად და იმის ხელშესაწყობად, რომ მათ ტოლერანტული დამოკიდებულება გამოუმუშავდეთ სოციალურად განსხვავებული თანატოლის მიმართ.

სასწავლო მიზანი:

მოსწავლეები შეძლებენ:

- გაააღიაზონ ცხოვრებისეული სიტუაციები და იმსჯელონ მათში სოციალური დისკრიმინაციის ნიშნებზე;
- იმსჯელებენ ადამიანის დირსების განმსაზღვრელ ფაქტორებზე;
- შეაფასებენ და გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას სიტუაციებში აღწერილი ფაქტების მიმართ.

სწავლის სტრატეგიები

მოსწავლეები მუშაობენ მცირე ჯგუფებში ოთხ სხვადასხვა სიტუაციაზე და განიხილავენ მათ.

აქტივობები, მათი განხორციელებისათვის საჭირო დრო და ორგანიზების ფორმა:

აქტივობა 1.

თითოეული ჯგუფი აანალიზებს სიტუაციას. აფასებენ დასახელებულ პირს ათბალიანი სისტემით. თან ასაბუთებენ, რატომ უწერენ ამა თუ იმ ქულას. დრო – 10 წთ.

აქტივობა 2.

ჯგუფები ათამაშებენ როლებში სიტუაციას და შემდეგ მსჯელობენ, როგორ გრძნობდნენ თავს ამა თუ იმ პერსონაჟის როლში, რას გრძნობდნენ, რას ფიქრობდნენ. დრო – 40 წთ.

აქტივობა 3.

ჯგუფებს ეძლევათ დავალება, გაიხსენონ რეალობიდან სიტუაცია, რომელიც მათ მიაჩნიათ სოციალური დისკრიმინაციის მაგალითად. 15 წთ.

აქტივობა 4.

„სინანულის წუთი“. თითოეულმა უნდა გაიხსენოს საკუთარი ქცევა, რომელსაც ისინი თვლიან სხვისადმი უპატივცემულობის გამოხატულებად.

სიტუაციები

სიტუაცია 1.

თინა მასწავლებელი მარტოხელაა. საკუთარი ბინა არა აქვს. ნაქირავებში ცხოვრობს. ხელფასი თვიდან თვემდე ძლივს პყოფნის, ამიტომ გარდერობის გაახლება უჭირს და ერთი და იგივე ტანსაცმელი ხანგრძლივად აცვია. ერთხელ ლიკამ, რომელიც მდიდარი ოჯახის შვილია, თანაკლასელებთან თინა მასწავლებელს ჩაცმულობის გამო დასცინა, სკამზე რომ ჯდება, მეშინია ის ძეელთაძველი ბოლოკაბა არ გადაუსკდესო. ამან დარეჯანი გააღიზიანა და ლიკას პირდაპირ მიახალა: „ვიქტორია სეკრეტის მაისური რომ გაცვია, თავი თინა მასწავლებელზე მაგარი გგონია? თავმოყვარეობა თუ გაქვს, გირჩევნია, ერთი-ორი წიგნი წაიკითხო.“

შეაფახეთ: ლიკა – ქულა; დარეჯანი – ქულა.

სიტუაცია 2.

გიგას ოჯახი ხელმოკლედ, მაგრამ სიამტკბილობით ცხოვრობს. თხუთმეტი წლის რომ შესრულდა, ოჯახმა გაიჭირვა და დაბადების დღე გადაუხადა. გიგამ თანაკლასელები დაპატიჟა. ბავშვებმა კარგად

მოილხინეს. გარეთ რომ გამოვიდნენ, დათომ ირონიული ტონით წარმოთქა: „ახლა შეგვიძლია ვთქვათ, ბოსელშიც გვიქვიფიაო.“

შეაფახთ: გიგა – . . . ქულა, დათო – . . . ქულა.

სიტუაცია 3.

თორნიკე ძალიან ნიჭიერი და ბეჭითი ბიჭია, ძალიან კარგად სწავლობს, მაგრამ იმის გამო, რომ მატერიალურად უჭირს, თითქოს დათრგუნულია, არ ცდილობს თავი გამოიჩინოს, საკუთარი შესაძლებლობები და ცოდნა ბოლომდე გამოავლინოს. ერთხელ ისტორიის ახალმა მასწავლებელმა, რომელიც არ იცნობდა თორნიკეს, უხეშად მიმართა: „რა ტომარასავით ზისარ გაკვეთილზე, გამოფხილდი!“ თემურმა, რომელიც კლასის „ყოჩია“ ფიზიკური სიძლიერისა და გამბედაობის გამო, მასწავლებელს ხმამაღლა უთხრა: „მაგან რომ იცის, ნეტავ იმდენი თქვენ იცოდეთო“.

შეაფახთ: ისტორიის მასწავლებელი – . . . ქულა, თემური – . . . ქულა.

სიტუაცია 4.

მერვე კლასმა გადაწყვიტა ექსკურსიაზე წასვლა კახეთში. მოსწავლეებს 20-20 ლარი უნდა შეეგროვებინათ. ნინოს ძალიან უნდოდა გრემისა და შუამთის ნახვა, მაგრამ ოჯახს ამ თანხის გადახდის საშუალება არ ჰქონდა. ამიტომ გოგონამ მოიმიზეზა, ავტობუსით მგზავრობას ვერ ვიტან, ცუდად ვხდებიო და ექსკურსიაში მონაწილეობაზე უარი თქვა. თეა მიხვდა, რაც იყო უარის თქმის მიზეზი, მაგრამ მის ნაცვლად თანხა რომ დაედო, ნინოს უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა. ამიტომ მამას სთხოვა, ის და ნინო მანქანით წაეყვანა კახეთში. ავტობუსს უპან გავყვეთო. მეგობარს კი უთხრა: იცი, მეც მიჭირს აგტობუსით მგზავრობა, ამიტომ მამას მივყავარ თავისი მანქანით და შენც იქ ჩაჯექიო. ნინო ექსკურსიით ძალიან კმაყოფილი დარჩა, თეა – კიდევ უფრო მეტად.

შეაფახთ: ნინო – . . . ქულა, თეა – . . . ქულა.

თავში გამოყენებული ლიტერატურა

- ევროპის საბჭო (2007). რელიგიური მრავალფეროვნება და ინტერკულტურული განათლება, სახელმძღვანელო სკოლებისთვის ჯონ ქისთის რედაქტორობით.
- კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტის პოლიტიკის დოკუმენტი, (2009)- განათლების რეფორმა და არაქართულენოვანი სკოლები მოპოვებულია ვებ-გვერდიდან <http://cipdd.org/index.php?lang_id=ENG&sec_id=40&info_id=398>
- საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო კომისია (CEGSTAR) , (2009), დიაგნოსტიკური მოხსენება საქართველოს რეგიონალური განვითარების შესახებ, მოპოვებულია ვებ-გვერდიდან http://www.cegstar.ge/files/2253_2253_415534_Presentation.pdf
- საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ინფორმაცია საქართველოში არსებული რელიგიური მრავალფეროვნების შესახებ.
- შალვა ტაბატაძე, ნათია ნაცვლიშვილი- ინტერკულტურული განათლება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008.
- Bacer, C. (2004), *Foundations of Bilingual Education and Bilingualism*. Clevedon: Multilingual Matters.
- Baumert, Jürgen, & Schümer, Gundel. (2001). Familiäre Lebensverhältnisse, Bildungsbeteiligung und Kompetenzerwerb. In Deutsches PISA-Konsortium (Eds.), *PISA 2000. Basiskompetenzen von Schülerinnen und Schülern im internationalen Vergleich* (pp. 323-407). Opladen: Leske+Buldrich;
- Cushner, K., McClelland A., & Safford, P. (2006) *Human Diversity in Education, an integrative approach*: McGraw Hill. Higher Education.
- Dagovitz, A., (2004), When Choice Does Not Matter: Political Liberalism, Religion and the Faith School Debate, *Journal of Philosophy of Education*, Vol. 38, No. 2.

Gurin, P., Dey, E., Hurtado, S., & Gurin, G. (2002). Diversity and higher education: Theory and impact on educational outcomes. Harvard Educational Review, 72(3), 330-366.